CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 27 ნოემბერი, 2009 წელი. №259 (2297) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ლუკაშენკო მედვედევზე განაწყენდა
A8

ჯოს... ჯოს... ჯოს...- ვაშა! ვაშა! ვაშა!
A9

გიორგობის კვირეულში "კათარზისის" სტუმრებს "გაერთიანებული ტელეკომი" მასპინძლობს
A5

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი განკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# აშშ-საქართველო - თავისუფალ ვაჭრობაზე მსჯელობა მომავალი წლისთვის გადაიდება

## ინტერვიუ ამერიკის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარესთან ალისონ შვარცთან

**- ცოტა ხნის წინათ ამერიკაში ვენესუელის ელჩს გაუგზავნეთ წერილი, რომელშიც ვენესუელის მთავრობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისკენ მოუწოდებდით. როგორი იყო ამ წერილის შინაარსი და მიიღეთ თუ არა პასუხი?**

- იმედია, ქართველებმა იციან, რომ შეერთებული შტატები აბსოლუტურად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს. მე, როგორც საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე კონგრესში, კონგრესმენ ბილ შუსტერთან ერთად, ვმუშაობ იმ მიმართულებით, რომ სხვა ქვეყნების მიერ აღარ მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შემდგომი აღიარება. მე გამოვედი ინიციატივით და მოგვიანებით, კონგრესმენ შუსტერთან ერთად, ვენესუელის ელჩს გავუგზავნეთ წერილი, რომელშიც მკაფიოდ აღვნიშნეთ, რომ არ ვეთანხმებით მათ მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობას. წერილში ასევე ვთქვით, რომ ისინი ჩვენ გვერდით უნდა იდგნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ჩვენს წერილზე საელჩოდან პასუხი არ მოგვსვლია.

**- საქართველოს მეგობართა ჯგუფის სახელით, თქვენ ბრძანდებით ამერიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი. მაგრამ ამერიკის შიდა პრიორიტეტებიდან და ზოგადი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საკითხის განხილვა შეჩერებულია. ახლო მომავალში ელით თუ არა რაიმე წინსვლას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ რეზოლუციის განხილვაში?**

- წარმომადგენელთა პალატაში საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის რეზოლუციას შვიდი თანასპონსორი ჰყავს. ეს იმას მიუთითებს, რომ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღების მიმართ გარკვეული ინტერესია გამოკვეთილი. მაგრამ ამ საკითხის წინა პლანზე გადაწევას ორი სირთულე ეღობება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დიდი კინოს დღეები

## თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 1-6 დეკემბერს გაიმართება

ია ვეკუა

თბილისის ფესტივალების საშემოდგომო სეზონი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. ამჯერად კინოს დრო დადგა - X საერთაშორისო კინოფესტივალი სტარტს 1 დეკემბერს აიღებს და 6 რიცხვამდე გასტანს. ამ დროის განმავლობაში კინომოყვარულები ოცამდე ქვეყნის რამდენიმე ათეულ ფილმს ნახავენ, მათ შორის იქნება ქართული კინოპროდუქტიც, რომელიც წელს განსაკუთრებულად უხვადაა წარმოდგენილი. მეტიც, კინოფესტივალს სწორედ ქართული ფილმი გახსნის.

"რუსთაველსა" და "ამირანში" გადანაწილებული ექვსდღიანი საფესტივალო პროგრამა იმდენად ვრცელია, კინომანები წინასწარვე უნდა შეეგუონ, რომ ყველა ფილმზე დასწრებას ვერ მოახერხებენ. თუმცა დროის დაგეგმვა მხოლოდ ტექნიკის საქმეა მთავარია სანახავი იყოს! ვიდრე საფესტივალო პროგრამას გაგაცნობდეთ, აღვნიშნავთ, რომ წლევანდელ საიუბილეო ფესტივალს არ ექნება საკონკურსო სახე და მხოლოდ ჩვენებით შემოიფარგლება.

გაგრძელება A11 გვერდზე

*კადრი ნანა ჭორჭაძის ფილმიდან "ცისარტყელას შემქმნელი".*

CMYK - 1

## თავდაცვის სამინისტროში ტრენინგცენტრი გაიხსნა

გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში, ტრენინგცენტრი გაიხსნა.

სასწავლო ინფრასტრუქტურა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ და ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ოფიცერმა დევიდ ჯონსონმა გახსნეს. შეხვედრაში პარტნიორი ქვეყნებისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურების, სამხედრო, სამოქალაქო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ექსპერტები მონაწილეობდნენ. ცერემონიას ასევე გაერთიანებული სამეფოსა და ლატვიის ელჩებიც დაესწრნენ.

ცენტრში პირველი ღონისძიება ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოწყობილი სემინარი იყო, რომელიც თავდაცვისა და სამხედრო სფეროში მედიის ჩართულობასა და გამჭვირვალობის გაზრდას ეხებოდა.

სემინარზე აქცენტი გაკეთდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებსა და კრიზისმედიის როლსა და ფუნქციებზე. პარტნიორი ქვეყნებისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურების წარმომადგენლებმა მოხსენებები სამ ძირითად საკითხზე წაიკითხეს: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქცია; მედია-გამჭვირვალობა; ტრანსფარენტულობა კრიზისებისა და კონფლიქტების დროს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი გამოვიდა ინიციატივით, რომ კონფერენციის მონაწილე და სხვა დაინტერესებულ, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებს, აგრეთვე ორგანიზაციებს, დეპარტამენტის მუშაობაზე რჩევები და შენიშვნები მუდმივად მიაწოდონ.

## ხელისუფლება თბილისის მერის საარჩევნო ბარიერის გადახედვას არ აპირებს

ხელისუფლება და ოპოზიციის ნაწილი შეთანხმდა, რომ დედაქალაქის მერის არჩევნებისას საარჩევნო ბარიერი იქნება 30 და არა 50 პროცენტი, რომელსაც "ალიანსი საქართველოსთვის" ითხოვს.

როგორც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, დაუშვებელია, როცა დედაქალაქის მერის თანამდებობას ალტერნატიულ საპრეზიდენტო თანამდებობად განიხილავენ და მისი არჩევნებისს ბარიერის საპრეზიდენტო ბარიერთან გათანაბრებასაც ამიტომ ითხოვენ.

კუბლაშვილის თქმით, თბილისის მერი, პირველ რიგში, სამეურნეო პირია. ამომრჩევლებსაც მისგან ქალაქის პრობლემების გადაჭრა სურთ და არა მისი აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, შეთანხმებული საარჩევნო საკითხების განხილვა პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება.

## ცხინვალის რეჟიმი ქართულ მხარეს "ყველას - ყველაზე" გაცვლას სთავაზობს

ცხინვალის რეჟიმი ქართულ მხარეს დაკავებულების "ყველას ყველაზე" პრინციპით გავცლას სთავაზობს. როგორც "რია ნოვოსტის" ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება, ამის შესახებ ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა განაცხადა.

"ჩვენთან ამ დროისთვის საქართველოს 4 მოქალაქეა დაკავებული, რომელთაგან ორი საკუთარ თავს არასრულწლოვანს უწოდებს. საქართველოში კი სამხრეთ ოსეთის 25 მოქალაქეა დაკავებული. ჩვენ ვთავაზობთ, ყველა ყველაზე გავცვალოთ", - განაცხადა კოჩიევმა. მისივე თქმით, იანვრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს 85 მოქალაქე დააკავეს, ძირითადად "საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის" გამო. კოჩიევის განცხადებით, თითქმის ყველა მათგანი ქართულ მხარეს უპირობოდ გადაეცა.

სოფელ ტირძნისის მცხოვრები 4 არასრულწლოვანი - გიორგი რომელაშვილი, ალეკო საბაძე, ვიქტორ ბუჩუკური და ლევან ხმიადაშვილი ოსმა მილიციელებმა 4 ნოემბერს დააკავეს. ცხინვალის რეჟიმი მათ ბრალად ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შენახვასა და ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას სდებს.

საქართველოს ხელისუფლება მათი გათავისუფლების საქმეში დახმარებას საერთაშორისო თანამეგობრობას სთხოვს.

# კოდექსზე მომუშავე ჯგუფმა პარლამენტში გადაინაცვლა

*საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო კოდექსის შესახებ მიღწეულ შეთანხმებებს მიესალმება. გუშინვე ცხადი გახდა, რომ უცვლელი რჩება არჩევნების თარიღი - 2010 წლის მაისი.*

განცხადება ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა. პრესსპიკერის ინფორმაციით, პრეზიდენტი კამყოფილია NDI-ს ოფისში წარმოებული მოლაპარაკებებით და იქ მიღწეული შეთანხმებებით. კერძოდ, პრეზიდენტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთ სიახლეს, როგორიც არის მერის პირდაპირი წესით არჩევა და ამ არჩევნებში 30-პროცენტიანი ბარიერის განსაზღვრა. სააკაშვილი ასევე იწონებს თბილისის საკრებულოს არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის დაწესებას. ეს, პრეზიდენტის აზრით, ბევრ პოლიტიკურ სუბიექტს მისცემს არჩევნებში მონაწილეობის და საკრებულოში მოხვედრის შესაძლებლობას.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს მანდატების გადანაწილებაზე პარტიებს შორის მიღწეულ შეთანხმებას, ასევე - ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის წესსაც.

ირაკლი ალასანიას ალიანსის უარყოფით პოზიციას საარჩევნო კოდექსში შეთანხმებული მუხლებისადმი, ქვეყნის პირველი პირი პოლიტიკური დაჯგუფების "ოპოზიციონერობით" ხსნის.

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფმა გუშინ პარლამენტში გადაინაცვლა. ჯგუფის წევრები პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის სამუშაო ოთახში შეიკრიბნენ.

კუბლაშვილმა სამწუხარო ფაქტად მიიჩნია ის, რომ "ალიანსი საქართველოსთვის" ჯგუფს გამოეთიშა. ამასთანავე, დეპუტატმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ მიუხედავად ალიანსის ამგვარი გადაწყვეტილებისა, დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებთან მიღწეული შეთანხმება ახალ კანონმდებლობაში აისახება.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღწეული შეთანხმებები კანონპროექტის სახეს, სავარაუდოდ, დღეს მიიღებს. ხოლო ორშაბათის ბიუროს სხდომაზე მისი ინიცირება მოხდება.

"ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელ ლევან ვეფხვაძის და საპარლამენტო ოპოზიციის სხვა წარმომადგენელთა განცხადებით, კანონპროექტის ინიცირების მიუხედავად, საარჩევნო საკითხებზე მუშაობა კვლავ გაგრძელდება. კერძოდ, პროექტის განხილვისას წარდგენილი იქნება სხვადასხვა მუხლებზე ალტერნატიული წინადადებები.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, "მრეწველი" ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილების შეტანის პარალელურად, პროექტის შესახებ მსჯელობა უნდა გაგრძელდეს. **"არის საკითხები, რომლებზეც შეთანხმება არ მომხდარა და ღიად არის დარჩენილი. ისინი დაზუსტებასა და დამატებით კონსულტაციებს მოითხოვს,"** - განაცხადა ტყემალაძემ.

მისი თქმით, დასაზუსტებელია როგორც საოლქო და საუბნო კომისიების, ასევე საარჩევნო კამპანიების დაფინანსების, რეგისტრაციებისა და სხვა საკითხები.

გუშინ მედიასთან კომენტარისას "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ისინი ხელისუფლებასთან რამე გარიგებაზე წასვლას არ აპირებენ. **"საარჩევნო გარემოს შეცვლის შანსი, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა, ვფიქრობთ, ხელიდან გაუშვა,"** - დასძინა აბაშიძემ. მისივე ინფორმაციით, არჩევნებისა და საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობის გაგრძელების შესახებ ირაკლი ალასანია უახლოეს პერიოდში გააკეთებს განცხადებას.

დაგეგმილია, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება წლის ბოლომდე მოხდეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ევროკავშირთან შეთანხმებები პარაფირებულია

*საქართველომ და ევროკავშირმა ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ მიღწეული შეთანხმებების პარაფირება მოახდინეს. ხელშეკრულების თანახმად, გამარტივდება ევროკავშირის ფარგლებში სავაჭრო-საგანმანათლებლო მიზნით ვიზების გაცემა, ხოლო მკურნალობის მიზნით ვიზები ევროკავშირის ფარგლებში, გამარტივებასთან ერთად, გაიაფდება.*

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ხელშეკრულებათა პარაფირება ქართული მხრიდან - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ, ხოლო ევროპული მხრიდან ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორის მოადგილემ ჟან ლუი დე ბროუერმა მოახდინეს.

ხელშეკრულების თანახმად, ვიზების გაცემა გამარტივდება სტუდენტებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ევროკავშირის ფარგლებში მცხოვრებ პირთა ახლო ნათესავებისთვის.

სამხრეთ კავკასიაში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც ევროკავშირი ვიზების გამარტივების საკითხზე აწარმოებს მოლაპარაკებას. პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და საბოლოო შედეგს, სავარაუდოდ, მომავალი წლის ზაფხულისთვის უნდა ველოდოთ.

სტრასბურგში, ვიზების გამარტივების გარდა, ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების უპირობო გათავისუფლების შესახებაც იმსჯელეს. ამ საკითხზე ევროპარლამენტში სპეციალური მიმართვაც მომზადდა. ამასთან, საქართველოს ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ევროპელ დეპუტატებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ. ევროპარლამენტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას კვლავ ადასტურებს. დეპუტატების განცხადებით, ბავშვების პატიმრობა უკანონოა, ამიტომ ევროპა ოკუპანტებისგან კონკრეტულ ქმედებებს მოითხოვს.

დღის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სეპარატისტების მიერ გატაცებული ტირძნისელი მოზარდების გათავისუფლების საკითხში საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ჩაერთვებიან. აქტიურ ჩართვას ევროკავშირიც გეგმავს. **"პრეზიდენტი ამ საკითხის შესახებ ნიკოლა სარკოზის და ჯოზეფ ბაიდენს ტელეფონით ესაუბრა. პრეზიდენტ სარკოზის დავალებით მოხდა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინთან დაკავშირება, რათა დაკავებული ბავშვები დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ,"** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ

# ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო განცხადებას აქვეყნებს

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ: **"დევნილთა გამოსახლების საკითხი ბოლო პერიოდში პოლიტიკური პიარის ნაწილი გახდა. საეჭვოდ, ზოგიერთი ოპოზიციონერი ზუსტად მაშინ ჩნდება სხვადასხვა ობიექტებში შეჭრილ დევნილებთან, როცა თვითნებურად დაკავებული შენობების დაცლა იწყება. არადა, არავის აქვს უფლება, პოლიტიკური ქულების დაწერისა თუ სხვა მიზნით მსგავსი უკანონობის პროვოცირება მოახდინოს, კერძო საკუთრებების თვითნებურად დაკავება მასიური გახადოს და ამით მესაკუთრეთა უფლებები შელახოს."**

სამინისტროს პოზიციით: **"სამწუხაროა, რომ ასეთ დროს არავინ ფიქრობს კერძო მესაკუთრის უფლებებზე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია იცავს. კანონმდებლობით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას დევნილი, თუმცა ასევე ვალდებულია, ფართის გათავისუფლების შესახებ კერძო მესაკუთრის მოთხოვნაზე მყისიერად იმოქმედოს."**

მსგავსი ბოლო ფაქტი 20 ნოემბერს მოხდა. საუბარია ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე N37 დახურულ საბავშვო ბაღზე, სადაც დევნილი 20 ოჯახი შეიჭრა და ცხოვრობდა. საბავშვო ბაღის ავარიულობიდან გამომდინარე, შენობის სასწრაფოდ დაცლა გახდა აუცილებელი. ავარიულობის შესახებ შეტყობინება სამინისტომ და გამგეობამ ავარიულობის დამდგენი კომისიისგან მიიღეს. კომისიის რეკომენდაციით, შენობა სასწრაფოდ უნდა დაცლილიყო, რადგან შეიძლებოდა, ნებისმიერ დროს ჩამონგრეულიყო, რაზეც პასუხისმგებლობა ადგილობრივ გამგეობასა და სამინისტროს დაეკისრებოდათ. შესაბამისად, შენობის დაცლა სწორედ იქ მცხოვრებთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოხდა. შენობა დაიცალა და იმავე დღეს დაინგრა კიდეც, თუმცა პიარმა ამ შემთხვევაშიც იმუშავა და ზემოთ აღნიშნულ ფაქტს დევნილთა გამოსახლება და ღია ცის ქვეშ დატოვება ეწოდა.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს: **"სახელმწიფო ღია ცის ქვეშ არც ერთ დევნილ ოჯახს არ ტოვებს. მათ, ვინც აცხადებს, რომ ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნიათ, სამინისტრომ ფართები რეგიონებში არაერთხელ შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო. სწორედ ასე მოხდა N37-ე დახურულ საბავშვო ბაღში შეჭრილი დევნილების შემთხვევაშიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დევნილები სხვაგან იყვნენ დამისამართებულები, სამინისტრომ ბაღის ტერიტორიაზე ტრანსპორტი იმავე დღესვე მიიყვანა და დევნილებს რეგიონებში ფართები საკუთრებაში და შესაბამისად, მათი ავეჯის გადაზიდვა შესთავაზა, თუმცა აღნიშნული შეთავაზება მხოლოდ ორმა ოჯახმა მიიღო. დანარჩენებმა კი უარი თქვეს და ამბობდნენ, რომ ალტერნატიული საცხოვრებელი არ გააჩნიათ. მოგვიანებით კი, ყველასთვის გასაკვირად, დანარჩენმა 18-მა ოჯახმა იმ ალტერნატიულ მისამართებს მიაშურა, სადაც ისინი საბავშვო ბაღში შეჭრამდე ცხოვრობდნენ და ზოგს ამჟამად გაქირავებული ჰქონდა. შესაბამისად, მათ აღნიშნულ მისამართებზე ავეჯის გადაზიდვაში სამინისტრო დაეხმარა."**

სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით: **"დევნილთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც საცხოვრებელი გააჩნიათ, სხვადასხვა შემთხვევებით სარგებლობს და ფართის იძულებით დაკავებას ცდილობს იქ, სადაც მოახერხებს. სახელმწიფო მსგავს შემთხვევებს ვერ დაუშვებს და შეჭრის ყველა შემთხვევა აღკვეთილი იქნება."**

დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროექტებს სამინისტრო 2008 წლიდან ეტაპობრივად ახორციელებს. მათთვის აშენდა კოტეჯები, გამოსყიდულია სახლები, პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების რეაბილიტაცია და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა. პროცესი შეუქცევადია და მანამ გაგრძელდება, სანამ დევნილებს საკუთრება არ გაუჩნდებათ. 2010 წლიდან დევნილთა იმ კატეგორიის დაკმაყოფილება დაიწყება, რომლებიც ქირით ან ნათესავებთან ცხოვრობენ. ასეთ დროს დევნილთა საკითხებზე პოლიტიკური სპეკულაცია არაკორექტულია და სამინისტრო მსგავს ფაქტებს ყოველთვის შეეწინააღმდეგება.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# აშშ-საქართველო - თავისუფალ ვაჭრობაზე მსჯელობა მომავალი წლისთვის

პირველი გვერდიდან

ერთია, როგორც თქვენ ახსენეთ, ადგილობრივი პრიორიტეტები, ეკონომიკის ცუდი მდგომარეობა და მიმდინარე რეცესია, რომლებიც ჩვენი მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. მეორეა ზოგადად სავაჭრო შეთანხმებების სტატუსი. როგორც იცით, ამჟამად განიხილება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სამი სხვა შეთანხმება, რომლებზე მუშაობაც წინა ადმინისტრაციის დროს დაიწყო და ჯერ ისევ გრძელდება. ეს შეთანხმებები კოლუმბიას, პანამასა და სამხრეთ კორეას ეხება. ასეთი ეკონომიკის დროს უამრავი ამერიკელია უმუშევარი და ამერიკელების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სავაჭრო შეთანხმებები ხელს შეუშლის შეერთებულ შტატებში სამუშაო ადგილების შექმნას. ამიტომ საკმაოდ ძნელია ამ შეთანხმებებზე აქტიური მუშაობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ჯერ ისევ ჩემი გეგმების აქტიური ნაწილია, ისევე, როგორც სხვათა გეგმისა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს შეთანხმება კარგი იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე შეერთებული შტატებისთვის და ის ხელს არ შეუშლის ამერიკაში

VoA News.com ENGLISH

სამუშაო ადგილების შექმნას. მაგრამ უახლოეს მომავალში ამ შეთანხმების წინ წაწევა ძალიან ძნელი იქნება. განხილვები მომავალ წლამდე გადაიდება.

**- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის მხრივ თუ არის სხვა სიახლეები? ჩემი ინფორმაციით, საქართველოს ბაზარზე შემოსვლით დაინტერესებულია რამდენიმე მაღალტექნოლოგიური კომპანია.**

- მე ხშირად ვსაუბრობ საქართველოზე და ყოველთვის ვამახვილებ ყურადღებას, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კავშირების დამყარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას წინათ საუბარი მქონდა ამერიკული მაღლტექნოლოგიური კომპანიების რამდენიმე ასოციაციასთან. მათ, პირველ რიგში, სურთ, დარწმუნდნენ, რომ საქართველოში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მკაცრად დაიცავს ინტელექტუალურ საკუთრებას და იბრძოლებს პირატობის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ინტერნეტზე დადებულ ინფორმაციას ეხება. ასეთი კანონმდებლობის შემუშავება ის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რომელიც ამ კომპანიების საქართველოში მოზიდვამდე და მათი მხრიდან ამგვარი ინვესტიციების გაკეთებამდე უნდა გადაიდგას. საქართველოს საელჩო შეერთებულ შტატებში მზად არის მსგავსი დიალოგის საწარმოებლად. **საერთაშორისო საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებს საქართველოში მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე, თუმცა ბევრი კომენტარიც ისმის, რომ საარჩევნო კოდექსის რეფორმაში საკმაოდ ნელი პროგრესია. გარდა ამისა, უკვე ხშირად გამოითქმის შეშფოთება საქართველოში დემოკრატიის განვითარების შეფერხების გამოც. თქვენ როგორ აფასებთ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს?**

- პირადად მე და, ჩემთან ერთად, სხვებიც, ძალიან ვართ დაინტერესებულნი იმით, რომ საქართველომ ძლიერი დემოკრატიისკენ მიმავალი გეზით გააგრძელოს სვლა. ეს არის, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობა, ასევე - დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. ამ ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, გვინდა, ვნახოთ, რომ ჩატარებული არჩევნები იქნება თავისუფალი და სამართლიანი. მე ვესაუბრე პრეზიდენტ სააკაშვილს, სპიკერ ბაქრაძეს საარჩევნო რეფორმის და დემოკრატიული პრინციპების გაგრძელებაზე, იქნება ეს კანონის უზენაესობა, სიტყვის თავისუფლება თუ მედიის თავისუფლება. ამასთან ვესაუბრე საპარლამენტო განხილვებში ოპოზიციის მონაწილეობის მნიშვნელობაზე. გასული წლის განმავლობაში რამდენჯერმე დამარწმუნეს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და გარკვეული ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით კი პარლამენტში მყოფი ოპოზიცია, საარჩევნო ცვლილებების შემუშავებაზე პრეზიდენტის პარტიასთან ერთად მუშაობს. ასე რომ, საქართველოს ადმინისტრაციასთან ყოველი შესაძლებლობის დროს ვაგრძელებთ საუბარს იმის შესახებ, რომ დემოკრატიის პრინციპების დაცვასა და დემოკრატიული პროცესების წინსვლას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

*ესაუბრა ია მეურმიშვილი ("ამერიკის ხმის" ქართული რედაქცია)*

# ახალი საპრივატიზაციო გეგმა და საყვედური გაუმჭვირვალობისთვის

თამარ ივანიძე

*გუშინ პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭო ეკონომიკის მინისტრის მოადგილეებს უსმენდა. სამინისტრომ პარლამენტარებს ახალი საპრივატიზაციო გეგმა წარუდგინა და მათგან შენიშვნებიც მოისმინა. შენიშვნები, ძირითადად, პარლამენტართა შეკითხვების უგულებელყოფას ეხებოდა. სხვათა შორის, გუშინ ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკის სამინისტროსა და ზოგადად მთავრობისადმი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი მხოლოდ შენიშვნით არ შემოიფარგლება. იგი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას სასამართლოს გზით აპირებს.*

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ახალი საპრივატიზაციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას გეგმავს. ამის შესახებ პარლამენტში გამართულ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა განაცხადა და მიმდინარე წლის პოლიტიკა ნეგატიურად შეაფასა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის პრივატიზაციიდან ბიუჯეტში 76 მილიონი ლარის მობილიზება იგეგმებოდა, თუმცა მხოლოდ 10 მილიონის მობილიზება მოხდა. ცნობისათვის - ინვესტიციების მოზიდვის დაბალი ტემპი (რაც პრივატიზაციის პროცესსაც გულისხმობს) ეკონომიკის ექს-მინისტრ ლაშა ჟვანიასადმი პრეტენზიების ერთ-ერთი საფუძველი გახლდათ.

მომავალი წლისთვის, როგორც გობეჯიშვილმა აღნიშნა, სამინისტრო ახალი პოლიტიკით იმოქმედებს. კერძოდ, უკვე მიმდინარეობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა, რომელთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 1500 იქნება.

აღწერის შემდეგ კი ცალკე გამოიყოფა სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ინვესტორებისთვის მიმზიდველი ობიექტები და მათ პრივატიზებას აუქციონის წესით ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს.

დანარჩენი ობიექტების პრივატიზებას კი ადგილობრივი თვითმმართველობები მოახდენენ. ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემული ქონების პრივატიზაციიდან მიღებული თანხების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში მიიმართება. საპრივატიზაციო ნუსხა მომავალი წლის იანვრის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

თუმცა მიმდინარე შეხვედრასაც არ ჩაუვლია საყვედურების გარეშე - დეპუტატებმა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილებზე პასუხების გაუცემლობის გამო წაუყენეს პრეტენზიები.

როგორც ანტიკრიზისული საბჭოს გუშინდელ სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ გია თორთლაძემ აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როცა ანტიკრიზისულ საბჭოში ეკონომიკის სამინისტროს თავად ხელისუფლების წარმომადგენლები უჩივიან, რომ უწყება უპასუხოდ ტოვებს როგორც დეპუტატებისა და მოქალაქეების, ისე პრივატიზაციით დაინტერესებული პირების წერილებს.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გობეჯიშვილმა იქვე დადო ამ პრობლემის უახლოეს ხანებში მოგვარების პირობა.

თუმცა, წერილებზე პასუხის გაუცემლობა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს "თვისება" არ გახლავთ და ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი მხოლოდ დაპირებით დაკმაყოფილებას აღარ აპირებს.

დეპუტატი ცდილობს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან მიიღოს ინფორმაცია იმ ქონების შესახებ, რომლის გასხვისება 2004 წლის 1 იანვრიდან დღემდე პირდაპირი მიყიდვის ფორმით განხორციელდა. ცაგარეიშვილს ამის შესახებ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებების მიღებაც სურს.

ფინანსთა სამინისტოსგან დეპუტატი იმ სამართლებრივი აქტების გადაგზავნას ითხოვს, რომლებიც 2004 წლის 1 იანვრიდან დღემდე პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვას ეხება. რაც შეეხება ლტოლვილთა და განსახლების უწყებას, გია ცაგარეიშვილი დაინტერესებულია, ოფიციალური მონაცემების თანახმად, რა რაოდენობის დევნილია რეგისტრირებული თბილისსა და მის შემოგარენში კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში. დეპუტატი მეორე თვეა, სამინისტროებიდან საჯარო ინფორმაციის მიღებას უშედეგოდ ცდილობს. ცაგარეიშვილის მიერ გაგზავნილ სადეპუტატო მიმართვებს არც მთავრობის კანცელარია და პრეზიდენტის ადმინისტრაცია პასუხობენ. შედეგად, გია ცაგარეიშვილმა გუშინ განაცხადა, რომ სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მოპოვებისა და ცალკეულ სამინისტროებში გაგზავნილ სადეპუტატო შეკითხვებზე პასუხების მიღების მიზნით სამართლებრივ გზებს მიმართავს. ცაგარეიშვილს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მთავრობის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი შეაქვს. **"ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომლის მისაღებად ორი თვეა, სრულიად უშედეგოდ ვიბრძვი, მაგრამ თავის დანებებას მაინც არ ვაპირებ. სწორედ ამიტომ, მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი შემაქვს,"** - აცხადებს ცაგარეიშვილი.

## 161-ე სკოლაში H1N1 ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა

თბილისის 161-ე სკოლაში H1N1 ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა გამოვლინდა. ამჯერად ვირუსით მეორე კლასელი მოსწავლე დაინფიცირდა. მას ვირუსი გუშინწინ დაუდასტურდა. მოზარდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ის მკურნალობას ოჯახის პირობებში გადის.

"ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, 161-ე სკოლაში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა, თუმცა გაკვეთილებზე მოსწავლეების აქტივობა შემცირებულია.

სკოლაში ე.წ. ღორის გრიპის ეს უკვე მესამე შემთხვევაა.

## ნატო-ს ახალი ტრეინინგ ცენტრი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში, ტრეინინგ ცენტრი გაიხსნა. სასწავლო ინფრასტრუქტურა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ და ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამის ოფიცერმა დევიდ ჯონსონმა გახსნეს. ცერემონიას გაერთიანებული სამეფოსა და ლატვიის ელჩები დაესწრნენ.

პირველი ღონისძიება, რომელიც ცენტრში გაიმართა, თავდაცვისა და სამხედრო სფეროში მედიის ჩართულობისა და გამჭვირვალობის გაზრდის შესახებ სემინარია. სემინარზე აქცენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე და კრიზისულ სიტუაციებში მედიის როლსა და ფუნქციებზე გაკეთდა.

"ჯიეიჩენის" ინფორმაციით, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი ქვეყნებისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურების, სამხედრო, სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა.

## ტირძნისელი მოზარდების საკითხში ნიკოლა სარკოზი და ჯოზეფ ბაიდენი ჩაერთვებიან

ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გათავისუფლების საკითხში საფრანგეთის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი და აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი ჩაერთვებიან. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა, მანანა მანჯგალაძემ განაცხადა. მანჯგალაძის თქმით, აღნიშნულ საკითხში აქტიურ ჩართვას ევროკავშირიც გეგმავს.

"პრეზიდენტი ტელეფონით ესაუბრა ნიკოლა სარკოზის და ჯოზეფ ბაიდენს და მათ განაცხადეს, რომ პრეზიდენტ სარკოზის დავალებით მოხდა დაკავშირება პრემიერ პუტინთან, სწორედ იმ მოთხოვნით, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს დაკავებული ბავშვების გათავისუფლება", - განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

## ევროპარლამენტის სპეციალური მიმართვა

ევროპარლამენტმა ტირძნისიდან გატაცებულ ბავშვებთან დაკავშირებით სპეციალური მიმართვა მოამზადა. მიმართვაში ნათქვამია, რომ ბავშვები უპირობოდ უნდა გაათავისუფლდნენ.

"ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, ევროპარლამენტის წევრებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებისა და ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების შესახებ დეტალური ინფორმაცია პირადად საქართველოს ვიცე პრემიერმა, სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ მიაწოდა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ევროსაბჭოში შეხვედრებს ისევ მართავს.

ევროპელი დეპუტატები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერას ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ბავშვების პატიმრობა უკანონოა, ამიტომ ევროპა მხოლოდ მხარდამჭერი განცხადებებით არ უნდა შემოიფარგლოს.

ბრიუსელში ბარამიძის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია კონფერენცია, რომლის დროსაც იგეგმება გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ დოკუმენტის ინიცირება.

## დაღესტანში სწრაფი რეაგირების სპეციალური დანაყოფის მეთაური მოკლეს

"ინტერფაქსის" ინფორმაციაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იტყობინება, რომ ვიცეპოლკოვნიკ შაპი ალიგაჯიევს ორი უცნობი მაშინ დაესხა თავს, როდესაც ის საცხოვრებელი სახლიდან გამოდიოდა. თავდამსხმელებმა ალიგაჯიევს ჭრილობა გულის არეში მიაყენეს. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ერთ-ერთი თავდამსხმელის ლიკვიდირება ადგილზევე მოხდა. ის საპასუხო სროლის დროს ალიგაჯიევის თანმხმლებმა პოლიციელმა მოკლა. მეორემ კი გაქცევა მოახერხა.

## საწვავის ხარისხობრივი მონიტორინგის პირველი შედეგების პრეზენტაცია დღეს გაიმართება

საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე რეალიზებული საწვავის ხარისხობრივი მონიტორინგის პირველი შედეგების პრეზენტაცია დღეს სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომხმარებელთა და იმპორტიორთა კავშირიდან აცნობეს, პრეზენტაციაზე ლაბორატორიების დასკვნის საფუძველზე მიღებული მონიტორინგის შედეგები გამოქვეყნდება. ნავთობპროდუქტების კავშირისა და სერტიფიკაციის ორგანოს "მონიტორინგის" ინიციატივით, პირველად კომპანია "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" ავტოგასამართი სადგურების მონიტორინგი განხორციელდა. "სოკარის" კუთვნილ ავტოგასამართ სადგურებზე ბენზინისა და დიზელის საწვავზე სინჯები აიღეს, შემოწმდა საწვავის ჩასხმის დროს მისი ოდენობა. განხორციელდა ავტოგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურის დეტალური დათვალიერება. დალუქული სინჯები ნავთობპროდუქტების აკრედიტებულ ლაბორატორიაში გადაიგზავნა. მონიტორინგში ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირთან და "მონიტორინგის" წარმომადგენლებთან ერთად, "სოკარის", კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრ "REC Caucasus"-ის და ფონდი "ქართული ხარისხის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა კავშირში აცხადებენ, საწვავის ხარისხის მონიტორინგს პერმანენტული ხასიათი ექნება, ახლო მომავალში საწვავის ხარისხი რეგიონებშიც შემოწმდება, მათ შორის, ნაკლებად ცნობილ კომპანიებშიც. **ინტერპრესნიუსი**

## "თელასი" 5 000 ლარით დაჯარიმდა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) კომპანია "თელასი" 5 000 ლარით დააჯარიმა. კომპანიის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება სემეკ-მა გუშინდელ სხდომაზე მიიღო. კომპანია სემეკ-ის 38-ე დადგენილების შეუსრულებლობისა და ლიცენზიის პირობების დარგვევის გამო დაჯარიმდა. საქმე ეხება სოფელ შინდისის აბონენტებისთვის ინდივიდუალური მრიცხველების დაგვიანებით დამონტაჟებას. სემეკ-ის დადგენილების საფუძველზე, "თელასს" შინდისის მოსახლეობისთვის ინდივიდუალური მრიცხველები 2007 წელს უნდა დაემონტაჟებინა, თუმცა სამუშაოები 2008 წლის ნოემბერშიც არ იყო დასრულებული. "თელასმა" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიხადოს. ამასთან, კომპანიას საშუალება აქვს, სემეკ-ის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ოდენობა გაიზრდება. **ინტერპრესნიუსი**

## კომპანია "თელიანი ველის" მენეჯმენტში ცვლილებებია

ღვინის მწარმოებელი კომპანია "თელიანი ველის" მენეჯმენტში ცვლილებებია. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობა ყოფილმა კომერციულმა დირექტორმა შოთა ხობელიამ დაიკავა. "თელიანი ველის" სამთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ კი ელი ენოხი აირჩიეს, რომელიც კომპანია "Liberty Consumer"-ის გენერალური დირექტორია. "Liberty Consumer", თავის მხრივ, "თელიანი ველის" 27,2 პროცენტის მფლობელია. ამასთან, გუშინ გამართულ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე საბჭოს სამი წევრი აირჩიეს, მეოთხე დამოუკიდებელი წევრი კი მომავალი წლის პირველ კვარტალში აირჩევა. გარდა მენეჯმენტში ცვლილებებისა, შოთა ხობელიას განცხადებით, კომპანიაში ცვლილებები პროდუქტის შეფუთვის თვალსაზრისითაც განხორციელდა და ეტიკეტი შეიცვალა. თუმცა, ძველი ლოგო შენარჩუნდა. ახალი ეტიკეტის დიზაინი რუსი სპეციალისტების მიერ, ყველა საჭირო კვლევის საფუძველზე შემუშავდა. მიმდინარე წელს ჩამოსხმული პროდუქცია უკვე ახალი შეფუთვით გაიყიდება.

გარდა ამისა, კომპანია "თელიანი ველი" საექსპორტო არეალის გაფართოებას გეგმავს და ამჯერად აზიის ბაზრის ათვისების მიმართულებით მუშაობს. წელს 45 ათასი ბოთლი ღვინო უკვე გავიდა სინგაპურში, მომავალ წელს კი პროდუქციის გატანა მალაიზიაში, ჰონგ-კონგსა და ტაივანში იგეგმება. ამასთანავე, კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინეთში ექსპორტთან დაკავშირებითაც. კომპანია საახალწლოდ ახალი პროდუქციის გამოშვებასაც აპირებს. "თელიანი ველი" ამჯერად მომხმარებელს ე.წ ტიკის ღვინოს შესთავაზებს 3-ლიტრიან, 5-ლიტრიან და 10-ლიტრიან შეფუთვაში. პროდუქცია, ადგილობრივ ბაზართან ერთად, სხვა ქვეყნებშიც გაიყიდება. "თელიანი ველის" 25.1 პროცენტის მფლობელია კომპანია "ნიკორა", Liberty Consumer-ი 27,2 პროცენტს ფლობს, 12.9 პროცენტს - ამერიკული კომპანია Firebird-ი, 18 პროცენტამდე გაზარდა თავისი წილი კომპანიაში შვედურმა East Capital-მა, 7.5 პროცენტის მესაკუთრეა MP Invest Bank-ი. **ინტერპრესნიუსი**

# პატიმარი ქალები ბიზნესში

თინა შავაძე

გისოსებს მიღმა, საკნებში, 315 ქალმა ბიზნესის კეთების უნარ-ჩვევები შეიძინა და ერთი წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქტი ბაზარზე გამოიტანა. ასოციაციის "ქალი და ბიზნესი", საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და NORLAG/PRI-ს ხელშეწყობით, სამხატვრო გალერეა "ჰობის" დარბაზში პატიმარ ქალთა ნამუშევრების (თექა, გობელენი) გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილია 15 პატიმარი ქალის მიერ თექაში შესრულებული ქალის ტანსაცმელი, მათ შორის ქუდები, კაბები, შარფები, ჩანთები, ლაბადები, მანტოები. გარდა ამისა, გამოფენის ძირითადი ნაწილი პატიმარი ქალების თვალით დანახულ სამყაროს ეთმობა, რომელიც ნათელ და ხასხასა ფერებში, თექასა და გობელენში შესრულებულ მხატვრულ ტილოებშია გადმოცემული. თითოეული ნამუშევარი მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ ზოგიერთი ნამუშევარი 200-400 ლარის ფარგლებში იყიდება.

მიმდინარე წელს პატიმარმა ქალებმა ბიზნესის გაკვეთილები დონორი ორგანიზაციების ფინანსური ხელშეწყობით გაიარეს. კერძოდ, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან თანამშრომლობითა და საერთაშორისო ორგანიზაციის PRI/NORLAG ფინანსური მხარდაჭერით განახორციელებს პროექტს "მსჯავრდებულ ქალთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა პროფესიული სწავლების მეშვეობით". პროექტის ფარგლებში მომზადდა ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო რეჟიმის საპყრობილის N5 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები.

ასოციაცია "ქალი და ბიზნესის" პრეზიდენტი ნინო ელიზბარაშვილი ამბობს: "აღნიშნული პროექტის ფარგლებში ასოციაციამ დააფუძნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, ბიზნესისა და პროფესიული სწავლების ცენტრი, რომელიც მსჯავრდებულ ქალთა სასწავლო ბაზად გადაიქცა. ცენტრის ძირითადი მიზანია მსჯავრდადებულ ქალთა საზოგადოებაში ინტეგრაციის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებსა და სამეწარმეო კანონმდებლობაში ცოდნის დონის ამაღლება.

სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა 310 მსჯავრდებულმა ქალმა მიიღო. პროექტის განხორციელების შედეგად მსჯავრდებულმა ქალებმა პროფესიული უნარ-ჩვევები ისეთ პროფესიებში შეიძინეს, რომლებიც შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნით სარგებლობს. გათავისუფლების შემდგომ მათ დასაქმებისა და თვითდასაქმების პრობლემები მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდებათ, რაც დანაშაულის პრევენციასა და რესოციალიზაციას ხელს შეუწყობს.

ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო რეჟიმის საპყრობილეს N5 დაწესებულების კონსულტანტი ლუიზა კუჭაშვილი ამბობს: "გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების რეალიზაციით მიღებული თანხები პატიმართა შემდეგ სწავლებას, ახალი ნამუშევრების შექმნას და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება. როგორც ხედავთ, სწავლების პირველმა ნელმა წარმატებულად ჩაიარა. სამომავლოდ საპყრობილეში არსებობს ყველა ტექნიკური პირობა იმისა, რომ თექასა და გობელენში პატიმრებმა მაღალი დონის ნამუშევრები შექმნან. გარდა ამისა, იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე პროექტი დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით კვლავ გაგრძელდება

# საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია

მანანა ვარდიაშვილი

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 4474,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალ, ხოლო იმპორტზე - 3543,9 მლნ. აშშ დოლარი მოდის. 2009 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2613,5 მლნ. აშშ

დოლარია. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 99 პარტნიორ ქვეყანასთან დაფიქსირდა. ამ ქვეყნებთან სავაჭრო დეფიციტი 2766,1 მლნ. აშშ დოლარია. ამავე პერიოდში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი მხოლოდ 29 ქვეყანასთან ჰქონდა.

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს მილიონ აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი 13 ქვეყანასთან ჰქონდა. ესენი: კანადა (86,8 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (35,3 მლნ. აშშ დოლარი), ერაყი (7,9 მლნ. აშშ დოლარი), ლიბანი (3,2 მლნ. აშშ დოლარი), ანგოლა (3,1 მლნ. აშშ დოლარი),

ყაზახეთი (2,6 მლნ. აშშ დოლარი), ალბანეთი (2,4 მლნ. აშშ დოლარი), საუდის არაბეთი (2,0 მლნ. აშშ დოლარი), ბურკინაფასო (1,9 მლნ. აშშ დოლარი), უზბეკეთი (1,4 მლნ. აშშ დოლარი), ყირგიზეთი (1,4 მლნ. აშშ დოლარი), ეგვიპტე (1,2 მლნ. აშშ დოლარი) და სირია (1,0 მლნ. აშშ დოლარი).

2009 წლის პირველ 10 თვეში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 1249,7 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 30,3 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტზე 197,6, ხოლო

იმპორტზე - 1052,1 მლნ. აშშ დოლარი მოდის. ამ ქვეყნებზე მოდის საქართველოს სავაჭრო დეფიციტის 32,7 პროცენტი, საგარეო სავაჭრო ბრუნვის 27,9 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 21,2 პროცენტი და იმპორტის 29,7 პროცენტი.

დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წლის იანვარ-ოქტომბერში 1346,8 მლნ. აშშ დოლარია, აქედან ექსპორტზე 339,8, ხოლო იმპორტზე - 1007,0 მლნ. აშშ დოლარი მოდის. ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს სავაჭრო დეფიციტის 25,5 პროცენტი, საგარეო სავაჭრო ბრუნვის 30,1 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 36,5 პროცენტი და იმპორტის 28,4 პროცენტი.

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66,8 პროცენტს შეადგენს. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ-ს 3 ქვეყანა და მათზე მოდის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 24,6 პროცენტი..

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა 842,1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 18,8 პროცენტით ნაკლებია. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 3,3 პროცენტული პუნქტით - 15,5 პროცენტიდან 18,8 პროცენტამდე - გაიზარდა.

თურქეთში ექსპორტი 194,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 79,2 პროცენტია. ყველაზე მეტად შემცირებულია შავი ლითონების ჯართის (56,7 მლნ. აშშ დოლარით), ალუმინის ჯართის (8,6 მლნ. აშშ დოლარით) და აზოტოვანი სასუქების (5,8 მლნ. აშშ დოლარით) ექსპორტი. თუმცა, გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი, როგორიცაა: ზეთოვანი კულტურების თესლების ფქვილი (21,1 მლნ. აშშ დოლარით), კოპტონი (4,4 მლნ. აშშ დოლარით), ფეროშენადნობები (3,5 მლნ. აშშ დოლარით) და თხილი (2,2 მლნ. აშშ დოლარით).

შემცირება (144,1 მლნ. აშშ დოლარი) ფიქსირდება თურქეთიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის ნაწილში. მნიშვნელოვნად შემცირებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (16,9 მლნ. აშშ დოლარით), მერქან-ბურბუშელის ფილების (8,3 მლნ. აშშ დოლარით) და შავი ლითონების ლითონკონსტრუქციების (7,2 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. გაზრდილია ქაღალდისა და მუყაოს (2,9 მლნ. აშშ დოლარით), დამუშავებული ქვის (1,8 მლნ. აშშ დოლარით) და დაკონსერვებული პომიდორის (1,8 მლნ. აშშ დოლარით) ჯგუფების იმპორტი.

აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვა 452,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლის 64,5 პროცენტია. აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვის წილი 10,5 პროცენტიდან 10,1 პროცენტამდე შემცირდა. ექსპორტი აზერბაიჯანში შემცირებულია 35,7 მლნ. აშშ დოლარით. უმსხვილესი

საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების სიაში მოხვდა მსუბუქი ავტომობილები (33,2 მლნ. აშშ დოლარი) და ცემენტი (20,3 მლნ. აშშ დოლარი). აზერბაიჯანიდან იმპორტი შემცირებულია 213,3 მლნ. აშშ დოლარით და 307,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 59,1 პროცენტია.

უკრაინა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილზეა. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა 394,5 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 58,7 პროცენტია. უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 10 პროცენტიდან 8,8 პროცენტამდე შემცირდა. ექსპორტი შემცირებულია 51,3 მლნ. აშშ დოლარით, რაც ძირითადად ფეროშენადნობების (15,0 მლნ. აშშ დოლარით) და ყურძნის ნატურალური ღვინოების (6,9 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის შემცირებითაა გამოწვეული.

იმპორტი უკრაინიდან 226,8 მლნ. აშშ დოლარითაა შემცირებული და 336,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ყველაზე მეტად შემცირებულია რკინისა და ფოლადის წნელების (62,0 მლნ. აშშ დოლარით), ხორბლის ფქვილის (21,9 მლნ. აშშ დოლარით) და ქვანახშირის კოქსის (18,1 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. გაზრდილია მზესუმზირის თესლის (25,9 მლნ. აშშ დოლარით), ალაოს (3,1 მლნ. აშშ დოლარით) და ელექტრული ტრანსფორმატორების (2,4 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი.

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია - მის წილად 2009 წლის იანვარ-ოქტომბერში ექსპორტის 11,8 პროცენტი მოდის და 109,7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული ოქროს ექსპორტი 95,4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც ექსპორტის 10,3 პროცენტია. მესამე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი შემცირებულია 25,8 მლნ. აშშ დოლარით და 73,3

მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

2009 წლის იანვარ-ოქტომბერში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი იმპორტში 12,1 პროცენტია და 429,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 212,2 მლნ. აშშ დოლარია, რაც იმპორტის 6 პროცენტია. სამკურნალო საშუალებების იმპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18,2 მლნ. აშშ დოლარით, 134,9 მლნ. აშშ დოლარამდეა შემცირებული.

# საქართველოში ბიზნესის წარმატების კიდევ ერთი საწინდარი

ელენე გვასალია

"დიდუბე პლაზაში" გაიმართა სემინარი თემაზე "საინოვაციო ტექნოლოგიების კომერციალიზაცია და ბიზნესინკუბატორების ჩამოყალიბება". ეს პროექტი კავკასიის უნივერსიტეტისა და "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. მას საქართველოსა და ესტონეთის სოროსის ფონდის წარმომადგენლები აფინანსებენ.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კვლავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად რჩება. ამის მოგვარება ბიზნესინკუბატორის საშუალებით ნაწილობრივ შესაძლებელია. საერთოდ, ბიზნესინკუბატორი არის დაწესებულება, რომელშიც ახალბედა ბიზნესმენებს მათი საქმიანობის საგრძნობლად განვითარების საშუალება მიეცემათ. იქ ტარდება ტრენინგები, სადაც ამ სტრუქტურის შესაძლებლობებს სრულყოფილად შეისწავლიან.

სემინარი გახსნა კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო დარგის ვიცე-პრეზიდენტმა შალვა მაჭავარიანმა, ასევე კითხულობდნენ საპატიო სტუმრები, ანდრეი კიევალიკი (ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენელი), პირკო კონსა (ტექნოპოლისის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი), ინდრეკ იაკობსონი (საინოვაციო ცენტრის ხელმძღვანელი).

სემინარი 5 საათს გაგრძელდა. მას ასევე ესწრებოდნენ კავკასიის უნივერსიტეტის და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტები კახა შენგელია და ელგუჯა მელაძე. გრძელი და საინტერესო სემინარის შუალედში სტუმრები ყავასა და ნამცხვრებს აგემოვნებდნენ.

როგორც ბატონმა შალვა მაჭავარიანმა აღნიშნა, არსებობს განსხვავებული სახის და საქმიანობის ხასიათის ბიზნესინკუბატორები, მათი ამუშავებისათვის კი საჭიროა მოქმედი და ასევე ახლად დაფუძნებული ფირმებისაგან რელევანტური ინფორმაციის მიღება, რათა მათი მოთხოვნილებები უკეთ იქნას გათვალისწინებული.

საქართველოში ბიზნესინკუბატორის ფართოდ განვითარება ყველაზე გვიან 2010 წლის დასაწყისში უნდა მოხდეს. ტრენინგები უკვე ტარდება, ხოლო მომდევნო სემინარს საქართველოში მყოფი ესტონელები და ქართველი ექსპერტები უკვე ქალაქ ბათუმში წარმართავენ.

# გიორგობის კვირეულში "კათარზისის" სტუმრებს "გაერთიანებულმა ტელეკომმა" მასპინძლობს

"გაერთიანებული ტელეკომი" გიორგობის კვირეულში ასოციაცია "კათარზისის" წევრებს სადილით უმასპინძლდა. ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად 385 ადამიანმა იღებს უფასო სადილს.

"გაერთიანებული ტელეკომი" მოხარულია, რომ მიეცა საშულება მონაწილეობა მიიღოს და მცირეოდენი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ პროექტში, გაუწოდოს სოციალურად დაუცველი პირებს დახმარების ხელი. როგორც "გაერთიანებული ტელეკომის" მარკეტინგის განყოფილების წარმომადგენელმა თამთა ლაზიშვილმა განაცხადა, კომპანია მომავალშიც გეგმავს ასოციაცია "კათარზისთან" თანამშრომლობას.

"ბიზნეს კომპანიების დახმარებას ყოველთვის სიხარულით ვხვდებით. ამ კვირასაც "გაერთიანებული ტელეკომის" ხელშეწყობით ჩვენს სტუმრებს საშუალება აქვთ მიიღონ უფრო ნოყიერი, კალორიული სადილი" - განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტის მოადგილემ ნანა მოსხელიშვილმა.

"გაერთიანებული ტელეკომი" აქტიურად მონაწილეობს სოცალურ აქციებში და თავადაც არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის ინიციატორი. კომპანიის 5600 სოციალურად დაუცველი აბონენტი განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს. სპეციალური ტარიფები მოქმედებს **პირველი ჯგუფის ინვალიდებზე, ყველა უსინათლო პირზე, მხოლოდ უმუშევარი პენსიონერებისგან შემდგარ ოჯახებზე, მარჩენალდაკარგული ოჯახებზე, მარტოხელა პენსიონრებზე, მარტოხელა ბავშვობიდან ინვალიდებზე, რომლებსაც მარჩენალი არ გააჩნიათ. ასევე, სპეციალური პაკეტი არსებობს პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე.** ყველა ამ კატეგორიას "გაერთიანებული ტელეკომი" განახევრებული ტარიფით ემსახურება.

"ახალი ტარიფების შემოღებასთან ერთად კომპანიამ **სპეციალური შეღავათები დაუწესა სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულ პირებს** (პირველი ჯგუფის ინვალიდი, ყველა უსინათლო ინვალიდი, მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებისგან შემდგარი ოჯახი და ოჯახი მარჩენალ დაკარგული წევრით**).** აღნიშნულმა პირებმა აირჩიეს პაკეტები და მიიღეს 50% ფასდაკლება სააბონენტო გადასახადზე. ასევე, 3 ათასზე მეტი პირისთვის კვლავ ძალაში დარჩა ის შეღავათები, რომლებიც 2003 წლიდან ვრცელდებოდა - სააბონენტოზე. ეს არის 50% -იანი ფასადაკლება და ასევე უფასო წუთები ყველა ქსელზე სასაუბროდ. ამავე დროს შევქმენით მობილური ჯგუფები, რომლებიც მოემსახურნენ იმ პირებს, ვინც სერვის-ცენტრში მოსვლა ვერ შეძლო. ბინაზე მისვლით მათ გაუფორმდათ კონტრაქტები, აირჩიეს პაკეტები. ამ კატეგორიის აბონენტების იდენტიფიცირება ხდება ბაზაში და შემდეგ 50%-იანი შეღავათი უწესდებათ." - გვითხრეს "ტელეკომის" სერვის ცენტრში.

**აბონენტი ლალი ფირცხალავა** - "ოჯახში პენსიონერები ვართ - მე და ჩემი მეუღლე. 7 ლარიანი პაკეტი ავირჩიე, ულიმიტო საუბრებით და ნოემბრიდან 3 ლარსა და 50 თეთრს გადავიხდი. დიდი შეღავათია ჩვენთვის, მაშინ როცა თითოეულ თეთრს ვუფრთხილდებით."

**აბონენტი მარიამ მახათაძე** - "ჩვენი ოჯახი სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაშია შეყვანილი, მარჩენალდაკარგულის სტატუსით. რეკლამაში მოვისმინე, რომ შესაძლებელია მივიღო 50%-იანი ფასდაკლება სააბონენტო გადასახადზე. ეხლა დავრეგისტრირდი, გამიფორმდა ხელშეკრულებაც. აქამდე 4 ლარიანი პაკეტი მქონდა არჩეული. ახლა შეღავათი რადგან დამიწესდა, პაკეტი გამოვცვალე და 7 ლარიანზე გადავედი. ჩემი გათვლებით უფრო ეკონომიურია, რადგან უფასოდ ვისაუბრებ ახლობლებთან და სააბონენტოსაც ნახევარს გადავიხდი"

"პირველი ჯგუფის უსინათლო პირები განსაკუთრებული კატეგორიაა. მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ შეღავათები სატელეფონო მომსახურებაზე. ამიტომაც დაწესებულია 50%-იანი ფასდაკლება სააბონენტო გადასახადზე, ანუ იმ ტარიფზე, რასაც აირჩევენ და ასევე, სარგებლობენ 400 წუთიანი უფასო სასაუბრო დროით." - განგვიმარტეს "გაერთიანებული ტელეკომის" სერვის-ცენტრში.

პირველი ჯგუფის უსინათლო პირები, რომელიც აირჩევენ 4 ლარიან პაკეტს, გადაიხდიან 2 ლარს სააბონენტო გადასახადს (50%) და ისარგებლებს პაკეტით გათვალისწინებული 100 უფასო წუთით და ასევე შეღავათით გათვალისწინებული 400 წუთით.

"ჩვენთვის, უსინათლო ინვალიდებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა "ქალაქის ტელეფონი" - აცხადებს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენელი ირმა ბარაბაძე -"გაერთიანებული ტელეკომი" 2006 წლიდან კერძო კომპანია გახდა და იყო მოლოდინი, რომ შეღავათების თემაც აღარ იარსებებდა. თუმცა, აი უკვე რამდენიმე წელია ამ კომპანიის ყურადღება და გულშემატკივრობა არ მოგვკლებია. მეტიც, კომპანიამ უკაბელო ტელეფონზეც დაგვიწესა შეღავათები თბილისში. ახალი ტარიფების პირობებში ჩვენი შეღავათები კვლავ გათვალისწინებულია და როგორც ვიცი სხვა კატეგორიებიც არ დატოვა კომპანიამ უყურადღებოდ. ასეთი დამოკიდებულებით უფრო დაცულად ვგრძნობთ თავს. მადლობის მეტი რა გვეთქმის."

## სააღსრულებლო საქმიანობის წარმოება ელექტრონული ხდება

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სააღსრულებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც თბილისის სააღსრულებლო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე სანდრო ბარნაბიშვილმა განაცხადა, ახალი პროგრამის მიხედვით, სააღსრულებლო საქმიანობის წარმოება ელექტრონული გახდება. სააღსრულებლო საქმიანობის მსვლელობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებას კრედიტორი და მოვალე სააღსრულებლო ბიუროში მიუსვლელად ბიუროს საიტზე განთავსებული პროგრამის საშუალებით შეძლებენ.

პროგრამაში შესასვლელად მათ უნდა გაიარონ ავტორიზაცია და შეიყვანონ მათთვის მინიჭებული შტრიხ-კოდი. სანდრო ბარნაბიშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამა თბილისის მასშტაბით უკვე მოქმედებს და წლის ბოლომდე მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება. მისივე განცხადებით, ამჟამად პროგრამაში შეტანილია მიმდინარე საქმეები. 2010 წელს კი მოხდება წინა წლის საქმეების დარეგისტრირება.

*მედიანიუსი*

## აბიტურიენტ მსჯავრდებულებს ეროვნული გამოცდებისთვის მოამზადებენ

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების მსჯავრდებულებს 2010 წლის ეროვნული გამოცდებისთვის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები მოამზადებენ.

ეროვნული გამოცდებისთვის მზადების პროცესს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მინისტრის მოადგილე ლევან ზარანდია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე და უნივერსიტეტის ლექტორები ადგილზე გაეცნენ. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ლექტორები უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად სავალდებულო საგნების მიხედვით ამეცადინებენ. მსჯავრდებულები ყველა საჭირო ლიტერატურით, წიგნებითა და ტესტებით უკვე უზრუნველყოფილი არიან და დაწესებულებაში მათი მომზადებისთვის სათანადო პირობებიც შექმნილია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი არასრულწლოვან აბიტურიენტებს გამოცდებისთვის მზადების პერიოდში სრულ მხარდაჭერასა და ხელშეწყობას დაჰპირდა.

მსჯავრდებულებისთვის განათლების უზრუნველსაყოფად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. სამინისტრო აქტიურად მუშაობს სპეციალური პროგრამების შემუშავებაზე, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულებს დისტანციური სწავლების, ლექციების ელექტრონულ (ონ-ლაინ) რეჟიმში მოსმენის შესაძლებლობა მიეცემათ.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსმა მესაზღვრეებმა უკრაინის მოქალაქე მოკლეს

რუსმა მესაზღვრეებმა რუსეთ-უკრაინის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დროს უკრაინის მოქალაქე მოკლეს. "ინტერფაქს-უკრაინა"-ს ინფორმაციით, უკრაინის მოქალაქე "ნივის" მარკის ავტომობილით რუსეთ-უკრაინის საზღვრის გადაკვეთას უკანონოდ ცდილობდა. რუსმა მესაზღვრეებმა თავდაპირველად გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელს, თუმცა მგზავრი გაჩერების მოთხოვნას არ დამორჩილდა. ამის შემდეგ მესაზღვრეებმა კიდევ ერთი გასროლა მოახდინეს, უკრაინის მოქალაქე კისრის არეში დაიჭრა და მიყენებული მძიმე ჭრილობით ადგილზე გრდაიცვალა.

გავრცელებული ინფორმაციით, მოკლული უკანონო გზით ცდილობდა უკრაინაში ცურვისთვის საჭირო აღჭურვილობა შეეტანა.

მომხდარის შესახებ რუსულმა მხარემ ინფორმაცია უკრაინელ მესაზღვრეებს, შს სამინისტროს, უკრაინის უშიშროების სამსახურს და პროკურატურას უკვე მიაწოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ომბუდსმენის აპარატის სამართლებრივი შეფასება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ომბუდსმენის აპარატი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის კონსტიტუციასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობას სწავლობს. ანალიზის დასრულების შემდეგ კი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, მისთვის ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტს შესაბამისი წინადადებებით მიმართავს, ხოლო თუ ეჭვქვეშ დადგება კანონის ნორმათა კონსტიტუციურობა - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. რამდენად შეესაბამება "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი საქართველოს კონსტიტუციას და საერთაშორისო ნორმებს, ამის გარკვევა ომბუდსმენის აპარატმა ერთი კონკრეტული ფაქტიდან გამიომდინარე გადაწყვიტა. საუბარია მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრების დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას დაკავებისა და ადმინსიტრაციული წესით გასამართლების ფაქტზე. საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტი შეისწავლა და მას სამართლებრივი შეფასებაც უკვე მისცა.*

სამართალდამცველ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა - ასეთი იყო დაკავებულებისთვის წარდგენილი ბრალდებები

"დაჩი ცაგურია, ჯაბა ჯიშკარიანი და ირაკლი კორძაია იმყოფებოდნენ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შესასვლელიდან 25-30 მეტრში, რა დროსაც არღვევდნენ "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. მათ პატრულ-ინსპექტორებს ვერ წარუდგინეს სათანადო ნებართვა, აფერხებდნენ ფეხით მოსიარულეთა თავისუფალ გადაადგილებას. პატრულ-ინსპექტორების მიერ სამართალდარღვევის აღკვეთის დროს, მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სამართალდამცველებს," - ასეთია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სამივე დაკავებულს ადმინისტრაციული სასჯელი - 500 ლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრათ. სასამართლომ ისინი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

"დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას მიმართ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. დაჩი ცაგურიას, ირაკლი კორძაიასა და ჯაბა ჯიშკარიანს აბსოლუტური უფლება ჰქონდათ საჯაროდ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და არ ეკისრებოდათ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება. ის არგუმენტი, რომ მათ პატრულ-ინსპექტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი ნებართვა, არის სამართლებრივ საფუძველს მოკლებული. უფრო მეტიც, დღეს მოქმედი კანონი ნებართვის გაცემას აქციის ან მანიფესტაციის ჩატარებისთვის არ იცნობს," - ასეთ დასკვნას აკეთებენ ომბუდსმენის პარატის წვრები საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის ცალკეულ პუნქტებზე და "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მუხლებზე დაყრდნობით.

როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, საქართველოს კონსტიტუციით "ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ." გიორგი ტუღუშის თანამშრომლების განცხადებითვე, გათვალისწინებულია გამონაკლისი, რა შემთხვევაშიც, მოქალაქეებს არ აქვთ ვალდებულება წინასწარი გაფრთხილება გაუგზავნონ შესაბამის ორგანოს, კერძოდ: "გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელები და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა."

ამ განმარტებების შესაბამისად, უნდა იყოს დაცული შემდეგი მოთხოვნები: მანიფესტაციის დროს მანიფესტანტებმა არ უნდა გამოიყენონ შენობების შესასვლელები; არ უნდა გამოიყენონ შენობების კიბეები; არ უნდა გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი და არ უნდა შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.

"არსებულ ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს, რომ შეკრების სამ მონაწილეს არ ჰქონია გადაკეტილი გზის სავალი ნაწილი და არც ხალხის მოძრაობა შეუფერხებია. ისინი დაკავების მომენტისთვის ისხდნენ ხალხის სავალი ნაწილის სიახლოვეს არსებულ საფეხურზე, შესაბამისად, ისინი არანაირ დაბრკოლებას არ უქმნიდნენ ფეხით მოსიარულეებს. რაც შეეხება პარლამენტის შენობის კიბეებს. ვიდეოჩანაწერიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ აქციის მონაწილე სამივე პირი იჯდა არა პარლამენტის შენობის კიბეებზე, არამედ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზის სავალი ნაწილიდან პარლამენტის წინ არსებულ მოედანზე ასასვლელ საფეხურებზე. აღნიშნული დასტურდება სასამართლო დადგენილებებითაც, ვინაიდან, დადგენილებაში წერია, რომ აქციის მონაწილეები იმყოფებოდნენ პარლამენტის შესასვლელიდან 25-30 მეტრში. ის არგუმენტი, რომ აქციის მონაწილეებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს პატრულ-ინსპექტორებს, არ დასტურდება გავრცელებული ვიდეომასალიდან. ვიდეოჩანაწერში კარგად ჩანს, რომ სამივე პირი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაემორჩილა პატრულ ინსპექტორთა მოთხოვნას და ჩაჯდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟში," - ასეთია სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ მასალებზე მომზადებული ანალიზი.

# დეპუტატი საქართველოს მთავრობას სასამართლოში უჩივლებს

*დეპუტატი გია ცაგარეიშვილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებით მთავრობას სასამართლოში უჩივის. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დეპუტატის სარჩელი ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის, ეკონომიკის მინისტრ ზურაბ პოლოლიკაშვილის და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კოტა სუბელიანის წინააღმდეგ შევა.*

როგორც დეპუტატი აცხადებს, მეორე თვეა ფინანსთა, ეკონომიკის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებიდან საჯარო ინფორმაციის მიღებას უშედეგოდ ცდილობს. დეპუტატის განცხადებით, მის მიერ გაგზავნილ სადეპუტატო მიმართვებს არც მთავრობის კანცელარია და პრეზიდენტის ადმინისტრაცია პასუხობენ.

დეპუტატი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან ითხოვს ინფორმაციას იმ ქონების შესახებ, რომლის გასხვისებაც განხორციელდა 2004 წლის 1 ივნვრიდან დღემდე პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ამასთან დაკავშირებით, ცაგარეიშვილს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებების მიღებაც სურს. გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით ქონება გაცემულია უცხოეთში დარეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც კი.

ფინანსთა სამინისტოსგან დეპუტატი იმ სამართლებრივი აქტებს ითხოვს, რომლებიც 2004 წლის 1 იანვრიდან დღემდე პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვას შეეხება.

რაც შეეხება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. გია ცაგარეიშვილს აინტერესებს, ოფიციალური მონაცემების თანახმად, რამდენი დევნილია რეგისტრირებული თბილისსა და მის შემოგარენში არსებულ კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში.

**"ეს არის საჯარო ინფორმაცია, რომლის მისაღებად ორი თვეა, სრულიად უშედეგოდ ვიბრძვი, მაგრამ თავის დანებებას მაინც არ ვაპირებ. სწორედ, ამიტომ ამ სამინისტროების თავკაცთა წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი შემაქვს,"** - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, დეპუტატი პარლამენტში დიპლომატიური კორპუსისა და მთავრობის წარმომადგენლების მიწვევას აპირებს. მისი თქმით, დიპლომატიურ კორპუსს გააცნობს, თუ რამდენად დახურულია საჯარო ინფორმაცია საქართველოში არა თუ ჩვეულებრივი მოქალაქისთვის, არამედ პარლამენტის წევრისთვისაც კი.

თუმცა, მანამდე გია ცაგარეიშვილი კიდევ ერთხელ მიმართავს წერილით საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს და აღნიშნული ინფორმაციების მიწოდებას კიდევ ერთხელ მოითხოვს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ადვოკატთა ნაწილი ახალ გაერთიანებას ქმნის

*ადვოკატთა ნაწილი ერთიანდება და ახალ გაერთიანებას ქმნის. მათი ინიციატივით, ფუძნდება ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის". ორგანიზაციის მიზანია, ადვოკატის ინსტიტუტის გადარჩენა და დამოუკიდებელ ადვოკატთა ძლიერი კორპუსის შექმნით სამართლებრივ სახელმწიფოს მშენებლობისთვის ხელშეწყობა.*

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ადვოკატები დავით ასათიანი, დიმიტრი გაბუნია, მანანა კობახიძე, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული, რუსუდან პიტავა, ზურაბ ტაბიძე, ირაკლი ყანდაშვილი, აკაკი ჩარგეიშვილი და სხვები.

დღეს სასტუმრო "რედისონში" დამფუძნებლები კოლეგებს გააცნობენ ორგანიზაციის მიზნებს, პრინციპებს და პრიორიტეტებს. შეხვედრის შემდეგ, მოქმედი ადვოკატები მემორანდუმზე ხელმოწერით დაადასტურებენ, რომ იზიარებენ ორგანიზაციის საერთო პრინციპებსა და ფასეულობებს და სურთ აღნიშნულ ორგანიზაციში გაწევრიანება.

ახალი ორგანიზაციის დამფუძნებელთა განცხადებით, ადვოკატთა ახალი ორგანიზაციის შექმნა განაპირობა საქართველოში არსებულმა რეალობამ.

**"ადვოკატთა ასოციაციამ ვერ შეძლო ადვოკატთა კორპუსის გაძლიერების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ადვოკატთა ახალი გაერთიანების შექმნა, რომლის მთავარი პრინციპი იქნება აპოლიტიკურობა, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და გუნდური მუშაობა,"** - აცხადებენ ახალი ორგანიზაციის დამფუძნებლები, რომლებიც

მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებელ და პროფესიონალ ადვოკატთა გაერთიანებით შეძლებენ ერთ გუნდად მოვიდნენ ადვოკატთა ასოციაციაში და ადვოკატთა ასოციაცია გახადონ სტრუქტურა, სადაც მთავარი პრიორიტეტი იქნება ადვოკატთა პრესტიჟის ამაღლება, სამართლებრივი სისტემების და კოლეგების პატივისცემა, გადაწყვეტილებების გამჭვირვალე, გუნდური და დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიღება.

ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ადვოკატს, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესია პროფესიონალიზმი, შეუერთდეს მათ, რათა ერთობლივი ძალებით შესაძლებელი გახდეს ადვოკატთა კორპუსის ძლიერ და სამართლიან გაერთიანებად ჩამოყალიბება.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ბრიტანეთმა ერაყში ომი "სუსტი არგუმენტებით" დაიწყო

მარიკა იაშვილი

ერაყში ნატო-ს შეიარაღებული ძალების შეჭრამდე რამდენიმე დღით ადრე ბრიტანულმა დაზვერვამ მიიღო ინფორმაცია, რომ სადამ ჰუსეინს, სავარაუდოდ, არ ჰქონდა საშუალება, თავის განკარგულებაში მყოფი ქიმიური იარაღი გამოეყენებინა.

ასეთი განცხადება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უილიამ ერმანმა პარლამენტში ერაყის ომის დაწყების შესახებ გამართული მოსმენის დროს გააკეთა.

მისი თქმით, ანგარიშში, რომელიც ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაზვერვისგან მიიღო, გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღი "დაშლილ მდგომარეობაში იყო" და ჰუსეინს "მისი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანის ბრძანება ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცემული."

კიდევ ერთი, დაახლოებით, იმავე დროს შედგენილი ანგარიშის ავტორები ვარაუდობდნენ, რომ ერაყი ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის აუცილებელი ქიმიკატების სიმცირეს განიცდიდა, - აღნიშნა ერმანმა.

მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ ერაყში შეჭრის იდეას მხარს უჭერს, რადგან, მისი თქმით, ერაყი გაერო-ს რეზოლუციებს მუდმივად არღვევდა.

ამავდროულად, ერმანი აცხადებს, რომ დაზვერვას წინააღმდეგობრივი მონაცემები ჰქონდა და მათზე დაყრდნობით ერაყში არსებული რეალური ვითარების გარკვევა შეუძლებელი იყო.

უილიამ ერმანი დიდი ბრიტანეთის საგარეო დეპარტამენტის თავდაცვისა და დაზვერვის განყოფილებების უფროსის თანამდებობას 2002-2004 წლებში იკავებდა.

მოსმენის ფარგლებში მან განაცხადა, რომ სამხედრო ოპერაციის დაწყების საკითხში სადაზვერვო სამსახურის როლი "შეზღუდული" იყო, ხოლო ის ფაქტი, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინეს, მთავრობისთვის "სიურპრიზი" გახდა.

ერაყში ომის დაწყების ოფიციალური მიზეზები, მათ შორის ისიც, რომ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა, რომლის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანაც 45 წუთში შეიძლებოდა, ბრიტანეთის პარლამენტსა და საზოგადოებაში დღემდე დავისა და განხილვის საგანია.

მოსმენების დაწყების მეორე დღესვე კომისიამ ყურადღება იმაზე გაამახვილა, თუ რამდენად სერიოზული იყო ერაყიდან მომავალი საფრთხე და რამდენად დიდი გავლენა მოახდინა ომის დაწყების გადაწყვეტილებაზე ინფორმაციამ, რომ ჰუსეინი იარაღს ფლობდა.

ოპოზიციური "ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ედ დეივიმ "გასაოცარი აღმოჩენა" უწოდა ერმანის მონათხრობს, რომელიც ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის განცხადებებთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის. ბლერი ამტკიცებს, რომ ერაყი საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის "უეჭველ და აშკარა საფრთხეს" წარმოადგენდა.

**"ეს ყოფილი პრემიერ-მინისტრის რეპუტაციას მნიშვნელოვნად ვნებს,** - აცხადებს დეივი, - **ომის დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ მიზეზებში დარწმუნებული არ ხარ, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს."**

# იტალიელი პარლამენტარის აზრი ლიტვინენკოს მკვლელობაზე

***"რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური ბიუროს ყოფილი თანამშრომლის ალექსანდრ ლიტვინენკოს მკვლელობის მიზეზი შესაძლო, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია - რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტთან იტალიელი პოლიტიკოსების კავშირი ყოფილიყო. ლიტვინენკო იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ რომანო პროდის რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში ამხელდა,"*** - *განაცხადა რადიო "თავისუფლებისთვის" მიცემულ ინტერვიუში იტალიელმა დეპუტატმა პაოლო გუცანტიმ.*

პაოლო გუცანტი 2002-2006 წლებში ე.წ. მიტროხინის კომისიას თავმჯდომარეობდა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი თანამშრომლის ვასილ მიტროხინის მიერ მიწოდებულ მასალებს - საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქმიანობის თაობაზე დოკუმენტებს სწავლობდა. გუცანტიმ სამი თვის წინ გამოსცა წიგნი "ჩემი აგენტი საშა", სადაც წერს, რომ ლიტვინენკო კომისიის მთავარი ინფორმატორი იყო.

**"იგი ბევრ ინფორმაციას გვაწვდიდა, მის ყველა ინტერვიუს ვიდეოფირზე ვიწერდით,"** - აცხადებს გუცანტი.

**"იმის ალბათობა, რომ ლიტვინენკო "მიტროხინის" კომისიის გამო მოკლეს, დიდია. პუტინს კომისიის მუშაობის ჩაშლის დიდი ინტერესი ჰქონდა. ლიტვინენკოს მოწამვლის დღეს, კომისიის წევრი მარიო სკარამელო შეხვდა, რომელმაც მოუყვა როგორც მის მიმართ, ისე ლიტვინენკოს მისამართით გამოთქმული მუქარის თაობაზე, რომელიც ელექტრონული ფოსტით მიიღო,"** - წერს გუცანტი, რომლის აზრითაც, შესაშინებელი წერილი სპეციალურად გააგზავნეს, რათა სკარამელოსა და ლიტვინენკოს შეხვედრა შემდგარიყო, შემდეგ კი, ეჭვი სკარამელოზე მიეტანათ.

**"ალბათ, თავად ლიტვინენკომაც იფიქრა, რომ სკარამელომ მოწამლა. იგივეს ეჭვობდა დიდი ბრიტანეთის პოლიციაც. ყველა ასე ფიქრობდა. რამდენიმე დღის განმავლობაში დადიოდა ხმები, რომ ვერაგმა იტალიელმა საცოდავი ლიტვინენკო მოწამლა. საშას გარდაცვალებამდე არავინ იცოდა, ვინ იყო სკარამელო და რას საქმიანობდა "მიტროხინის კომისია".**

**სკარამელო და ლიტვინენკო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში უნდა შეხვედროდნენ რუსეთის წარმომადგენელ იგორ პონომარიოვს, მაგრამ იგი უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალა. სავარაუდოდ, პონომარიოვიც მოკლეს, ისიც ლიტვინენკოს მსგავსად რადიოაქტიული ნივთიერებით მოწამლეს. გამოძიების ჩატარება ვერ მოხერხდა, რადგან რუსეთის საელჩომ სასწრაფოდ გადაასვენა მისი ცხედარი,"** - აცხადებს იტალიელი დეპუტატი.



*რომანო პროდი*

*პაოლო გუცანტი*

გუცანტი დიდი ხანია ამტკიცებს, რომ ლიტვინენკო ექს-პრემიერის რომანო პროდის მაკომპრომეტირებელი მასალების გამო მოკლეს. იგი წერს, რომ იგივე კომპრომატის გამო, 2007 წელს რუსი ჟურნალისტი ივან საფრონოვი და 2005 წელს უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის გენერალი ანატოლი ტროფიმოვი მოკლეს.

როგორც ცნობილია, "მიტროხანოვის კომისიამ" დაადგინა, რომ პროდი რუსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტთან იყო დაკავშირებული.

**"თუმცა, იტალიური გაზეთები ამ საკითხით არ დაინტერესდნენ, რადგან დღეს იტალიაში თავისუფალი პრესა ფაქტობრივად არ არსებობს. ბერლუსკონის იტალია იმდენად მეგობრობს პუტინის რუსეთთან, რომ იტალიაში რუსეთის სპეცსამსახურებისა და პუტინის კრიტიკა უბრალოდ, აკრძალულია,"** - ამბობს გუცანტი.

2007 წლის იანვარში ტელეკომპანია BBC-მ ალექსანდრე ლიტვინენკოს საუბრის ვიდეოჩანაწერი აჩვენა, სადაც იგი მარიო სკარამელოს რომანო პროდის კგბ-ს აგენტობის თაობაზე უყვება. ჩანაწერში ლიტვინენკო ამბობს, რომ ინფორმაცია გენერალმა ტროფიმოვმა მიაწოდა.

ვოდეოჩანაწერის გასვლის შემდეგ, პროდის პრეს-მდივანმა შემდეგი სახის კომენტარი გააკეთა: **"სამწუხაროა, რომ ბრიტანული არხი გადასცემს არარეალურ წყაროზე დაყრდნობილ არასარწმუნო ინფორაციას, რომელიც ავანტიურისტების მიერაა გავრცელებული."**

მაშინვე, იტალიურმა გაზეთმა La Repubblica-მ დაწერა, რომ "სკარამელო ლიტვინენკოსთან სწორედ გუცანტიმ მიაგზავნა, რადგან "მიტროხინის კომისიის" მუშაობის ვადა იწურებოდა და გუცანტის სურდა ეპოვნა ადამიანი, რომელიც ფულის სანაცვლოდ, იტალიელ პოლიტიკოსს საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირში დაადანაშაულებდა.

# ვინ მართავს მოლდოვურ ქაოსს

ეს ნამდვილად არ არის მარტივი საკითხი. არსებობს მოსაზრება, რომ ყველაფრის უკან მიხაი გიმპუ დგას, მის ზურგში კი მეზობელი ქვეყნების შესაბამისი სამსახურები. ლაპარაკია კომუნისტურ თამაშზეც. ხშირად ახსენებენ "მოსკოვის ხელს" და თვით "ტირასპოლის ინტრიგებსაც." თუმცა ჯერჯერობით გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ ქაოსი არსებობს და ის იმართება.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურმა ომმა მოლდოვაში სრულიად ახალი კონტურები შეიძინა. ლიბერალები ყველა შესაძლო და შეუძლებელ ცოდვაში ჯერ კიდევ მაშინ დაადანაშაულეს, როცა მთავრობა არ იყო ჩამოყალიბებული. ოპონენტებმა მათ ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობა, ტარიფების გაზრდა, ჟურნალისტების დევნა, რუსულენოვანი მედიის შევიწროვება და სხვა მსგავსი ბრალდებები წაუყენეს.

საერთო ისტერიამ, რომელიც "კომუნისტების" მიერ მასმედიის მოქნილად მანიპულაციის წყალობით დაინო, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ეს პროცესი ისეთ პარადოქსებამდეც კი მივიდა, რომ "კომუნისტები" 2005 წელს მედიისთვის მათ მიერვე დაწესებული შეზღუდვების მოხსნას ახალი მთავრობისგან მოითხოვდნენ. ადგილობრივ მასმედიაში "კომუნისტური პარტიის" წინააღმდეგ ბრალდებები და ქვეყანაში მათი მოღვაწეობის აკრძალვის მოთხოვნებიც გაჩნდა. ყველაფერი ეს ერთად კი, ბუნებრივია, ქვეყანაში წესრიგს არღვევს და ქვეყნის სახელმწიფოებრიობასა და სტაბილურობას საფრთხეს უქმნის.

უცნობია, ვინ დგას ამ ქაოსის უკან ან დგას თუ არა საერთოდ ვინმე, მაგრამ ერთი რამ ნათელია, ქვეყანაში პანიკაა, რომელიც ადამიანებში შიშს და ხვალინდელი დღისადმი უნდობლობას ბადებს.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამ ნეგატიური მოვლენების პროვოცირებას იწვევს, სახელისუფლებო სუბიექტებს შორის ბრძოლა და ხელისუფლების დანაწევრებაა. თან ეს მაშინ, როცა ისიც კი არ არის გარკვეული, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძვის.

თავდაპირველად, როდესაც ოპოზიციამ განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ყველა მოხარული იყო, რომ "კომუნისტების" ერთპიროვნული მმართველობა დასრულდა. მაგრამ ქვეყნის სათავეში ალიანსის მოსვლისთანავე გადაწყდა, რომ ძალაუფლება მის შემადგენლობაში შემავალ ოთხივე პარტიას შორის გადანაწილდებოდა, რაც რეალურად ხელისუფლების დაყოფას და შესაბამისად ერთიანობის სისტემის დანგრევას ნიშნავს.

*მიხაი გიმპუ*

თუმცა თავდაპირველად ალბათ ვერავინ ივარაუდებდა, როგორი საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს მრავალეროვანი, ახალგაზრდა და ჯერ კიდევ სუსტი ქვეყნისთვის ეს მოვლენა. ალიანსმა ვიცე-სპიკერების რაოდენობა გაზარდა, ოთხი ვიცე-პრემიერი დანიშნა და ყველგან ალგორითმის პრინციპი შეიტანა.

ფაქტი, რომ ვიცე-მინისტრებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების თანამდებობებიც კი ალგორითმის პრინციპით ნაწილდება, სულ მცირე, გაუგებრობაა, რომელიც ხელისუფლების დაუძლურებას გამოიწვევს და მართვისთვის უუნაროს გახდის.

ბევრად უფრო ლოგიკური ხომ ის იქნებოდა, რომ თითოეული მინისტრისთვის მიეცათ საშუალება, თავად ჩამოეყალიბებინა თავისი სტრუქტურა და კადრებიც თავისი შეხედულებისამებრ აერჩია.

ამგვარი გაუაზრებელი ქმედებების შედეგად მინისტრები ერთ პოლიტიკას გაატარებენ, ვიცე-მინისტრები მეორეს, ხოლო მთავრობა - მესამეს, რაც, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ხდება. ყველა მინისტრი და თანამდებობის პირი ვიწრო პარტიული ინტერესებით არის შეზღუდული.

ქვეყანაში ძალაუფლების რამდენიმე ცენტრი შეიქმნა და ხელისუფლების ავტორიტარული სისტემა არათუ ქრება, პირიქით, ძლიერდება კიდეც.

თავდაპირველად გაჩნდა მოსაზრებები, რომ მთელი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ ფილატის ხელში იყო და ნაწილობრივ ასეც არის, რადგან მთავრობის მეთაურის გარდა, ის ხომ პარტიის ლიდერია. თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ.

პრინციპში, უკვე დღეს არის გასაგები, რომ ალიანსის ყველა წევრი იმას აკეთებს, რაც სურს. ამას ისიც ადასტურებს, რომ კითხვას - რა ხდება ქვეყანაში და ვინ გასცა ბრძანება "ყველაფერი მიითვისე და არაფერი გასცე", ალიანსის ვერც ერთმა ლიდერმა ვერ უპასუხა.

ნაწილობრივ, ქაოსი მთავრობის ქმედებების საეჭვოდ "გასაიდუმლოების მანიის" გამოც ჩნდება. არც დეპუტატებს და არც საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღიათ ინფორმაცია ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე.

ალგორითმის პრინციპი იმასაც იწვევს, რომ მინისტრები ერთმანეთთან სახალხო კამათს მართავენ და ერთმანეთის გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. ზოგჯერ კი ისინი არსებულ ვითარებაზე არაადეკვატურად რეგირებენ. რეალური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, მინისტრები ლენტების გადაჭრით და დემოკრატიაზე ლაპარაკით არიან დაკავებულები.

თავდაცვის სამინისტრო მიხაი გიმპუს დროებითი პრეზიდენტობის დროს, შეიძლება ითქვას, "ევროატლანტიზმის" ანუ ნატო-სთან თანამშრომლობის მედროშედ იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ნეიტრალური სტატუსი აქვს. ეს ყველაფერი კი პენტაგონთან და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებას იძლევა და მნიშვნელოვან ფინანსურ ნაკადებს ხელმისაწვდომს ხდის.

ცოტა მოგვიანებით მიხაი გიმპუმ გადაწყვიტა, პირადი კონტროლის ქვეშ აეყვანა ეროვნული ბანკი, რათა მისი მეშვეობით ფინანსურ პოლიტიკასა და ქვეყნის ბანკებზე მოეხდინა გავლენა. გავრცელებული ინფორმაციით, გიმპუმ აქტიური ზემოქმედება დაიწყო ელექტრონულ მედიაზეც და რამდენიმე მისთვის არახელსაყრელი გადაცემის დახურვის განკარგულებაც გასცა. ეს კი იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ გიმპუ ქვეყნის საინფორმაციო სივრცის კონტროლს მომავალშიც გააგრძელებს.

"ლიბერალ-დემოკრატი" ვლადიმერ ფილატისთვის ნამდვილ დარტყმად იქცა გიმპუს გადაწყვეტილება უშიშროების უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტად ტრანსპორტის მინისტრისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. რა საერთო აქვს ტრანსპორტის მინისტრს ეროვნულ უსაფრთხოებასთან - გიმპუმ ვერ განმარტა.

ამგვარად გიმპუ ძალაუფლების რესურსების თავის ირგვლივ კონცენტრირებას აქტიურად ცდილობს. მაგალითისთვის, ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გიმპუ მასმედიაში ყველაზე ხშირად ჩნდება და ლუპუ, ფილატი და ვორონინი ამ მაჩვენებლით უკვე დიდი ხანია, უკან ჩამოიტოვა. იგივე გიმპუ ვარაუდობს, რომ კონსტიტუციის გადახედვა მოხდება, რაც საინტერესოდ დაემთხვა დნესტრისპირეთში მიმდინარე მოვლენებს, სადაც იგორ სმირნოვი ცდილობს, პოზიციები საბოლოოდ განიმტკიცოს და ძალაუფლების ყველა ბერკეტი ხელში ჩაიგდოს.

თუკი გიმპუ მოლდოვის "კომუნისტური პარტიის" განადგურებას მაინც შეძლებს, მოლდოვაში ავტორიტარიზმის ჩამოყალიბებას წინ უკვე ვეღარავინ აღუდგება.

მთელი ამ ანალიზიდან ერთი არცთუ დამამშვიდებელი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მიხაი გიმპუს მმართველი ოთხპარტიული ალიანსის რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა და პრეზიდენტის არჩევის დაბრკოლება იმისთვის აძლევს ხელს, რომ რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მოიპოვოს და პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის რაც შეიძლება დიდი ხნით გადადებას მიაღწიოს.

არსებულ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლება დანაწევრებულია, ხელისუფლებაში ალგორითმების ჩახლართული ქსელი მოქმედებს და ირგვლივ არასტაბილურობა სუფევს, პრეზიდეტის ძლიერი ინსტიტუტის შექმნა აუცილებელია.

სწორედ ხალხის მიერ არჩეული, არა - ფორმალური, არამედ რეალური ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი უნდა იქცეს სტაბილურობის, სუვერენიტეტის და ქმედობაუნარიანი ხელისუფლების გარანტად.

***"ავამდ"-ს (მოლდოვა) მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა***

# ლუკაშენკო მედვედევზე განაწყენდა

თამთა კახაძე



რუსეთმა თავის "უახლოეს მოკავშირე" ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს მტკივნეული ადგილი მოუძებნა და სწორედ იქ მიაყენა მოულოდნელი და საკმაოდ კარგად შენიღბული დარტყმა. რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი ბელარუსში ვიზიტის წინ ამ ქვეყნის ჟურნალისტებს შეხვდა და ქვეყანაში ჩასვლისას ოპოზიციასთან შეხვედრაც არ გამორიცხა (ამის შესახებ "24 საათი" უკვე წერდა). ისედაც ფეთქებადი ხასიათის ლუკაშენკომ ნერვები ვერ მოთოკა და საპასუხო განცხადებებმაც არ დააყოვნა. როგორც ჩანს, "ბატკა" აღაშფოთა "მის მოედანზე" რუსეთის შეჭრამ, დამოუკიდებელ ჟურნალისტებთან შეხვედრამ და ოპოზიციონერებთან მედვედევის ურთიერთობის პერსპექტივამ. ცხადია, ლუკაშენკოს მედვედევის ზოგიერთი მოსაზრების მოსმენაც არ ესიამოვნებოდა და გაზის შელავათიან ფასში მიწოდების დაპირებამაც ვერ დააწყნარა.

პრეზიდენტმა ლუკაშენკომ რუსეთის პრეზიდენტ მედვედევის შეხვედრას ბელარუს ჟურნალისტებთან "სრულიად უაზრო ღონისძიება" უწოდა. **"ვიფიქრე, რისთვის დასჭირდა მედვედევს ეს ყოველივე? ჩემს გასაღიზიანებლად? ამას ძალიან მშვიდად შევხვდები, ვინაიდან უკვე მიჩვეული ვარ."**

**"ეს, უბრალოდ, სიმეტრიული პასუხია იმაზე, რომ მე რუს ჟურნალისტებს ვხვდები ხოლმე. თუმცა, ამას იმის გამო ვაკეთებ, რომ მათ ჩვენ შესახებ სამართლე შეიტყონ. რუსეთს წარმოდგენა არა აქვს, რითი ცხოვრობს ბელარუსი, ვინაიდან ძირითადი არხები სიტუაციას არ აშუქებენ და თუკი აშუქებენ, კარგად იცით, როგორც აკეთებენ ამას. ჩვენ რუს ჟურნალისტებს სწორედ ამის გამო ვხვდებით ხოლმე,"** - ახსნა სიტუაცია ლუკაშენკომ. მისივე განცხადებით: **"რუსეთის პრეზიდენტმა ისეთი ჟურნალისტები მოიწვია, რომელთა უმრავლესობაც რუსებს ვერ იტანს. კარგი იქნებოდა, სანამ დაპატიჟებდა რჩევა ეკითხა."**

მედვედევის პრესმდივან ნატალია ტიმაკოვას თქმით კი, ჟურნალისტების შერჩევისას რუსეთის მხარისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ შეხვედრაზე გასხვავებული შეხედულებების მქონე პიროვნებები ყოფილიყვნენ, რომლებიც როგორც წამყვან სახელმწიფო, ასევე კერძო საინფორმაციო საშუალებების წარმოადგენდნენ". რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურმა ჟურნალისტებთან მედვდევის შეხვედრის სტენოგრამა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა.

არასახელმწიფო გაზეთ "ბელარუსები და ბაზრის" რედაქტორმა ვიაჩესლავ ხოდოსოვსკიმ აღნიშნა, რომ მედვედევი მწვავე შეკითხვებს არ გაურბოდა, თუმცა განსაკუთრებით საჩოთირო მომენტებში დიპლომატად ყოფნას ამჯობინებდა.

**"ორი რამ აშკარაა: ალექსანდრე ლუკაშენკო განაწყენებულია, რომ ბარვიხაში (მედევდევისა და ჟურნალისტების შეხვედრის ადგილი) დაფიქსირდა "ბელარუსის პრობლემის" მიმართ რუსეთის პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის ერთნაირი მიდგომა, რომელთანაც, როგორც ცნობილია, ლუკაშენკოს ურთიერთობა ვერ ეწყობა. და მეორე - რადგან ბელარუსის პრეზიდენტმა ემოცია ვერ მოთოკა, ადვილი მისახვედრია, რომ დაძაბულობა კრემლსა და მინსკს შორის კვლავაც გაგრძელდება,"** - განაცხადა უფლებათა დამცველმა და პოლიტიკოსმა ლუდმილა გრიაზნოვამ.

მინსკში ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რუსეთმა კვლავაც გააქტიურა "მინსკისთვის ბრძოლა", ვინაიდან ბელარუსისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას ვერ ეგუება.

ოპოზიციური მოძრაობა "ქარტია-97"-ის კოორდინატორი დიმიტრი ბორდანენკო დარწმუნებულია, რომ რუსეთი ყველანაირი საშუალებით ცდილობს ლუკაშენკოს "შებოჭვას".

"ბელარუსის სახალხო ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტიკოსი ვინცუკ ვეჩორკა აღნიშნავს, რომ კრემლმა მიზნად დაისახა "ლუკაშენკოსთვის ადგილის მიჩენა და ამასთან სურს, რომ ბელარუსი მკითხველისა და მაყურებლის თვალში უფრო ცივილიზებული და დემოკრატიული გამოჩნდეს, ვიდრე ლუკაშენკო."

მინსკელი ექსპერტების აზრით, ბარვიხის შეხვედრა მოწმობს, რომ მოსკოვი ბელარუსის საზოგადოებაზე, ელიტასა და ხელმძღვანელობაზე გავლენის მოსახდენად ახალ მეთოდებს ითვისებს.

რევიუ

აქცენტი

# ჯოს... ჯოს... ჯოს...- ვაშა! ვაშა! ვაშა!

სოფო კილასონია

*რამდენიმე დღის წინ, გოეთეს ინსტიტუტში ზანდუკელზე ამავე ცენტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით შექმნილი ორი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა. ფილმების ჩვენებას გოეთეს ინსტიტუტის მიერ დასახული კონცეფცია უნდა გაემართლებინა, ისე როგორც სხვა არაერთ გამოფენა, თუ შეხვედრას. კონცეპტუალური კითხვა კი შემდეგში მდგომარეობდა: რა შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში?! ცვლილებების ანალიზი ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მხოლოდ გერმანელებისთვის როდია საინტერესო. სხვებისთვისაც, თუმცა ბოლო 20 წელიწადი მათ შემდეგ განსაკუთრებით პრობლემური და მნიშვნელოვანი მაინც ჩვენთვისაა, იმ ადამიანებისა და საზოგადოებისთვის, რომლებსაც ამ წლების განმავლობაში უმთავრესი მიზანი - დავძლიოთ საბჭოთა წარსული - ვერ შევცვალეთ და თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად ზედაპირულია ჩვენი მცდელობები, შედეგები შორეულ მომავალში გველის. ზუსტად არ ვიცი, ვინ რა დაინახა იმ დღეს სალომე ჯაშის ფილმში "ლიდერი ყოველთვის მართალია". ერთმა, ალბათ, დაინახა სისტემა, რომელიც არ მოსწონს; მეორემ მთავრობა, რომელიც არ მოსწონს; მესამემ ხალხი, რომელიც ასევე არ მოსწონს; მეოთხემ შტერი ახალგაზრდობა, რომელიც არ მოსწონს; მეხუთემ, მასთან ერთად ალბათ სხვებმა და ამ სხვებში მე, დავინახეთ ჩვენი თავი, რომელიც არ მოგვწონს.*

*ფილმის ავტორი დაახლოებით ჩემი თაობის ადამიანია. თაობისა, რომელმაც სულზე მოუსწრო "გარდაქმნას", მაგრამ ვერ მოუსწრო "გარდასულ" ტოტალიტარიზმსა და კომუნისტურ კავშირს... მაგრამ თუ აქამდე ვეჭვობდი, სალომე ჯაშის ფილმის ხილვის შემდეგ ვიცი, რომ ყველაფერს, რაც გამოვტოვეთ, ამ აწმყოში ვსწავლობთ და "გავდივართ". აწმყოში, რომელსაც ვესწრებით, რომელსაც უკვე თავადაც ვქმნით, ყოველ შემთხვევაში, რომელზე პასუხისმგებლები უკვე ჩვენც ისევე ვართ, როგორც ჩვენი მშობლები და ბებია-ბაბუები.*

გოეთეს ცენტრში ნაჩვენები ფილმებიდან ერთ-ერთი გახლდათ სალომე ჯაშის "ლიდერი ყოველთვის მართალია" - ფილმი, რომელიც ავტორმა პატრიოტთა ბანაკში ამავე ბანაკზე გადაიღო. პროექტი "პატრიოტები" 2005 წლიდან ხორციელდება და ყოველწლიურად ასი ათასობით ლარი იხარჯება. გრძელვადიანი პროექტის ორგანიზატორი (შემსრულებელი) არის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. უფრო კონკრეტულად, ამ სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობის დეპარტამენტი. იმის გარდა, რომ ახალგაზრდული საქმიანობა თავად არის უხერხული სიტყვათშეთანხმება, საქმიანობის არსიც უცნაურია და თანაც სეზონური. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრებს, ყველას, მათი ვრცელი რიგიდან, ჰყავდათ და ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც ეს დეპარტამენტი და საქმეც საგანგებოდ აბარიათ. ის, რომ ამ საქმეში დიდი ფული იხარჯება, მხოლოდ ჩემი სიტყვები არ არის. ეს სალომე ჯაშის ფილმის ერთი მთავარი გმირის, ერთ-ერთი ლიდერის (პატრიოტულ ბანაკებში ლიდერი ჰქვია ჯგუფის ხელმძღვანელს, აღმზრდელს) პირველი რეპლიკაა. ლიდერი ბავშვებს ბანაკში შესვლისთანავე აფრთხილებს, რომ მათზე და მათთვის უამრავი ფული იხარჯება და უნდა დაიფასონ! დაფასების ხერხები კი სხვაპასხუპით იცის და ესმის ლიდერს, რომელიც ბევრ რამეს იტყვის კიდევ, ბევრ "უნდას", მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ბავშვები ყველაფერს აფასებენ შემდეგი ათი დღის განმავლობაში. აფასებენ ბევრი აზიდვით და (გაუმარ)ჯოს, ჯოს, ჯოს ძახილით, ტყეში სანთლებით სიარულით, ქვიშის ეკლესიების მექანიკური შენებით და პათეტიკური ლიდერების სრულიად არაჰუმანური და ყოველგვარ ინტელექტს და კორექტულობას მოკლებული მონოლოგების სმენით. იქ ამბობენ, რომ "ჩვენში ყოველი წვეთი სისხლი ქართულია", რომ უნდა "გაუმარჯოთ ქართველებს..." და, აქ აგონდებათ რაღაც-რაღაცები და დასძენენ, "არაქართველებსაც!..". "ე, ბიჭო..., შენი..., ჩემი..., რა პონტია..." - აქტიურად ამუშავებენ ამ ლექსიკას ჩვენი დროის ლიდერები მოზარდებთან საუბრის დროს.

ლიდერი მაშინაც მართალი აღმოჩნდება, როცა მას ერთ-ერთი მოზარდი ჩოგბურთის თამაშს მოუგებს და შემდეგ მოგებულს დასჯის. ის აზიდვებს აკეთებს, მეორე, ანუ ის, რომელიც ყოველთვის მართალია, ზემოდან უყურებს. მართალია, მაშინაც, როცა ერთ-ერთს უხსნის, როგორ დაეხმარება, სიტყვას შეაწევს უფროსობაში, იმისთვის, რომ ისიც ლიდერი გახდეს. მართალია მაშინაც, როცა სრულიად გაუგონარ "ჭეშმარიტებას" თავს ახვევს. მაყურებელს უჩნდება კითხვა, სად და როგორ შეარჩიეს ეს ლიდერები? მეც მიჩნდება კითხვა, რატომ ჰქვიათ მათ ლიდერები, რატომ მაინც და მაინც **ლიდერები**?

კონკრეტულ ადგილს, სახელებსა და გვარებს მნიშვნელობა არა აქვს, არც ფილმის ავტორისთვის, მით უფრო არც ჩემთვის. რა არის ჯაშის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა? ის, რომ საინტერესო, იდეითა და ქვეტექსტებით დატვირთული რაკურსები შემოგვთავაზა, რითიც იმაზე ბევრი თქვა, ვიდრე ფილმის ვერბალურ ნაწილში ითქვა და ვიდრე თავად თქვა დისკუსიის დროს? ის, რომ გაბედა სკეპტიკოსების მხარეს დამდგარიყო და არ შეშინებოდა რომელიმე პოლიტიკური იარყილის მიკერების? - არა მხოლოდ ეს. მგონი სალომემ ყველაზე მნიშვნელოვანი მაშინ შეძლო, როცა გაგვახსენა ის, რაც ისედაც ვიცოდით. პირველი, თუ მართლაც რა სასაცილოა პატრიოტიზმის სწავლა და მეორე, რომ გადაიღო საკუთარი თავი და ჩვენი ღრმად პატიოსანი საზოგადოება, რომელიც ემზადება საბოლოოდ დაძლიოს ტოტალიტარული რეჟიმი. ამ ბრძოლაში ერთვება ლიდერი, ამავდროულად ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, რომელიც ჯგუფს უხსნის, რომ "მას ვისაც ლიდერის თვისებები აქვს, ვისაც მასის დამორჩილება შეუძლია, მომავალში ყველა კარი ღია აქვს" - მორჩაო, დამთავრდაო, იყავი ჩვენნაირი ლიდერიო, ილაპარაკე სისულელეებიო... თუ ხალხს აჯობებ, შენია ბურთიც და მოედანიცო. აი, აქ კი აღარ ვიცი, ლიდერები ცდებიან თუ არა?!

სალომე ჯაშის ნამუშევარში ბევრი ისეთი რამ მოვისმინეთ და დავინახეთ, რის გამოც შეგვრცხვა, **მათ** გამო შეგვრცხვა. მაგრამ, ცოტა რომ დავფიქრდი, საკუთარი თავის გამოც შემრცხვა... საკუთარი, თავის დროზე დაუსმელი შეკითხვების გამო. როცა ვერ ვივარგე, მაშინ, როცა თუნდაც უნივერსიტეტში ახალი ტიპის ტოტალიტარულ რეჟიმში ვისწავლე და არ გავაპროტესტე, რაღაც არ შევცვალე, როცა წლების განმავლობაში მაჩვევდნენ, რომ შრომას აზრი არ ჰქონდა, არც ცოდნას, არც მონდომებას, პრიორიტეტული სხვა რამ იყო, ანდა სხვა ვინმე... ამიტომაც ყველა კარგი იყო, ყველა "ხუთოსანი"... მეც ხომ ამ ქაოსის ხელშემწყობი ჭანჭიკი ვიყავი და ვარ! როცა მოვშალეთ საზოგადოების ლიბერალური ფასეულობების ყველა ჩანასახი, რაც თავისთავად მგონი ნებისმიერშია, და შევქმენით ახალი, ახალპარტიული, ახალფეოდალური და მაინც იგივე პირობები. დღესაც, ამ წუთსაც ასეა, უბრალოდ ახლებურად არის ყველაფერი შეფუთული და შეფუთულობას არა ერთი ჯგუფი, არამედ ყველა ერთად ვქმნით, ყველა სივრცეში. თავი დავიდანაშაულე კიდევ ათას კონკრეტულ ფაქტთან მიმართებაში:

*კადრი სალომე ჯაშის ფილმიდან "ლიდერი ყოველთვის მართალია".*

ერთი წლის წინ, ისევ მშობლიურ უნივერსიტეტში, ამჯერად უკვე ახალმა ოფიციალურმა სახეებმა, "ჰიპერაქტიურმა" და პოლიტიკურად მოტივირებულმა ჩემმა უკვე თანამდებობის პირმა თანაკურსელებმა მეგრულ-ქართულ ენაზე (**იმ ხანად, იქ** სტილი იყო ასეთი) მომიწყვეს სასამართლო, მხოლოდ იმის გამო, რომ პირველად შეკითხვა ხმამაღლა დავსვი - რატომ მისცეს წყალს ათეულობით კურსდამთავრებულის შედეგები და რატომ ფარავდნენ კრიმინალს, თუ არ მონაწილეობდნენ მასში და რით განსხვავდებოდნენ ისინი იმ პედაგოგებისგან, რომლებიც მათვე გაუშვეს? მაშინ ჩემთვის გამოტანილი განაჩენი იყო მძიმე, მაშინ ასევე მეგრულ-ქართულად მითხრეს (შესაბამისად, სამწუხაროდ, კარგად ვერ გავიგე, მხოლოდ მივხვდი), რომ განაჩენს ერქვა საზოგადოების ღალატი, რეფორმისადმი უნდობლობა... კარგად მახსოვს რეპლიკა "შენვე დაგერხევა"... მე ორი მიზეზის გამო არ დამერხა მაშინ, იმიტომ არა, რომ ნამდვილად იცოდნენ ჩემი სიმართლე, იმიტომ, რომ ჟურნალისტი ვიყავი, რაც გვიან გახდა მათთვის ცნობილი, თორემ ცოტა უკეთეს ტყუილებს გამომიცხობდნენ და მეორეც იმიტომ, რომ მე ამდაგვარი "უპირატესობით" სარგებლობა იმ პერიოდს მაგონებს, ბაბუაჩემს მაღალჩინოსანი მეზობელი მინას რომ ართმევდა თურმე და ემუქრებოდა, ნათესავი ჟურნალისტი გაზეთში გამოგაჭენებსო, გამოაჭენებდნენ კიდეც ნებისმიერი მიზეზის გამო, ვითარება რომ არ შეცვლილიყო. იტყოდნენ რომ... რა ვიცი რას, თუნდაც რაც მანამდე მეორეს აღმოუჩინეს და დაიჭირეს კიდეც - დისიდენტთან მეგობრობა, ანდა რამე სხვას, ჭორებს დაუყრიდნენ, სომეხად მონათლავდნენ. ეს ხომ მაშინაც ისეთივე ცუდი და სათაკილო იყო ქართველობისთვის, როგორც ახლა. მოკლედ, "უპირატესობა" არ გამოვიყენე და ვაღიარე, რომ როგორც რიგითს, წაგებული მქონდა ჩემთვის მართლაც მხოლოდ პრინციპის გამო დაწყებული თამაში. ზუსტად ისე, როგორც წლების განმავლობაში ჰქონდათ და აქვთ დანარჩენებს წაგებული. მას შემდეგ ვიცი, მხოლოდ ერთი შეკითხვის გამო "რიგითი" ამ ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება ინტრიგანი გახდე, ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა საზოგადოებაში გახდებოდი დისიდენტი თუ არა, საეჭვო პირი მაინც. ეს, ძალიან პირადი ამბავი არ მომაგონდებოდა, რომ არა ჯაშის ფილმში არსებული, ჩემი აზრით, ყველაზე მძიმე ეპიზოდი. ლიდერის (საჯარო სკოლის დირექტორი) საჯარო გამოსვლა, რომელიც ყველა იმ შემდგარი და არშემდგარი პოლიტიკოსის, ყველა დემოკრატის და კომუნისტის ცუდი პლაგიატი იყო. საქმე ის არის, რომ მანამდე ამ ლიდერს ერთი პატარა საუბარში გაუმხელს, რომ ბანაკი არ მოსწონს და სახლში სურს დაბრუნება. ლიდერისთვის ეს ამბავი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდება. თუმცა მის, "კარგ საკაცე მასალად" აღქმულ მოზარდს დაუყვავებს. მეორე დღეს, როცა ლიდერი ტრიბუნაზე ავა და უამრავი მოზარდის წინაშე სიტყვით გამოდის, საჯაროდ, სახალხოდ გმობს ბანაკიდან წასვლის სურვილს და სილაჩრედ, დეზერტირობად, არაკაცურ საქციელად აფასებს. დამნაშავის სახელს და გვარს არ ამბობს, თუმცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხვდება... მას სულ მალე დააზეპირებინებენ, თუ რას ნიშნავს პატრიოტიზმი, თუმცა, ის მაინც წავა ბანაკიდან. ის ჩემზე გამბედავია...

45-წუთიანი, ვიზუალურად ძალიან ფერადი ფილმი გახდა მიზეზი აუდიტორიის დიდი აღშფოთებისა. მათ შორის ჩემიც. ოღონდაც აღშფოთების მიზეზი და დამნაშავე ყველამ ისე დავინახეთ, როგორც შევძელით. გულმა რასაც გაუძლო. ძალიან წითელი ფილმი ძალიან მძიმე აღმოჩნდა მათთვისაც, ვისთვისაც, ამ ბოლო წლების განმავლობაში, პატრიოტთა ბანაკები სხვასთან ერთად კრიტიკისთვის ერთ-ერთი მწვავე მოტივაცია იყო. მათთვისაც, ვისაც ეს ბანაკები წარსულს აგონებს, მაგრამ ხედავს და აფასებს გზებს, პატრულს, სინათლეს სახლში, ცოტა სითბოს და ა.შ. ეს ჩამონათვალი ყველამ ზეპირად ვიცით უკვე. იმ დღეს გოეთეს ცენტრში აღშფოთება ძალიან მძაფრად გამოვხატეთ. გამოსვლები დაახლოებით ისევე პათეთიკური იყო, როგორც ერთ-ერთი ლიდერისა. ხმამაღლა შესძახეს, რომ ხვალიდან იბრძოლებდნენ პატრიოტთა ბანაკების გასაუქმებლად. დანარჩენებმაც ლამის დავურთეთ - ვაშა! ვაშა! ვაშა!

ნუთუ გულწრფელად დავიჯერეთ, რომ პრობლემა ოდნავ მაინც მოგვარდება ამ ბანაკების გაუქმებით? ნუთუ მხოლოდ ის რამდენიმე ათეული ადამიანია დამნაშავე, ვისაც მთავრობა ჰქვია? ნუთუ ის, რომ ბანაკის ლიდერები რთულად მეტყველებენ და მოზარდების ინტერესებიც ძალიან მწირია, ესეც ამჟამინდელი პოლიტიკოსების ბრალია? ალბათ არა, უბრალოდ აღშფოთება ლოზუნგებად ვაქციეთ მხოლოდ. იმ დღეს ფილმის ჩვენებას ფილმის მონაწილეებიც ესწრებოდნენ. მათ შორის ლიდერები. ჩვენების შემდეგ ეს ადამიანები გამოვიყვანეთ ავანსცენაზე და გუნდურად ჩავქოლეთ. გავლანძღეთ კიდეც. და მათ აღიარეს! მათ დანაშაული აღიარეს! თუმცა, ვერც ერთი მიხვდა "დანაშაულის" არსს. ერთ-ერთი ბოლომდე იმეორებდა, რომ ბანაკში ბავშვებს ათამაშებენ კიდეც და მუსიკებსაც ურთავენ და რომ სიმკაცრე, რომელიც ფილმში ჩანს, რეალურად ბევრად მსუბუქია. საბოლოოდ ის მივიღეთ, რომ მათ მოიბოდიშეს, ერთ-ერთი უფრო გაბოროტდა, მეორემ იტირა და ჩვენც ამ ცრემლების გამო დავმშვიდდით. მგონი, გავძეხით, მერე ცოტა ხანს კულუარებში, ფურშეტზე დავწყევლეთ ყოველი მათგანი, ამ ბანაკის მომგონიც და წამოვედით. და ვითომ ამ ლიდერებზე უკეთესები ვართ?

არის კითხვები? - ისმის ფილმის ბოლოს. პატრიოტებს ბანაკში არ აქვთ შეკითხვები. ეს დუმილი "ცუდად" გამოიყენა რეჟისორმა. ჩვენ საერთოდ გვიჭირს კითხვის დასმა, მაგრამ ხანდახან ხომ მაინც ვახერხებთ. ხომ დავსვით კითხვა - რა შეიცვალა ჩვენთვის ბოლო 20 წლის განმავლობაში? და ხომ ვპასუხობთ, რომ ჯერ მხოლოდ პიროობები, ხომ ვაღიარებთ, რომ ლამფის მბჭუტავ სინათლესა და ნავთქურების თაობას მაინც ბევრად მეტი გვინდა - დეკორაციის გარდა, კიდევ გარემო, სადაც თუნდაც "პატრიოტიზმი" არ იქნება სიტყვა განმარტებით, არამედ იქნება მდგომარეობა, რომელიც ყვირილს ვერ უძლებს.

P.S. დასმული კითხვებისთვის და დისკუსიებისთვის მადლობა გოეთეს სახელობის ცენტრის ხელმძღვანელობას და გვაპატიონ სალომე ჯაშის ფილმის ლიდერებმა, რომ ყველა ჩვენი სირცხვილი, ფობია და სისუსტე მათ "შევაწერეთ"

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲖᲔ

## ᲪᲣᲓᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲚᲐᲫᲔ

რაღაცას მახსენებენ ეს პლაკატები...

იმ ვეებერთელა პლაკატებს ვგულისხმობ, ქალაქში რომ გამოკიდეს ამ რამდენიმე დღის წინ.

"მე მიყვარს თბილისი", "დაპირებები სრულდება", "კორუფცია დამარცხებულია", "კანონიერ ქარდებს *კუდით ქვა ვასროლინეთ* (ბოდიშს ვიხდი მცირე ინტერპრეტაციისათვის)" და ა. შ.

როგორც ჩანს, რევოლუციის მორიგ წლისთავს ვზეიმობთ ასე, ან საარჩევნოდ ვემზადებით...

გიგანტური პლაკატები ამაყად დაგვძახიან გამარჯვებებისა და წარმატებების ამბებს, თავს გვაწონებენ აშენებული თუ აშენებადი ცათამბჯენებით, ჩვენთან ერთად ამხელენ გალიაში გამომწყვდეულ გაუპარსავ ქურდებს, *გვანახებენ* სხვაობას, როგორი იყო და სად მოვიდა ქართული პოლიცია და, რაც მთავარია, თავად ქვეყანა როგორი იყო და რად გარდაიქმნა...

ჩვენც ვათვალიერებთ, ვკითხულობთ, - ზოგიერთებს *პლაკატებთან ერთად* გვიხარია ეს ამბები, ანუ საკუთარ თავებსაც მოვიაზრებთ ამ პლაკატებზე, ზოგიც ძალიან ვბრაზობთ, ისედაც გაავებულები ვართ და როცა ამ პლაკატებს ვხედავთ, კიდევ უფრო გვეშლება ნერვები.

მე კი არც მაბრაზებენ და ვერც კარგ ხასიათზე მაყენებენ. უბრალოდ, *ასოციაციები მთრგუნავენ.* საოცდასამნოებრო პლაკატები საშვიდნოემბრო პლაკატებს მახსენებენ და ამიტომაც ვერ ვხარობ ამ კოლოსებიდან მაცქერალი ბედნიერ-წარმატებული ხალხივით და შენობებივით...

გიგანტურობა, იდეის *პათოსი,* ლოზუნგები, სინტაქსიც კი საბჭოურ პლაკატებს და ლოზუნგებს მაგონებს... "დიდება შენებას!", "ხუთწლედი - ოთხ წელიწადში", "ჩვენი მილიცია საუკეთესოა"...

ფაქტია, ის, ვინც ეს პლაკატები ჩამოგვიკიდა, საბჭოური ლოზუნგ-პლაკატების ქვეშ დაფრთიანდა... ანუ რომ არა საბჭოური პოლიტ-ესთეტიკა, ეჭვი მაქვს, ეს პლაკატები ან საერთოდ არ იქნებოდა, ან სულ სხვანაირად მოიწონებდნენ თავს გაკეთებულ-გაკეთებადი საქმეებით.

და მაინც, როგორ გვიყვარს ეს ლოზუნგები...

ჯერ იყო და ბოლშევიკური ლოზუნგების შეთხზვა-დაზეპირებაში გავლიეთ დღენი, მერე - უკვე დამოუკიდებლობის დროს - რელიგიურ-პატრიოტულ თემებს შევეჭიდეთ ("საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!", "აფხაზეთი ჩვენი ტკივილია!", "ღმერთს ებარებოდეთ!" და სხვ.), ახლა კი "დაპირებები სრულდებამდეც" მოვაღწიეთ...

მგონი, ერთი და იგივე კაცი იგონებს ამ ტექსტებს...

არცერთ ევროპულ (მოდი, ვთქვათ, დასავლურ) ქვეყანაში არ მინახავს ასეთი რამ... არავინ არ გეპრანჭება ამ ფორმით პატრიოტიზმზე, რელიგიურობაზე, პროფესიონალიზმზე და წესიერებაზე... ჩვენ კი რით ვეღარ განვიკურნეთ ამ ფარისევლობისა და პათეტიკისაგან!

ნუთუ ჩვენს გემოვნებაზეც ნატოში უნდა იზრუნონ?

# ᲐᲠᲢᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲔᲑᲘ

## გალერეა "რაციო" ლაზარაშვილების გამოფენას მასპინძლობს

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ

*მესამე წელია, რაც ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, "საქპატენტის", გალერეა "რაციო", რომელიც საგამოფენო სივრცეს ხელოვანებს უსასყიდლოდ უთმობს და სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს.*

გუშინ "რაციოში" გაიხსნა გამოფენა, რომელიც პროექტ "არტდინასტიების" შემადგენელი ნაწილია. სათაურიდანაც ჩანს მიზანი, რომელსაც პროექტი ისახავს: ის შემოქმედებითი დინასტიების წარმოჩენას ითვალისწინებს, რითაც ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციას უწყობს ხელს. კარგი იქნება, თუ "რაციოს" წარმომადგენლები საგამოფენო სივრცეს უცნობ, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდა ავტორებსაც დაუთმობენ ხოლმე, რადგანაც მათ არა აქვთ გალერეებში ნამუშევრების ექსპონირების საშუალება.

ისევ გამოფენას რომ მოვუბრუნდეთ, "არტდინასტიების" ფარგლებში მოეწყო მეოთხე ექსპოზიცია, რომელზეც გოგი, თენგო და ნატო ლაზარაშვილების ნამუშევრები გამოიფინა. გოგი და თენგო ლაზარაშვილები ძმები არიან. მათ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრეს, პირველმა ფერწერის განხრით, მეორემ - ინტერიერის დიზაინის. თენგო ლაზარიშვილმა მოღვაწეობა სხვა მიმართულებით გააგრძელა და ინტენსიურად ველარ ხატავს. მისთვის სასიხარულო აღმოჩნდა "რაციოს" შემოთავაზება, რადგანაც სხვადასხვა წლებში შექმნილი ნამუშევრების ექსპონირებისა და დამთვალიერებლისთვის წარდგენის საშუალება მიეცა. მისი ნახატები გრაფიკულია, ან შერეულ ტექნიკაშია შესრულებული. გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით. აქ ნახავთ ნატურმორტებს, პეიზაჟებს, კომპოზიციებს, აბსტრაქციებს.

ბ-ნ თენგოსგან განსხვავებით, გოგი ლაზარაშვილი პორფესიას არ ჩამოშორდა და აქტიურად მუშაობს. მისი ბოლო პერსონალური გამოფენა TBC ბანკში (2009 წ.) მოეწყო. იქ ექსპონირებული ნამუშევრებიდან "რაციოში" მხოლოდ რამდენიმე გამოფინა, დანარჩენი ნახატები სხვადასხვა წლებშია შექმნილი და დამთვალიერებლისთვის უცნობია.

*ნატა ლაზარაშვილის ნამუშევარი*

"დიდი მადლობა "საქპატენტს" და მის გენერალურ დირექტორს - დავით გაბუნიას, რომელიც საგამოფენო სივრცეს მხატვრებს სრულიად უანგაროდ უთმობს. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოფენის ორგანიზატორის, მარიკა ლაცაბიძის პროფესიონალიზმი და დამოკიდებულება საქმისადმი, რომელსაც უძღვება. ამ გამოფენას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სამივეს ნამუშევრები ერთად პირველად იფინება", - გვითხრა გოგი ლაზარაშვილმა (სრული პროფესორი). მისი ნახატები, რომელთაგან უმრავლესობა დიდი ზომისაა, ზეთშია შესრულებული. აბსტრაქციების თემატიკა მრავალფეროვანია: სიყვარული, ადამიანი, ობიექტი... მისი შვილია ნატო ლაზარაშვილი, რომელმაც, ასევე, თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა, პლაკატის განხრით და ახლა "საქართველოს ბანკის" ნამყვანი დიზაინერია. მან "რაციოში" რამდენიმე გრაფიკული ნამუშევარი გამოფინა. მათ შემოქმედებაზე ხელოვნებათმცოდნე ნინო ღაღანიძე აღნიშნავს: "გოგი ლაზარაშვილის ფერადოვანი, ექსპრესიული ტილოები ჟღერადი ფერების თამამ დაპირისპირებაზეა აგებული. მათი გამომსახველობის საწყისი ლოკალური ლაქების მოულოდნელი შეხამებიდან იღებს სათავეს და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კონტრასტის მაგივრად უცნაურ ჰარმონიად იქცევა ტილოზე. კაშკაშა ფერის ენერგია ნატიფი ხაზითა და აქა-იქ მინიშნებული სხვადასხვაგვარი ფაქტურითაა დაოკებული. ამ სურათების ფერადოვნება დანახვისთანავე იქცევს მნახველის ყურადღებას, თუმცა გულდასმით დათვალიერებისას ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მრავალი დეტალი იჩენს თავს და სურათებით აღძრული შთაბეჭდილებებიც ადამიანური ემოციების ფართო დიაპაზონს მოიცავს მძაფრი შეგრძნებებიდან სათუთ გრძნობებამდე, ზოგჯერ კი ფილოსოფიურ ჟღერადობასაც იძენს და მარადიულ კითხვებზე მხატვრის პასუხს გვთავაზობს. სხვაგვარია თენგო ლაზარაშვილის სურათების ესთეტიკა. მისი პალიტრა გაცილებით უფრო თავშეკავებულია; კონტრასტული ფერი აქ მხოლოდ აქცენტის როლს ასრულებს და მნახველის ყურადღებას კომპოზიციურად ზუსტად მოძებნილ დეტალზე ამახვილებს. რომანტიკულ, ხშირ შემთხვევაში ლირიკულ განწყობილებას მხატვრის მიერ ფაქიზად ნახმარი ნათელი ფერის მონასმები ქმნის, რომლებიც სინათლის წყაროდ აღიქმება ამ განზოგადებული, ბოლომდე "დაუწერელი" საგნების სამყაროში და სულიერების განცდას ბადებს მაყურებელში. მუქი და ნათელი ფერების ჰარმონიული შეხამება, ფიგურებისა და საგნების ბუნდოვანი სილუეტები, ნათების ეფექტი ამ მხატვრულ სამყაროს ყველაზე დამახასიათებელი ნიშნებია, რომლებსაც მხატვარი სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოსამჟღავნებლად და ამ დამოკიდებულების ჩვენთვის გასაზიარებლად მიმართავს. ნატო ლაზარაშვილი შემოქმედთა ამ დინასტიის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელია, თუმცა მკაფიო და განსხვავებული ხელწერის მქონე მხატვარია. წერის თამამი, გაბედული მანერა, ზოგჯერ კონტრასტული, ზოგჯერ კი მკრთალი ფერების შეხამება მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალზე რაფინირებული ნახატის უსაზღვრო გამომსახველობით შესაძლებლობებთან. ფერისა და ხაზის ეს ურთიერთდამოკიდებულება ფერწერისა და გრაფიკის უხილავ ზღვარზე გადის და ამით კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათ ესთეტიკას".

მარიკა ლაცაბიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ "რაციოში" გამოფენები თვეში ორჯერ იმართება და გალერეა სივრცეს უთმობს, როგორც სახვითი ხელოვნების წარმომადგენლებს, ასევე ფოტოგრაფებს, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს. "საქპატენტის" ქველმოქმედება მომავალშიც გაგრძელდება.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

# ᲠᲐ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ?

ამ წერილის ავტორი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მუდმივი მსმენელი და მაყურებელი გახლავართ. ის, რომ საოპერო და საბალეტო ხელოვნებას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოზარდებისა და ახალგაზრდობის განვითარებაში, მათ ესთეთიკურ აღზრდაში, გემოვნების ჩამოყალიბებაში, ვგონებ აქსიომაა. ამდენად დამტკიცებას არ საჭიროებს.

რა თქმა უნდა ოპერის თეატრის შენობა რემონტს საჭიროებს. ეს უდავოა. მაგრამ ჩვენთვის, ოპერის თეატრის მეგობრებისათვის და გულშემატკივრებისათვის, მეტად მტკივნეულია იმ აზრთან შეგუება, რომ თბილისში რამდენიმე წელი თეატრი აღარ იფუნქციონირებს. თუმცაღა გავიგეთ, რომ დასი სადღაც გადავა, მაგრამ სად, დღემდე გაურკვეველია.

ერთის მხრივ, წამოიჭრება თაობების გაზრდის პრობლემა - სად წავიყვანოთ ჩვენი შვილები და შვილიშვილები, რა მოვასმენინოთ მათ?

მეორეს მხრივ, კი თავად ოპერის თეატრში მოღვაწე ხელოვანთა ბედიც გვაინტერებს. თუ მათ არ ექნებათ შესაძლებლობა აქტიური მუშაობისა, მათი საშემსრულებლო დონეც შესაბამისად დაეცემა. არის კიდევ ერთი "გამოსავალი" - ის, რომ მომღერლები და მოცეკვავეები საზღვარგარეთს შეაფარებენ თავს. მაგრამ ეს კიდევ ერთი ტრაგედია იქნება ჩვენი ქვეყნისათვის. მოდით, ნუ დავკარგავთ იმ საშემსრულებლო ძალებს, რომლებიც დღეს გაგვაჩნია. პირიქით, მოდით ხელი შევუწყოთ მათ სამშობლოში დარჩენას, ხელი შევუწყოთ იმას, რომ მათ სამშობლოსთვის იღვაწონ.

1974 წლის 9 მაისს, როდესაც თეატრი დაიწვა, ბევრი ქართველისათვის ტრაგედიის ტოლფასი იყო. მაგრამ ხანძრის შემდეგ პროფკავშირების სასახლეში იმართებოდა სპექტაკლები და თეატრის მთელი დასი სრული შემართებით მუშაობდა. თეატრის ერთგული მაყურებლებიც მუდამ ვესწრებოდით სპექტაკლებს და ყველას ერთი სული გვქონდა, თუ როდის დავბრუნდებოდით ჩვენს მშობლიურ კედლებში.

ახლა კი ვერც მომღერლებსა და მოცეკვავეებს, ვერც მაყურებელს, ვერავის გაგვიგია, თუ სად გადავა დასი და სად უნდა მივიდეს მაყურებელი. გარდა ამისა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საბალეტო დასს გაცილებით უფრო კარგი მდგომარეობა აქვს, ვიდრე საოპერო დასს. ისინი ჯერჯერობით თეატრის შენობაში რჩებიან და უფრო მეტიც, დღევანდელ, 27 ნოემბრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ გამოსათხოვარ კონცერტში მონაწილეობენ. არ მონაწილეობს მხოლოდ საოპერო დასი. ჩვენ, მაყურებლებს, გვიჩნდება კითხვა - რატომ? რატომ განიცდის საოპერო დასი ასეთ დისკრიმინაციას? თუ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ თეატრის საოპერო დასის მთავარი დირიჟორის ადგილი ვაკანტურია? იქნებ თეატრის დირექტორმა, ბატონმა დავით საყვარელიძემ საზოგადოებას გასცეს ამომწურავი პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც ყველას აწუხებს და აინტერესებს.

*მანანა პაიჭაძე*
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ვაიმარის გოეთეს საზოგადოების თბილისის განყოფილების პრეზიდენტი*

# დიდი კინოს დღეები

*კადრი მაიკლ ლის ფილმიდან "ვერა დრეიკი".*

*მატეო გარონეს "გომორა"*

კონკურსის მოხსნამ მის ორგანიზატორებს მეტი ფილმის ჩამოტანისა და მეტი სტუმრის მოწვევის საშუალება მისცა. მაგალითად, ბრიტანული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რეჟისორ მაიკ ლის მასტერკლასების ჩატარება. ფესტივალი სწორედ მისი ყველაზე ცნობილი ფილმით, "ვერა დრეიკით" დაიხურება. ფილმი არალეგალური აბორტის თემას შლის, რომლიც ცენტრალური ფიგურა, ვერა დრეიკი თითქოს გაუცნობიერებლად, კეთილი ზრახვით მიდის ამ დანაშაულზე. მისი დაპატიმრების შემდეგ კი მაყურებელი ცდილობს გაერკვეს, ის ნამდვილად დამნაშავეა თუ მხოლოდ გარემოების უნებლიე მსხვერპლი. ფილმი სამ "ოსკარზე" იყო ნომინირებული (სცენარის, რეჟისურისა და ქალის მთავარი როლის შესრულებისთვის). ამავე რეჟისორისაა შარშანდელი "ოქროს გლობუსის" არაერთგზის ნომინანტი "უდარდელი" (Happy-go-lucky), რომლის სცენარისთვისაც მან "ოსკარის" მეორე ნომინაცია მოიპოვა (მთლიანობაში ის ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე ექვსჯერ იყო წარდგენილი).

რაც შეეხება ფესტივალის გამხსნელ ფილმს, ეს არის ლევან კოლუაშვილის "ქუჩის დღეები" კინოცენტრისა და სტუდია "დამოუკიდებელი კინოპროექტის" ნაწარმოები, რომლის პრემიერაც სწორედ 1 დეკემბერს შედგება. "ქუჩის დღეები" სოციალური დრამა გახლავთ, რომელიც თანამედროვე ყოფის პრაქტიკულად ყველა მანკიერი მხარეს ეხმიანება.

საფესტივალო ბადეში ჩართულია პროგრამა "ქართული პანორამა", სადაც 18 სამამულო წარმოების ფილმია წარმოდგენილი. მათ შორისაა უკანასკნელი დროის ტრიუმფატორი და "ოსკარზე" საქართველოს კანდიდატი გიორგი ოვაშვილის "გალმა ნაპირი". ეს ფილმი ქართულ გაქირვებაში უკვე იყო და მაყურებელსაც ჰქონდა საშუალება შეეფასებინა, რამდენად შეესაბამება ფილმის ხარისხს მის მიერ მიღებული პრიზებისა და გამოხმაურებების რაოდენობა. აქვეა ზაზა ურუშაძის "სამი სახლი", ვანო ბურდულის "კონფლიქტის ზონა" და დათო ჯანელიძის "ჯაყოს ხიზნები". "ქართული პანორამა" ადგილს უთმობს ახალგაზრდა რეჟისორებსაც და მათ ნაკლებად ცნობილ, თუმცა აუცილებლად სანახავ ნამუშევრებსაც წარმოადგენს.

ინტერესის თვალსაზრისით განსაკუთრებულია სექცია "ევროპული კინოს ფორუმი", რომელშიც ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილ და სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების ტრიუმფატორ ევროპულ კინოპროდუქციას ვიხილავთ. ფილმების ჩვენებას მათი ავტორებიც დაესწრებიან და სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დისკუსია ან პრესკონფერენციის ჩატარება. აღნიშნული სექცია წარმოგიდგენთ ლორან კანტეს "კლასს", ძმები დარდენების "ლორნას სიჩუმეს", ნური ბილგე ჯეილანის "სამ მაიმუნს", მატეო გარონეს "გომორას" და სხვას. აქვეა ნანა ჯორჯაძის ბოლო ნამუშევარი "ცისარტყელას შემქმნელი" (რომელიც უკვე ნახა ბათუმის კინოფესტივალის მაყურებელმა) და ესპანელი მიგელ ანხელ ხიმენესის "ორი" ფილმი შარშანდელი აგვისტოს ომზე, რომელმაც ყველაზე მეტად ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება შეცვალა.

აგვისტოს ომის თემას აგრძელებს დოკუმენტური ფილმების სექციის მონაწილე ამერიკელი ჯონ ფილპის "მიშა მოსკოვის წინაალმდეგ", სალომე ჯაშის მოკლემეტრაჟიანი ფილმი "დადუმებული" და შალვა შენგელის "უცნობი ჯარისკაცები". საქართველოს ბოლო წლების ცხოვრებას კი ნინო კირთაძის "ზოგი რამ საქართველოს შესახებ" ეხმიანება. დოკუმენტური კინოს თემა ფესტივალზე ამით არ ამოიწურება: წელს პირველად ჩატარდება დოკუმენტური ფილმების პროექტების პრეზენტაცია Pitch.Doc Georgia, 2009. რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კინოდოკუმენტალისტები ე.წ. "კიევის ინიციატივის" ქვეყნებიდან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და მოლდოვა. სესიაზე განხილული იქნება ორ-ორი პროექტი თითო ქვეყნიდან, რომლებსაც კინოფესტივალზე აკრედიტებული ქართველი და უცხოელი კინომოღვაწეები შეაფასებენ. გამარჯვებული პროექტი მიიღებს გიოტებორგის კინოფონდის მიერ დაწესებულ 5 ათას ევროს. სპეციალურად ამ მიზნით თბილისს ეწვევა ფონდის წარმომადგენელი კამილა ლარსონი.

საინტერესოა თბილისის ფესტივალის მომზადებაში სხვადასხვა ქვეყნების როლიც. მაგალითად, ნორვეგიის კინოცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდება კნუტ ჰამსუნის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების რეტროსპექტივა. გარდა იმისა, რომ წელს კნუტ ჰამსუნს 150 წელი შეუსრულდებოდა, რეტროსპექტივა იმ ფაქტსაც ეხმიანება, რომ ნორვეგიელი მწერალი გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა, თბილისში კი მისი საზოგადოება არსებობს. ჰამსუნის ნაწარმოებების ეკრანიზაციების გარდა ნაჩვეები იქნება ოლიკო ჟღენტის მიერ 2005 წელს გადაღებული "კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტერიები".

ტრადიციულად ფესტივალის პროგრამაში ჩართულია გოეთეს ინსტიტუტის მიერ შედგენილი პროგრამა Made in Germany. ამჯერად პროგრამაში წარმოდგენილია არა მხოლოდ უახლესი, არამედ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში გადაღებული გერმანული კინოპროდუქცია. ფრანგული კინოს მოყვარულებს საფრანგეთის კულტურის ცენტრის მიერ მომზადებული პანორამა French Showcase დააინტერესებს, ხოლო პროგრამა "მზერა იტალიისკენ" წელს პირველად წარმოადგენს ამ ქვეყნის კინემატოგრაფს.

ბრიტანული პროგრამის ერთ-ერთ ნაწილზე, მაკლ ლის მატერკლასებზე უკვე გითხარით, თუმცა ალბიონელთა მონაწილეობა თბილისის კინოფესტივალზე ამით არ ამოიწურება: ბრიტანული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია ლონდონის კინოსკოლის (London Film School) პრეზენტაცია, რომელსაც გაუძღვება სკოლის რექტორი, ბენ ჯონსონი. იგი წაიკითხავს ლექციას სკოლის მუშაობის პრინციპებისა და სტრუქტურის შესახებ. ასევე განიხილება საქართველოსთან შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივები, გაფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს, "ქართულ ფილმსა" და "ლონდონის კინოსკოლას" შორის, რომელიც ქართველი კინემატოგრაფისტების ბრიტანეთში პროფესიულ განათლებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ცნობილი ბრიტანელი რეჟისორი, ფრენკ როდამი წარმოადგენს 1987 წლის კინოპროექტს "არია", რომელშიც გაერთიანებულია ათი ცნობილი რეჟისორის (კენ რასელის, ჟან ლუკ გოდარის, დერეკ ჯარმენის, რობერტ ოლტმანის, ფრენკ როდამის და სხვათა) მოკლემეტრაჟიანი კინოფანტაზიები ცნობილი საოპერო არიების თემაზე. ფილმის შემდეგ გაიმართება შეხვედრა ფრენკ როდამთან. პროგრამაში ასევე შესულია მისი საკულტო ფილმი "კვადროფენია".

*P.S. ექვსი საფესტივალო დღე ზემოთ ნახსენები პროგრამის გარდა კიდევ უამრავ სექციას და სხვადასხვა ჩვენებას მოიცავს. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად კი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ინტერნეტ გვერდ tbilisifilmfestival.ge-ს მიმართეთ.*

## "გონზაგოს მკვლელობა" რუსთაველის თეატრში

29 და 28 ნოემბერს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართება პრემიერა სპექტაკლისა "გონზაგოს მკვლელობა". ერთაქტიან ტრაგიკომედიას გაითამაშებენ რუსთაველის თეატრის ძველი და ახალი თაობის მსახიობები: ჯემალ ღაღანიძე, მურმან ჯინორია, მარინა კახიანი, ზაალ ჩიქობავა, ბაჩო ჩაჩიბაია, ლევან ხურცია, მანანა აბრამიშვილი და ბაჩი ლეჟავა. წარმოდგენის რეჟისორია გაგა გოშაძე, მხატვარი - მირიან შველიძე. სპექტაკლის დასაწყისი: 19:45 სთ.

## რეჟისორისა და დრამატურგის კომიკური იგავი

27, 28 ნოემბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი პრემიერას მართავს. პიესა სახელწოდებით "ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" დრამატურგმა ირაკლი სამსონაძემ და რეჟისორმა გიორგი თავაძემ ერთობლივად შექმნეს. კომიკური იგავი ერთ მოქმედებად, რომელსაც რეჟისორი გიორგი თავაძე სთავაზობს მაყურებელს ერთგვარი სიურპრიზია ქართველი საზოგადოებისთვის, რომლის გამხელას რეჟისორი შემოქმედებით გუნდთან ერთად პრემიერამდე არ აპირებს.

სპექტაკლი ერთგვარად ეხმიანება რუსეთის აგრესიას და ქართველთა ხასიათის ისეთ თვისებებზე მიანიშნებს, რომელიც ტრაგი-კომიკურ ელფერს ატარებს. წარმოდგენის სცენოგრაფია რუსთაველის თეატრის მხატვარი თემურ ნინუა, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, მუსიკალური გამფორმებელი - თენგიზ შამილაძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ: კახა კობალაძე, ეკა ჩავლეიშვილი, მამუკა მანჯგალაძე, ოთარ ქათამაძე, თეონა შამილაძე, ქეთევან ეგუტიძე, ლევან თედორაძე და შორენა მამრიკიშვილი

## მასტერკლასები ქორეოგრაფიაში

27-29 ნოემბერს, საქართველოს ფოლკლორის სახელწიფო ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. 68) გრძელდება მასტერკლასები ქორეოგრაფიაში რაჭული ხალხური ცეკვის შემსრულებელთა მონაწილეობით. მასტერკლასები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით, ფოლკლორის მხარდაჭერის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში ტარდება. მისი მიზანია ქართული-ხალხური ცეკვის სიწმინდის დაცვა, რაჭული ცეკვისათვის დამახასიათებელი იშვიათობადქცეული მოძრაობების, ილეთების ჩვენება, მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა საშემსრულებლო და სადადგმო ხელოვნების ამაღლება, ქორეოგრაფთა და ქორეოლოგთათვის ცოცხალი, უნიკალური მასალის მიწოდება. მასტერკლასების ხელმძღვანელია უჩა დვალიშვილი

პროგრამა:

27 ნოემბერი: პრაქტიკული სწავლება (11-15 სთ.)
28 ნოემბერი: პრაქტიკული სწავლება (11-15 სთ.)
29 ნოემბერი: მასტერკლასების დახურვა.
შეაჯამებელი თეორიული სემინარი.
სერთიფიკატების გადაცემა (11 სთ.)
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ტელ: (995 32) 43 70 70; ფაქსი (995 32) 93 69 82

*"24 საათი"*

## საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული ქართველი ქალები

გუშინ იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ექსპოზიცია "საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული ქართველი ქალები". გამოფენის ორგანიზატორები არიან: ეროვნული არქივი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს ქალთა საბჭო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მე-19 საუკუნიდან დღემდე კავკასიასა და საქართველოში მოქმედი ქალთა ორგანიზაციების ("კავკასიელ ქალთა საზოგადოება", "ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება", "ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოება"; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებული "ტფილისის ქალთა წრე", "ამიერკავკასიის ქალთა კომისია", "ქართველ ქალთა კომიტეტი", "ქუთაისის ქალთა სწორუფლებიანობის ლიგა" და სხვ.) საქმიანობის ამსახველი წერილობითი დოკუმენტები. აქვე წარმოდგენილია ამ პერიოდში საქართველოში ხელოვნების, განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწე ქალბატონების (ანასტასია წერეთელი, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, დომინიკა ერისთავი-მდივნისა, მარიამ დემურია, ეკატერინე სუმბათაშვილი, ეკატერინე მიქელაძე, ელენე ბატონიშვილი, მაკინე ამირეჯიბი, ვარვარა ვორონცოვა-დაშკოვა, ბარბარე ორბელიანი-ოპოჩინინა, ანეტა ანდრონიკაშვილი, ნინო ანდრონიკაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი, თამარ თავაძე, ნინო ჩხეიძე, მარჯორი უორდროპი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ბარბარე ყიფიანი, თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა და სხვები) პირადი საქმეები და ფოტოები. გამოფენა ერთ კვირას გაგრძელდება. დასწრება თავისუფალია. **"24 საათი"**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს რიგი საჯარო სკოლების სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მრავალწლიან სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

**ლოტი N1** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

**ლოტი N2** ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

**ლოტი N3** ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჯგორის საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;

3. სტადია მუშა პროექტის წარმოდგენის სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვის N1 ლოტზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღე, N2 ლოტზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 დღე, ხოლო N3 ლოტზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სტადია არქიტექტურულ პროექტთან ერთად, ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, (ერთი დედანი, ოთხი ქსეროასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ **2010 წლის 06 იანვრის** 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

5. წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება **2010 წლის 06 იანვარს** 16:00 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N14.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შებამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში: მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები. იურიდიული პირის შემთხვევაში: მისი სრული სახელწოდება, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, შესაბამისი უფლებამოსილი პირის -სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი);

გ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;

დ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილის მიერ ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილების შესახებ (შესაბამისი ხელშეკრულებების დართვით);

ე) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

ვ) გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ასახული უნდა იქნას:

ვ.ა. შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტირების ხარჯები;

ვ.ბ. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ.გ. დარიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ).

ზ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირის წამყვან სპეციალისტთა (იმ წამყვანი სპეციალისტების შესახებ, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

თ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ი) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც, შესაბამისი ხელშეკრულებების დართვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

9. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადება არ განიხილება;

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2010 წლის 05 იანვრის** 18:00 საათამდე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე შემდეგ ანგარიშზე: ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: N302007700, გადახდის დანიშნულება - სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ტენდერი. (ორგანიზაციული კოდი 0304). დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ სატენდერო დოკუმენტაციის გატანა მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე და საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

14. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადდების მოქმედების ვადას.

15. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

16. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

17. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

18. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N14. ტელ: (995 32) 91 05 52.**

სატენდერო კომისიის აპარატი

საკონტაქტო პირი: ზურაბ ნიკოლაიშვილი, ტელ: 91 05 52 (014). მობ; 877-15-20-16

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

## შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"

### აცხადებს ფასთა გამოკითხვას

შემდეგი სახის მომსახურებაზე:

შპს "საქცემენტის" რუსთავის ცემენტის ქარხნის დაფქვის, საკომპრესოროს და ნახშირის საამქროების მაღალი ძაბვის მხარის (6კვ) გამრიცხველიანება

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების
გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:
შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
მელიქიშვილის ქ. N16, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 3 დეკემბერი.

# განცხადება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ატარებს ფასთა გამოკითხვას ორ ლოტად **I ლოტი** - ქ/ს „გლდანი 220"-ის წყალსადენი ქსელისა და სატუმბი სადგურის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოები და **II ლოტი** - ქ/ს „ნავთლუღი 220"-ში დამცავი საშუალებების გამოსაცდელი ლაბორატორიის ოთახის მოსაწყობად საჭირო სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე ან ვებ გვერდზე www.gse.com.ge.

ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2.

ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877232355.

განცხადება ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრამდე

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

# სპორტი

## კიდევ ერთი ქართული ჰეთ-თრიკი

იაპონიის ქალაქ ფუკუოკას "კოკუსაი სენთრში" მიმდინარე სუმოისტთა წლის უკანასკნელ სუპერტურნირზე კიდევ ერთი "ქართული დღე" იყო. მაკუჩი და ძუროს დივიზიონში სამი ქართველი ასპარეზობს და გუშინ სამივემ მოიგო.

ამ ბაშოზე გამარჯვებებით ტოჩინოშინი გვახარებს, კოკაი და გაგამარუ კი ბეწვის ხიდზე გადიან. გუშინ მოგებული ბრძოლების წყალობით ორივემ შეინარჩუნა ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი.

კოკაიმ პრინციპული ბრძოლა მოიგო. ქართველის მეტოქე იყო დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა ვაკენოსატო, რომელსაც, ისევე როგორც კოკაის, თერთმეტი დღის შემდეგ შვიდი მარცხი ჰქონდა და ქართველთან პაექრობის დათმობით უარყოფით ბალანსს ინაღდებდა. კოკაიმ მეტოქე უვატენაგეს ილეთით დაამარცხა და თუ დარჩენილ სამ შეხვედრასაც მოიგებს, ბაშოს დადებითი ბალანსით დაასრულებს.

გაგამარუმ იორიკირის ილეთით დაამარცხა კაიჰო და მასაც, როგორც კოკაის, დარჩენილი სამივე ბრძოლის მოგება მართებს.

ტოჩინოშინმა რიგით მეათე გამარჯვება დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ტაკამისაკმირისთან ჭიდილში მოიპოვა. ცნობილია, რომ ვაკანტური ხდება ერთ კომუსუბის ადგილი. დიდი ალბათობით, მეორე კომუსუბიც ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს. სავარაუდოდ, ორი სეკივაკედან ერთი ასევე დათმობს ტიტულს, ერთი პირველი მაეგაშირა ბაშოს უარყოფითი ბალანსით ამთავრებს, მეორეს კი დადებითი ბალანსისთვის დარჩენილი სამი ბრძოლის მოგება სჭირდება. ტოჩინოშინს მაეგაშირებიდან ყველაზე კარგი მაჩვენებელი აქვს და, წესით, რეიტინგში სოლიდური ნაბიჯი უნდა გადადგას წინ. თანაც, ეს წინსვლა დიდად აღარ არის დამოკიდებული დარჩენილ სამ დაპირისპირებაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ სამიდან ერთი მაინც მოიგო, უკეთესი იქნება. მოკლედ, წინასწარ იმის თქმა, თუ რა საფეხურზე ავა ტოჩინოშინი წლის ბოლო ბანძუკეში, ძნელია, თუმცა, ყველაზე მოკრძალებული ვარაუდითაც კი, ქართველი, სულ მცირე, პირველ ან მეორე მაეგაშირობამდე უნდა აღზევდეს.

*დადებითი ბალანსისთვის კოკაის დარჩენილი სამი ორთაბრძოლის მოგება მართებს*

გუშინ ბაშოზე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც დაფიქსირდა: დამარცხდა იოკოძუნა ასოშორიუ. იოკოძუნა ჰაკუჰო ერთპიროვნულად ლიდერობს ტურნირს.

## რონალდუ "კლასიკოს" მოგებას აპირებს

ტრავმებით გამოწვეული 56-დღიანი პაუზის შემდეგ მადრიდის "რეალის" მთავარი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ "ციურიხთან" მატჩში მინდორს დაუბრუნდა. მანუელ პელეგრინიმ პორტუგალიელი შეხვედრის მიწურულს შეუშვა მინდორზე და 20 წუთი მისცა სათამაშოდ. ცხადია, "ციურიხის" დამარცხება "სამეფო კლუბს" რონალდუს გარეშეც შეეძლო. პელეგრინიმ გუნდის ლიდერს "ელ კლასიკოს" წინ მოთელვის საშუალება მისცა - კვირას ხომ ესპანური ფეხბურთის მთავარი მატჩი გაიმართება. "კამპ ნოუზე" "ბარსელონა" და "რეალი" უპირისპირდებიან ერთმანეთს. მადრიდელთათვის ამ თამაშს ორმაგი დატვირთვა აქვს. გავიხსენოთ გასული სეზონი და "სანტიაგო ბერნაბეუზე" განცდილი მარცხი - 2:6. ახლა "რეალს" რევანშის აღება მართებს და ამ საქმისთვის კრიშტიანუ რონალდუ აუცილებელია. "ციურიხთან" გამართული შეხვედრის შემდეგ პორტუგალიელმა მცირე ინტერვიუ მისცა გაზეთ "ასის" კორესპონდენტს.

**- თავს როგორ გრძნობთ?**

*რონალდუ მინდორს დაუბრუნდა*

- დავიღალე, რადგან 100 პროცენტით ჯერ არ ვარ მზად. ცხადია, ასეთი დიდი პაუზის შემდეგ მაღალ დონეზე ვერ ვითამაშებდი, მაგრამ მთავარია, რომ ტრავმა აღარ მაწუხებს. სათანადო ფორმას კი აუცილებლად აღვიდგენ.

**- გოლების გატანა ხომ არ დაგავიწყდათ?**

- ჩემი საქმე ფეხბურთის თამაში და გოლების გატანაა. დღეს ვერ გავიტანე, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. დღეს ვერ გავიტანე, მომდევნო თამაშში გავიტან.

**- "კლასიკო" ამისთვის იდეალური მატჩია.**

- ძალიან მინდა "კლასიკოში" მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვითამაშებ თუ არა, ჯერ არ ვიცი. ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ვინ გავა მინდორზე, მწვრთნელის საქმეა. ერთი რამ შემიძლია გითხრათ: "ბარსელონასთან" თამაშიც მინდა და მოვიგებთ კიდეც.

**- შესაძლებელია თუ არა "ნოუ კამპზე" "ბარსელონას" დამარცხება?**

- რა თქმა უნდა. ისიც ფაქტია, რომ ურთულესი მატჩი გველის. ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა ვაჩვენოთ და მოვიგებთ. არ ვიცი, ითამაშებენ თუ არა მესი და იბრაჰიმოვიჩი, თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა. ვინც არ უნდა იყოს მინდორზე, თამაში უნდა მოვიგოთ.

**- რა შედეგი დაგაკმაყოფილეთ "კლასიკოში"?**

- 1:0, 2:0, 2:1. სულ ერთია. რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია მოვიგოთ და ანგარიშს პრინციპულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

## აწყობილ სოსას საპატიო ჩემპიონობა უბოძეს

გიგა გურასაშვილი

*კრივის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობას (WBC) დიდი სჯა-ბაასი არ დასჭირვებია იმისთვის, რომ პირველ უმსუბუქეს წონაში (49 კილოგრამამდე) ყოფილი ჩემპიონისთვის ედგარ სოსასთვის "საპატიო ჩემპიონის" წოდება მიენიჭებინა. ამ სტატუსით შეიარაღება 30 წლის მექსიკელისთვის იმით არის მნიშვნელოვანი და სასიამოვნო, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ საბჭოს ახლანდელ ჩემპიონ როდელ მაიოლთან მატჩ-რევანშის ან უმსუბუქეს წონაში ტიტულის პრეტენდენტობის საშუალება მიეცემა.*

21 ნოემბრის ტუკსტლა გუტიერესის (მექსიკა) ჩხუბში ედგარ სოსას (37 გამარჯვება, აქედან 21 ნოკაუტით და 6 წაგება) მეტოქემ სახეში, თანაც განგებ, ისეთი უთავაზა, რომ მოგვიანებით რენტგენის სურათმა სახის ძვლის მოტეხილობები აჩვენა. მანამდე, მეორე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით წაგება აგემეს. გამარჯვებულად კი მსაჯებმა ცნეს ფილიპინელი როდელ მაიოლი (26 გამარჯვება, აქედან 20 ნოკაუტით, 4 წაგება და 1 ფრე), რომელთანაც საბჭოს მამები მექსიკელს, სავარაუდოდ, მატჩ-რევანშის საშუალებას მისცემენ. ყოველ შემთხვევაში, WBC-ს თავკაცი ხოსე სულეიმანი ამბობს, ეს გადაწყვეტილება ერთადერთია, რისი გაკეთებაც შეუძლია ორგანიზაციას ჩვენი საამაყო ჩემპიონისთვისო.

"ეს იყო ძლიერი და აშკარა თავური დარტყმა, - 21 ნოემბრის ორთაბრძოლას იხსენებს სულეიმანი. - WBC-ს მეტის გაკეთება არ შეუძლია. ჩვენ წესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამ უსამართლობის კომპენსაციისთვის საბჭომ გაითვალისწინა, რომ სოსამ რვაჯერ დაიცვა ტიტული და აქტიურად მონაწილეობს ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად მოწყობილ საქველმოქმედო აქციებში. ასე რომ, გადავწყვიტეთ, ის "საპატიო ჩემპიონად" დავასახელოთ".

ამასობაში სოსას პრომოუტერი ფაუსტო დანიელ გარსია იტყობინება, რომ მაიოლასთან ხელმეორედ შეხვედრა არ სურთ, რადგან მსგავსი შემთხვევის გამეორებისგან დაზღვეული იყვნენ. სანაცვლოდ მომავალი ორთაბრძოლისთვის უმსუბუქეს წონაში საბჭოს ჩემპიონი, იაპონელი დაისუკე ნაიტო (35 გამარჯვება, აქედან 22 ნოკაუტით, 2 წაგება და 3 ფრე) შეიგულეს.

მომავალ დაპირისპირებამდე სოსას ბანაკი ორთაბრძოლის შედეგის გადახედვასაც ითხოვდა და ითხოვს, მაგრამ საბჭოსგან უარი მიიღეს.

"WBC-ს წესებში არ არის ისეთი პუნქტი, რომელიც ადგილობრივი სპორტული ხელმძღვანელების მიერ დამტკიცებული ორთაბრძოლის შედეგს შეცვლიდა. ჩვენ რომ ეს წესი შეგვეცვალა, ქაოსს მივიღებდით, - ამბობს ხოსე სულეიმანი. - სჯობს პატივი ვცეთ შედეგს. ოფიციალური პირები და ექიმები სათანადო წესებით მოქმედებდნენ და აქ არაფერია საეჭვო. თუ ექიმმა ან რეფერიმ დაუშვა შეცდომა, WBC-ს ვალია, მათ მითითებები მისცეს და მეტი ცოდნის მისაღებად ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი, მოუწყოს სემინარები".

...ამ დღეებში სოსას ოპერაცია გაუკეთეს - დამტვრეული ძვლები ორი ტიტანის ფირფიტით გაუმაგრეს. მექსიკელის ექიმი ირწმუნება, სოსა, სავარაუდოდ, ექვს თვეში გავა რინგზეო.

### შერმადინის ოთხი ქულა

ევროლიგის გათამაშების მორიგ ტურში ბერძნულმა "პანათინაიკოსმა" საკუთარ მოედანზე "ოლდენბურგი" დაამარცხა. "პაომ" თამაში 33 ქულით მოიგო - 96:63. ბერძნული გრანდის ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი მხოლოდ თამაშის დასკვნით ნაწილში გამოჩნდა მოედანზე - მწვრთნელმა მას 3 წუთი და 27 წამი დაუთმო. დროის ამ მონაკვეთში შერმადინმა ოთხი ქულა დააგროვა.

### მანჩინის ისრაელში უხმობენ

მილანის "ინტერის" ყოფილი თავკაცი რობერტო მანჩინი რა ხანია უმუშევარია. იტალიურ მედიაში "მანჩიოს" დასაქმებაზე ხშირად საუბრობენ. ხან რომელი გრანდის მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ და ხან - რომლის, თუმცა თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მანჩინიმ "ინტერი" დატოვა და დღემდე ახალი სამუშაო ვერ უშოვია.

ამ დღეებში გავრცელებული ცნობის თანახმად, რობერტო მანჩინი, შესაძლოა, ისრაელის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მანჩინის კანდიდატურა შესთავაზეს. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ავი ლუზონი უახლოეს მომავალში გეგმავს ნაკრების მწვრთნელობის პრეტენდენტებთან შეხვედრას, რათა მათთან მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობა განიხილოს.

### ჰიდინკი "ჩელსიში" ბრუნდება

მას შემდეგ, რაც რუსეთის ნაკრებმა მუნდიალის საგზური ვერ მოიპოვა, გუუს ჰიდინკის ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხი დღის წესრიგში დადგა. ჰოლანდიელი სპეციალისტი რუსეთის ნაკრებს ტოვებს და, სავარაუდოდ, ლონდონის "ჩელსიში" დაბრუნდება.

ამჟამად "ჩელსის" ანჩელოტი წვრთნის. იტალიელს შთამბეჭდავი შედეგები აქვს. ასე რომ, ჰიდინკს მწვრთნელის პოსტის დაკავების პერსპექტივა არა აქვს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელი მზადაა ლონდონური კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობა დაიკავოს.

"ტექნიკური დირექტორის სამუშაო ჩემთვის საინტერესოა. ერთი მხრივ, ახალგაზრდა აღარ ვარ და ყოველდღური საქმიანობა სულ უფრო მიჭირს. გარდა ამისა, ეს სამუშაო მჭიდროდაა დაკავშირებული გუნდის საქმეებთან - კლუბის სამომავლო განვითარებას ვგულისხმობ", - ამბობს ჰიდინკი ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

### ბენიტესი თანამდებობას შეინარჩუნებს

მიუხედავად იმისა, რომ "ლივერპული" ამ სეზონში საშინლად თამაშობს, რაფაელ ბენიტესს თანამდებობის დატოვება არ ემუქრება.

ასეთი განცხადება გააკეთა მერსისაიდელთა აღმასრულებელმა დირექტორმა კრისტიან პურსლოუმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ესპანელი სპეციალისტი, ვინც "ლივერპულს" 2005 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

"ოთხი თვის წინ ბენიტესმა კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, მისი გადაყენების შესახებ საუბარი მიზანშეწონილი არ არის. მას დათხოვნა არ ემუქრება", - ამბობს პურსლოუ.

ერთი მხრივ, ამაში გასაკვირი არაფერია. ბენიტესის დონის მწვრთნელის გაშვება მართლაც დიდი შეცდომა იქნებოდა, თუმცა არსებობს მეორე მხარეც. "ლივერპულის" ამერიკელ მფლობელებს ესპანელი მწვრთნელი გულზე არ ეხატებათ. ინგლისურ მედიაში ბენიტესის დათხოვნაზე მაშინაც კი საუბრობდნენ, როდესაც "ლივერპული" ბრწყინვალე ფეხბურთს აჩვენებდა. ახლა კი რაფას ფეხი დაუცდა, "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა და ინგლისის ჩემპიონატშიც სუსტად თამაშობს. ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ იქნებოდა, თუ კლუბის ამერიკელი ბოსები ამით ისარგებლებდნენ და ბენიტესს თანამდებობას დაატოვებინებდნენ.

# "მილანის" ბედი ციურიხში გადაწყდება

*ფერნანდოს ბუფონის კარში გააქვს გოლი*

ოთხშაბათს დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ბოლოსწინა ტური და კითხვის ნიშნები ჯერაც მრავლადაა. რამდენიმე ჯგუფში სწორედ ბოლო ტურში გაირკვევა ყველაფერი. რაც შეეხება თავად ოთხშაბათის მატჩებს, აღსანიშნავია რამდენიმე დეტალი: თურქულმა "ბეშიქთაშმა" დაასრულა მანკუნიანელთა 23-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩემპიონთა ლიგის საშინაო შეხვედრებში. მართალია, მანკუნიანელებს ამ თამაშში არავითარი მოტივაცია აღარ ჰქონდათ, მაგრამ არსებობს ღირსებაც, რომელიც, ეტყობა, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდზე მეტად "ბორდოს" აქვს. ლორან ბლანის გუნდს პლეი-ოფში თამაში გაანაღდებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ფრანგული ფეხბურთის ახლანდელმა ლიდერმა ტურინის "იუვენტუსს" ქულაც კი არ დაუთმო, რითაც მიუნხენის "ბაიერნს" შეუნარჩუნა შანსი. ახლა ევროპული ფეხბურთის ორი გრანდი ურთიერთშეხვედრაში გაარკვევს, თუ ვინ იმსახურებს შემდეგ ეტაპზე თამაშს. "ბორდომ" კი პატიოსანი თამაშის პრინციპები ბოლომდე დაიცვა. შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება გაანაღდა "რეალმაც", "მილანს" კი ბოლო ტურში სტუმრად "ციურიხის" დამარცხება სჭირდება. "რეალის" ფანებისთვის ოთხშაბათს ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტიც დაფიქსირდა - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა კრიშტიანუ რონალდუ.

**დიდიე დეშამი ("მარსელის" მთავარი მწვრთნელი):** "შედეგით უკმაყოფილო ვარ. რა თქმა უნდა, "სან სიროზე" "მილანთან" მატჩის ფრედ დასრულება კარგი შედეგია, მაგრამ ჩვენ მოგება გვჭირდებოდა. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. ახლა ბოლო ტურს უნდა დაველოდოთ. ვნახოთ, რა მოხდება. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი კიდევ გვაქვს. "რეალის" დამარცხება ძნელი იქნება, თუმცა ეს რომ მოვახერხოთ, გარანტირებული არაფერია. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, წესით, "მილანმა" ციურიხში უნდა მოიგოს."

**ლეონარდო ("მილანის" მთავარი მწვრთნელი):** "შესაძლოა "მარსელი" უფრო მწვავედ უტევდა, თუმცა მოგების შანსი ჩვენც გვქონდა. თამაში კარგად დავიწყეთ და ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ ასევე სწრაფად გავუშვით საპასუხო გოლი. არის ერთი ფაქტორიც: ჩვენ დასვენების დრო თითქმის არ გვქონია. იტალიის ჩემპიონატის მატჩი სამი დღით ადრე გავმართეთ, "მარსელმა" კი, ჩვენგან განსხვავებით, ხუთი დღე დაისვენა. რა თქმა უნდა, დღეს მომდევნო ეტაპის საგზურის დაბევება გვინდოდა, მაგრამ საშინელება არ მომხდარა. ციურიხში მოსაგებად ჩავალთ".

**ჩირო ფერარა ("იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი):** "პარადოქსია, მაგრამ პირველი გოლი სწორედ მაშინ გავუშვით, როცა მეტოქეზე უკეთ ვთამაშობდით და დაცვაშიც ყველაფერი წესრიგში იყო. დღევანდელი მარცხი საწყენია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პლეი-ოფში მაინც გავალთ. ბოლო ტურში, საკუთარ მოედანზე, ჩვენი ფანების თვალწინ წაფორხილების უფლება არ გვექნება".

**ლორან ბლანი ("ბორდოს" მთავარი მწვრთნელი):** "ბედნიერი და ამაყი ვარ. წილისყრით ურთულეს ჯგუფში მოვხვდით. თავიდან ბევრმა ჩამოგვწერა კიდეც, მაგრამ თავადაც ნახეთ, რა მოხდა. ჩვენ უკვე პლეი-ოფში ვართ. რაც შეეხება მეტოქეებს, ჩემი აზრით, უპირატესობა "იუვენტუსს" აქვს. ამ გუნდს საკუთარ მოედანზე "ბაიერნის" დამარცხება შეუძლია".

**მუსტაფა დენიზლი ("ბეშიქთაშის" მთავარი მწვრთნელი):** "ეს იყო უდიდესი საღამო "ბეშიქთაშისა" და მთლიანად თურქული ფეხბურთისთვის. დარწმუნებული ვარ, ჯგუფის უკანასკნელ მატჩსაც მოვიგებთ."

**ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერის" მთავარი მწვრთნელი):** "დღეს ახალგაზრდებს მივეცი თამაშის საშუალება. თავადაც ნახეთ, ჩვენმა ბიჭებმა მინდორზე ბევრი რამ კარგად გააკეთეს. აქვე უნდა ვთქვა, რომ მსაჯმა აშკარა პენალტი არ დანიშნა. არ მესმის, რა ხდება. ზედიზედ მეორე მატჩია, ჩვენს სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანებს არ ნიშნავენ. სამწუხაროდ, ამის წინააღმდეგ ვერაფერს გავაწყობ".

**მანუელ პელეგრინი ("რეალის" მთავარი მწვრთნელი):** "უკმაყოფილო ვარ, რადგან ჩვენი გუნდი სხვაგვარად უნდა თამაშობდეს. ვერ შევძელით იმ ტექნიკური და ლამაზი ფეხბურთის ჩვენება, რომლიც მოგვწონს. მეორე მხრივ, "რეალმა" უდიდესი ყურადღებით ითამაშა დაცვაში და ეს მისასალმებელია. არ გვყოფნის კრეატიულობა და ცოტათი არ გვიმართლებს. მთლიანობაში არც ისე ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვაჩვენეთ".

**ლუი ვან გალი ("ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი):** "ჩემმა გუნდმა კარგი ფეხბურთი აჩვენა. ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით. მიმაჩნია, რომ უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. ჩვენ და "იუვენტუსს" მომდევნო ტურში გასვლის თანაბარი შანსი გვაქვს. მერწმუნეთ, გოლის გატანის საშუალება ტურინშიც გვექნება."

**კარლო ანჩელოტი ("ჩელსის" მთავარი მწვრთნელი):** "ჩვენთვის ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება მნიშვნელოვანი იყო. ჯგუფური ეტაპის შედეგებით დასახული ამოცანა გადაჭრილია. სტუმრად "პორტუს" დამარცხება ადვილი არ არის, მაგრამ ეს შევძელით. ამ სეზონში ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაზე კარგი თამაშია. ახლა კი შეგვიძლია მთლიანად პრემიერლიგაზე გადავერთოთ და კვირის მატჩისთვის მოვემზადოთ. "არსენალთან" დაპირისპირება უაღრესად საინტერესო იქნება".

**ლეონიდ სლუცკი (ცსკას მთავარი მწვრთნელი):** "მადლობას ვუხდი ფეხბურთელებს მამაცობისთვის. მათ ურთულესი მატჩი გადაარჩინეს. სასურველი ანგარიშით ვერ გავიმარჯვეთ და ეს დასანანია, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ. გაშვებულმა გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შემდეგ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით და რა ანგარიშით მოხდებოდა ეს, მნიშვნელოვანი არ იყო."

**არმინ ფე ("ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი):** "რა თქმა უნდა, მოგება გვინდოდა, მაგრამ რაც გამოვიდა, თავად ნახეთ. "ლუჟნიკებზე" არსებული ბალახის ხელოვნური საფარი ჩვენს გამართლებად არ გამოდგება. უბრალოდ, ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ისევ გვაქვს. მეტიც, ალბათ ჩვენი შანსი გაცილებით აღემატება რუსული გუნდისას."

## ვალდესი იმედიანადაა

"ბარსელონას" მეკარეს, 27 წლის ვიქტორ ვალდესს ჯერ კიდევ არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია ეროვნულ ნაკრებში. ეს შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ესპანეთში მეკარის პოზიციაზე დიდი კონკურენციაა. თუმცა, ამის მიუხედავად, ვალდესი იმედს არ კარგავს. "ძალიან ძნელია ნაკრებში მოხვდე, როდესაც შენს პოზიციაზე იკერ კასილასი და პეპე რეინა არიან. ჩემი ამოცანაა ყველა მატჩში კარგად ვითამაშო, რათა დავიმსახურო შანსი," - განაცხადა ესპანელმა.

## "რომას" დე როსიც დაუბრუნდა

იტალიურ "რომას" ლიდერები უბრუნდებიან და ალბათ ეს გუნდი თამაშსაც გამოასწორებს. ტრავმა მოიშუშა ტოტიმ და "ჩესკო" შესაძლოა იტალიის ჩემპიონატის უახლოესი ტურის მატჩშიც გავიდეს მინდორზე. ტოტისთან ერთად დედაქალაქელებს უბრუნდებათ იტალიის ნაკრების ნახევარმცველი დანიელე დე როსი.

26 წლის ფეხბურთელმა კლუბის ექიმებისგან გამოწერილი ათდღიანი სამკურნალო კურსი ჩაიტარა და თავს კარგად გრძნობს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დე როსი "რომას" უახლოეს კვირას - "ატალანტასთან" გასვლით მატჩში დაუბრუნდება.

## გიუნეში "ტრაბზონს" ჩაიბარებს

ცნობილი თურქი სპეციალისტი შენოლ გიუნეში კორეული ვოიაჟის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება და, სავარაუდოდ, კლუბ "ტრაბზონსპორს" ჩაიბარებს.

თავის დროზე გიუნეში თურქეთის ეროვნულ ნაკრებსაც წვრთნიდა. მისი უკანასკნელი სამუშაო ადგილი კი სამხრეთ კორეა იყო, სადაც თურქი სპეციალისტი საფეხბურთო კლუბ "სეულს" ავარჯიშებდა.

"ტრაბზონსფორში" ეს გიუნეშის მეოთხედ მისვლა იქნება. მანამდე ის ტრაბზონულ კლუბში 1987-1988, 1992-1996, 2004-2005 წლებში მოღვაწეობდა. მისი ხელმძღვანელობით "ტრაბზონსფორში" უთამაშიათ შოთა და არჩილ არველაძეებს, გიორგი ნემსაძეს და ბესიკ ბერაძეს.

## "ბოლტონს" "სიტის" ფორვარდის გადაბირება სურს

იანვრის სატრანსფერო პერიოდში "ბოლტონი" "მანჩესტერ სიტის" 31 წლის ზიმბაბველი ფორვარდის ბენჯანი მვარუვარის შეძენას შეეცდება.

მვარუვარი "ქალაქელთა" ძირითადში ვერ ხვდება და ძალიან ცოტა სათამაშო დრო აქვს. ამიტომ კლუბის შეცვლაზე არც თავად ფეხბურთელი იტყვის უარს. "სიტიმ" აფრიკელი 1.5 მილიონ გირვანქად შეაფასა. ამ თანხის გადახდა "ბოლტონისთვის" პრობლემა არ არის.

## ხუთი ეჭვმიტანილი

უეფამ დაასახელა ის ხუთი კლუბი, რომლებიც "ჩაწყობილ" მატჩებში მონაწილეობაში არიან ეჭვმიტანილი.

ფეხბურთის ისტორიაში "ჩაწყობილი" მატჩების ყველაზე მასშტაბურმა გამოძიებამ ევროპის ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის შვიდი პაექრობის სამართლიანობა ეჭვქვეშ დააყენა.

ეს მატჩები ალბანური "ტირანას", ლატვიური "დინაბურგის", სლოვენიური "ვლაჟნიასა" და "ლუბლიანას", აგრეთვე უნგრული "ჰონვედის" მონაწილეობით გაიმართა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომლის თანახმად, ამ საქმეში სამი არბიტრია გარეული. ამ კვირაში უეფას მესვეურები ავსტრიის, ბელგიის, ბოსნიის, ხორვატიის, გერმანიის, სლოვენიის, თურქეთისა და შვეიცარიის საფეხბურთო ხელმძღვანელებს შეხვდებიან.

## ანტიჩი ნაკრებში მუშაობას აგრძელებს

სერბეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ცნობილი სერბი სპეციალისტი რადომირ ანტიჩი 2012 წლამდე თავის თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს.

61 წლის სპეციალისტმა სერბეთის ნაკრები 2008 წელს ჩაიბარა და გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა. ლოგიკურია, რომ სერბეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და სწორედ ანტიჩი მოამზადებს სერბეთის ნაკრებს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის.

## ინძაგის არჩევანი

ვეტერან იტალიელ ფორვარდს პიპო ინძაგის დიდი არჩევანი აქვს. იტალიური მედიის ინფორმაციით, პიპო, შესაძლოა, ინგლისურ "მანჩესტერ სიტიში" გადავიდეს.

36 წლის ინძაგის "მილანთან" კონტრაქტი გაისად ივნისში უმთავრდება, მაგრამ "სიტი" ზამთარშივე ეცდება მის შეძენას. ამ ეტაპზე მარკ ჰიუზის გუნდი ინძაგისთვის დავაში ფავორიტია, თუმცა "პიპოს" მადრიდის "ატლეტიკო" და იტალიური "პარმაც" ეპატიჟება. მეტიც, "მილანის" ფორვარდის შეძენა "ჩელსისაც" სდომებია. "როსონერის" ყოფილი და "არისტოკრატთა" ახლანდელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი შეშფოთებულია იმის გამო, რომ იანვარში სალომონ კალუ და დიდიე დროგბა აფრიკის თასზე მიდიან კოტ დ`ივუარის ნაკრებში სათამაშოდ. ამ დროს გუნდში ერთადერთი მაღალი კლასის ფორვარდი რჩება - ნიკოლა ანელკა. ანჩელოტის სწორედ ამ მოკლე პერიოდში სურს ინძაგის "ჩელსიში" ხილვა.

## დრენტეს "იუვეში" ელიან

იანვარში ტურინის "იუვენტუსმა" შესაძლოა მადრიდის "რეალის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი როისტონ დრენტე შეიძინოს.

გარიგების სავარაუდო ღირებულებად იტალიური მედია ექვს მილიონ ევროს ასახელებს.

"რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ამ ზაფხულს ტრანსფერებში 250 მილიონი დახარჯა, თანაც, რამდენიმე ფეხბურთელი (რომლებიც ახლა სათადარიგოთა შორის არიან) არ გაყიდა. ამის გამო იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ "იუვეს" დრენტეს ტრანსფერზე მადრიდელებთან შეთანხმება არ გაუჭირდება.

## ვიდიჩი "მანჩესტერიდან" წასვლას აპირებს

სერბეთის ეროვნული ნაკრების მცველმა ნემანია ვიდიჩმა, შესაძლოა, "მანჩესტერ იუნაიტედი" დატოვოს.

ვიდიჩი დიდხანს აღარ დარჩება ინგლისურ კლუბში, რომელშიც 2006 წელს მოსკოვის "სპარტაკიდან" გადავიდა.

გუნდიდან ფეხბურთელის შესაძლო წასვლის მიზეზად სახელდება მისი მეუღლე ანა, რომელსაც ინგლისში ცხოვრება არ მოსწონს და უფრო თბილ ქვეყანაში გადასვლა სურს. თავად ნემანია აცხადებს, რომ თავის მომავალზე სასაუბროდ ჯერ მზად არ არის. ამასთან, ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გამოცემამ The Times-მა გაავრცელა მანჩესტერელთა თავკაცის ალექს ფერგიუსონის კომენტარი. ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტის თქმით, ის შეეცდება გუნდის წამყვანი ცენტრალური მცველი ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე დაიყოლიოს.

ნემანია ვიდიჩის შეძენა მადრიდის "რეალსა" და "ბარსელონას" სურთ.

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი:**

| № | დასახელება | სპეციფიკაცია | ტირაჟი (ცალი) | ზომა | ფურცლების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელმძღვანელო | 100 გრ. ცარცის ფურცელი, შავ-თეთრი, ფერადი ჩანართებით; ყდა – 300 გრ ცარცის ქაღალდი, ფერადი | 1625 | A5 | 200 |
| 2 | ბროშურა | 120 გრ, პრიალა ქაღალდი | 500 | A4 | 2 |

- **დაფინანსების წყარო:** - 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

- **მიწოდების ადგილი** – ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52

- **საქონლის მიწოდების ვადები**: - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის ბოლომდე.

**აუცილებელი პირობა**:

- შესასყიდი საქონელი უნდა დაიბეჭდოს შემსყიდველის მიერ მიწოდებული დიზაინის შესაბამისად.

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებების პაკეტებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესასყიდი დასაბეჭდი მასალის ნიმუშები და მსგავსი მზა პროდუქციის ნიმუშები.

- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5% -იანი გარანტიები.

- სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან და ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2009 წლის 16 დეკემბერს 12.00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ ენაზე** სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2009 წლის 16 დეკემბერს 15.00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №126, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 16 დეკემბერს 15.00 საათზე, სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 I სართულზე, ოთახი №111.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** – ერთიანი ანგარიში
**მიმღები ბანკი** – სახელმწიფო ხაზინა
**ბანკის კოდი** – 220101222
**საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო** კოდი – 302003174
**ა/ა № 200122900**

- დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ: ტენდერის **№12** და დასახელება და ორგანიზაციული კოდი: 2211.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:
ა) ცნობა სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
ბ) ცნობა გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ **(ცნობა სასამართლოდან);**
გ) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები **(ბოლო 2 წლის).**
დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**ფიზიკური პირისათვის:**
- საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები **(ბოლო 2 წლის);**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

დ) ინფორმაცია მომსახურების პირობების შესახებ;

ე) ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ.

- სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ **30 დღე**. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს დაზუსტებას არ დაექვემდებარება წინამდებარე სატენდერო განცხადების ტექსტში მოთხოვნილი არც ერთი ცნობა და ინფორმაცია.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ლ. გვაზავა, მ. ფალიაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.№52 ტ. 43 88 24; 43 88 32 ოთახი №126 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.


თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის კლინიკა
"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი
მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება
კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ხარის ბეჭის საიდუმლო

ზაზა ფაჩუაშვილი

ამას წინათ, როგორც იმერეთში იტყვიან, სასტაულ ქორწილში გახლდით, ფრიად პატივცემულ საზოგადოებასთან ერთად. იმდენი მაგიდა გაეშალათ, საერთო სიგრძე ნამდვილად მიაღწევდა ახალგორში გაღორებულ რუს ოკუპანტებამდე. სუფრასთან კი ისეთი ხალხი იჯდა, საქართველოს ჰიმნზე გულზეხელდადებულები რომ იჭიმებიან. ისეთი მორთული დარბაზი, გაჩირაღდნებული კედლები და თეატრალიზებული საპატარძლო მაგიდა ჰოლივუდის ფილმებშიც არ მინახავს.

მთავარი მაინც შამფურზე შემწვარი წიწილა იყო, რომელიც ზოგს პატარა ხოხობი ეგონა, ზოგს დიდი მწყერი, ცოლიკაურით გაჭყეპილ სტუმრებს კი უთავო ბაჭია. მაგრამ ყველა ეს ვარაუდი პირველი ლუკმის დაგემოვნებამდე გაკეთდა, თორემ მერეე... რომ იცოდეთ, რა იყო მერე? - მერე იყო მდნარ-ბოჭკოვან ქსოვილად გადაქცეული ნივრიან-პილპილიან-საწებლიანი წიწილის ნორჩი ხორცის საჭმლის მომნელებელ ორგანოებთან ჰარმონიული შერწყმის დაუვიწყარი პროცესი და ასეთი საამო გემრიელების ახსნის უშედეგო ესტაფეტა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხაშლამაც, რომელიც საუკეთესო კახური ტრადიციის ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენდა - მსუქანი, საშუალო სიდიდის, თანთალა ნაჭრები ზომიერად მარილისა და მწვანილის არომატით. დანარჩენი კერძეულობა, ტკბილეულობა და ხილეულობა იმერული სამზარეულოს რჩეული რეცეპტების სრულ ნაზავს წარმოადგენდა. ღომი და შებოლილი სულგუნი სტუმარ-მასპინძლივით შესციცინებდნენ ერთმანეთს; კეცის ნეშომპალიანი მჭადი და ნახევრად ჭყინტი ნაკლებმარილიანი ყველი კი თამადისა და მისი მოადგილეების ურთიერთპატივისცემას მოგაგონებდათ, ერთმანეთის სადღეგრძელოებს რომ დიდი რიდით ავსებდნენ; ნაზად შებრაწულ გოჭს მიწაში ბოთლით შენახული ტყემალი ისე ევლებოდა, როგორც მომღერლების ომახიან ხმას დამკვრელების რიხიანი აკომპანიმენტი; ყველგამოხეთქილი ცხელი ხაჭაპური და ცივად მოხარშული დედალი სიხარულით გახეთქილ ნეფესა და მოკრძალებით შებოჭილი მშვენიერი პატარძალივით უხდებოდნენ ერთმანეთს; კეცებში მრგვალად დაჭრილი ხახვისა და ბროწეულის მდელოების ქვეშ ჩამალული რბილი მწვადი და ოხშივარიანი ყაურმა თავმომწონე მოცეკვავეებს ჰგავდნენ, ღვინით, მუსიკითა და მასპინძლით გახელებულები რომ აჭრაჭუნებდნენ იატაკს; მართლაც აჭარულივით ჩახვეული აჩმა ამათრთოლებელი განდაგანასავით იტაცებდა მზერას; იმერული ნიგვზის ბაჟეში ამოწობილი ოკეანის შემწვარი თევზი კი საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გამაოგნებელ გემოს გაგრძნობინებდათ; საფალიც თაბახივით ისეთი ქათქათა იყო, რომ იმ ქორწილის მატიანის ჩაწერას მოგანდომებდათ; და სხვა და სხვა ენით აუწერელი სალათ-ბულათ-ნუგბარნი.

კახური ღვინოც რომ ყოფილიყო? - მაშინ ამ ყველაფრის აღწერას კი არა, დაგემოვნებასაც ვერავინ შეძლებდა. ცოლიკაურმა სტომაქი კი დაამძიმა, მაგრამ გონება არ დაუბინდია, მხოლოდ გაამხიარულა და ადამიანური რესურსების დანაკარგის გარეშე ქორწილის მაჟორულ ნოტაზე დამთავრებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. დანაკარგებთან დაკავშირებით, მოკირკიტე თვალისთვის გამონაკლისი შეიძლება ყოფილიყო "ტროიკაში" გამოწყობილი სიძის გარე ბიძად კუთვნილი ვალიკია პარმენას ძე ებანოიძე, რომელიც საპატიო სტუმართა შორის ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი დაკოჟრილი ხელებით. 70 წლამდე მიკაკუნებული ეს ჩია, ხმელი კაცი თავისი "წენში" მოხრილობით თოხთამპყრობელი იმერელი გლეხკაცის უბადლო ტიპაჟს წარმოადგენს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ოყიანი თოხი მის მაზოლიან ხელებს თვალითაც არ უნახავთ. სამაგიეროდ მეწაღის ჩაქუჩი არ გაუშვიათ 56 წლის წინათ მუშტად შეკრული თითებიდან. ვალიკიამ სწორედაც რომ 14 წლის ასაკში დაიწყო ტაბურეტზე მოკალათებული მუშაობა და, მისი ხელობის დარგობრივი პროფკავშირი რომ არსებობდეს, საპატიო სიგელს თუ არა, სირმის საგზურს მაინც მიიღებდა შარდსასქესო სისტემის სამკურნალოდ.

ერთი სიტყვით, ყანწისა და ორიოდე ჭიქის დაცლის შემდეგ, ვალიკიას ფერი დაეკარგა და სახეზე შენუხებული გამომეტყველება დაეტყო. ცოტა ხანში კი გულზეც მოისვა ხელი, რაც არ გამოპარვია მისი მეუღლის ფხიზელ თვალს.

"დედა, გლახათაა, გონია, ეს უბედური," - შეიცხადა პირზე ხელაფარებულმა ქალმა და ქმარს შეუტია, - "გლახათ ხარ, ხომ? რას სვამ, რო სვამ, ეჯიბრები ამ ბოვშებს ამხნის კაცი. დედა, რა მეშველება!" ბოლო ძახილისნიშნიანი ფრაზა ვალიკიას აღარ გაუგია, ფეხზე წამოდგა და გასასვლელისკენ წაბარბაცდა. "გაყევი, დედა," - შემეხვეწა მამიდაჩემი.

"რავა ხარ, ვალიკია ბიძია? ცუდად ხო არ ხარ?" - მივდევდი კითხვა-კითხვით ჩუმად მობუზულ კაცს, რომელიც მეც გარე ბიძად მეკუთვნოდა, თუმცა მშობლიური ბიძასავით მოამაგე კი იყო. ასე გავაღწიეთ გარეთ, ნელა დავეშვით კიბეზე ის წინ, მე უკან. ჩემს ყოველ კითხვას ის მხოლოდ ხელის აქნევით პასუხობდა. კარგად ვერ გავიგე, რას მანიშნებდა, არაფერი მიშავს და თავი დამანებეო, თუ რა ვიცი, რაფრა ვარო. ამასობაში მანქანების მწკრივიც დაიწყო და ვალიკიაც მიჰყვა ზიგ-ზაგებით ხეტიალს. ერთი-ორჯერ ისე ამომხედა, მისმა მზერამ შემაჩერა და თითქოს მომეჩვენა, რომ ჩემგან მიმალვას ცდილობდა. ასეთი უცნაური საქციელი მის ცუდად ყოფნას მივაწერე, შევშფოთდი და უფრო მივუახლოვდი, რომ მხარზე ხელი მომეხვია, მაგრამ ვალიკია უცებ გაჩერდა, შარვალზე ხელი იტაცა და ღილების შეხსნა დაიწყო. ცივად გამოვტრიალდი, კაცი, თურმე, გაჭირვებული ყოფილა... კარებში დაველოდე. დამეწია და მეცა.

- ვინ არი, ბ-ჯო, გლახათ? იმ სუნელი მამიდაშენის გჯერა!? - ხურდასავით დაუბრუნა სამაგიერო ფრაზა თავის ცოლს ამოსუნთქულმა ვალიკიამ.

- რა ვიცი, მე? რას გავდი, თუ იცი? ამოგეღო ხმა.

- მეყვირა, მეფსია-თქვა!? შენ კარქათ ხო ხარ, ვინცხა ხარ! ისედაც შევრცხვი კაცი, გარეთ რო გამევედი. რა იყო, მაინც, რო აღარ მომცილდი, კილამც გავსკდი ფაშვზე. შენ არ დაძრა კრინტი, თვარა... ნუ იღრიჯები გლახასავეთ! - თვალები დამიბრიალა ბიძაჩემმა და ახალნაიმფარქტალივით ფრთხილი, მცოცავი ნაბიჯებით შევიდა დარბაზში.

ზედმიწევნითი იმერული ზრდილობა და სახელოვან წინაპართა ნათელი სახეების ხსოვნა ცოლიკაურის უდროოდ გამტარ ვალიკიას ნებას არ აძლევდა, ეღიარებინა, რომ მთელი მისი გულის წუხილი და ფერის დაკარგვა შარდის ბუშტის კედლების ასაკობრივი გაუხეშებით იყო გამოწვეული, რამაც მის ღირშესანიშნავ ქსოვილს წარსულის დიდებული დრეკადობა დააკარგია და სიბერეში შეარცხვინა კიდეც, სუფრის დამთავრებამდე რომ გარეთ გაიყვანა. ამიტომ მარცხს იძულებით შეგუებულმა მეწაღემ მისი მეუღლის დაჟინებულ მოთხოვნას, წევიდეთ აწი უნდა დაწვე, მეისვენოო, ვერაფერი დაუპირისპირა. ერთი წაილუღლუღა მხოლოდ, კარქათ ვარ ახლა, აღარაფერი მიჭირსო, მაგრამ... საქმეში ხარ შენ? სამაგიეროდ მან დიდი პატივითა და ხვალინდელი მოკითხვების დაპირებებით ტრიუმფატორივით დატოვა საქორწილო დარბაზი და უკან მიდევნებული მასპინძელთა არმია, რომელიც დიდად მადლიერი დარჩა ყანწის დამლევი გულმტკივანი ნათესავის ისტორიული თავგანწირვისა მათდამი ესოდენ საარაკო პატივისცემის ნიშნად. დიახ, შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ნეფე-პატარძლის პირველივე ბარტყს ჯერ კიდევ გარდატეხის ასაკამდე ეცოდინება თავისი, გარე ბაბუად კუთვნილი ვალიკიას გმირობა.

ცხადია, უკაცრავად ვარ ამ ლირიკული გადახვევისთვის... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ქორწილის დამთავრება ნამდვილად იყო მისი დასაწყისის ღირსი. გაყინული ნეფე-პატარძალი დარბაზში მენდელსონის მარშის თანხლებით შემოუშვეს, მაშინ, როცა მთელი ქორწილი უკვე კარგა გვარიანად ილუკმებოდა. ამდენ ხალხს რა დასვამსო და თადარიგი ახალდაქორწინებულების მობრძანებამდე კაი ხნით ადრე დაიჭირეს. ყველა ჯგუფს წინასწარ გამოყოფილი ადგილი მიუჩინეს, მაგრამ ვიდრე ბოლო სტუმარი დაჯდებოდა, იმდენი დრო გავიდა, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გარეთ სიცივეში მოუწია დგომა. სამი-ოთხი წუთიც დაშოშმინებას დასჭირდა და როცა ხაჭაპურის ლუკმამ ყველას პირი ამოუვსო და სამარისებული სიჩუმეც ჩამოვარდა, მაშინ იქუხა მარშმა. ლოყებდაბერილი დარბაზი წამოდგა და ტაშის გრიალითა და ყბების კაკუნით მიეგება ულამაზეს წყვილს. მერე ტოლიბაშის ჯერიც დადგა და მიკროფონმა მის ხელში ისევე დაიწყო კანკალი, როგორც სცენაზე მდებარე დინამიკებმა. პირველ სადღეგრძელოს მომდევნო სიმღერამ კი უსერიოზულესი გამოცდა მოუწყო ოთხას წყვილ ყურის ბარაბანს.

ყოველი მორიგი სადღეგრძელო და მუსიკალური ნომერი წინაზე უფრო მეტად ახურებდა დარბაზს, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ მიმტან-მეთვალყურეები ტრიალებდნენ ჯარასავით, მოგვიანებით კი, როცა მშვიდობისა და ქვეყნის დღეგრძელების შემდეგ, ჩვენი ძვირფასი ნეფე-პატარძლის საღეგრძელოს მათივე ქართული ცეკვა მოჰყვა, გადაირია სუყველა. აივსო სცენა და ყურთასმენა. სუფრასთან დარჩენილები კი, მთლად რომ გაეღოთ ყველასთვის გულის კარები, ცოლიკაურით ჩარეცხილ და თბილი ცხიმით ამომალამოებულ ჯიგარს იგლეჯდნენ ერთმანეთისთვის.

მართალია, ასეთი მშვიდობიანი ქორწილი არსად მინახავს, მაგრამ, რაც შეეხება მხიარულებას, ტემპერატურა ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ზომიერების ზღვრამდე მისვლა სულაც არ გაუჭირდებოდა, რომ არა ჩვენთვის უცნობი გამოცდილი რეჟისორის ხელწერა - შუა ამბავში საქართველოს ჰიმნი გაისმა. ფეხზე წამოხტომა არავის დასჭირვებია, ისედაც ყველა იდგა, მაგრამ გაჭიმვა და გულზე ხელის დადება ერთმანეთის დასწრებაზე კი იყო. მერე წამით ყველამ ამოვისუნთქეთ და დავსხედით თამადის ახალი სადღეგრძელოსა და შემოსატანი კერძების მოლოდინში.

მაგრამ მოხდა ის, რასაც ბევრი არ ველოდით. სოლისტის მჭექარე ხმამ გამოაცხადა, რომ მომდევნო სიმღერა ეძღვნებოდა ძალოვანი სტრუქტურის კოლეგა-თანამშრომლებს. შემკვეთის ვინაობა უცნობი დარჩა, მაგრამ ამის თქმაზე გაისმა "ძენ პობედი" და ყველაზე გრძელი, მესამე მაგიდის წევრები სკამებიდან დიდი ოვაციებით წამოიშალნენ. ატყდა ცეკვა და გნიასი. მეოთხე მაგიდაზე კი ვიღაცამ წითელი ცხვირსახოცის ფრიალიც დაიწყო.

რა იყო ეს? - ერთი საათის სავალზე მოღრუტუნე ოკუპანტების საცინრად აგდება, თუ საბჭოური არხეინობის იმპულსური გამოვლინება? სამიოდე წუთის შემდეგ, როცა "ძენ პობედი" "მურკათი" გაგრძელდა, მეორე დილემაც გაჩნდა ქურდული მენტალიტეტის მიმართ ორ შესაძლებელ უკიდურეს დამოკიდებულებასთან დაკავშირებით - ნოსტალგია თუ სკლეროზი? ცხადზე უცხადესი მხოლოდ ერთია, ამ საკითხთაგან არც ერთს არ მოჰყვება სასარგებლო კამათი და ამით სანატრელი ქორწილის გაფუჭებას ისევ ვალიკიას ჯანმრთელობაზე მსჯელობა სჯობს.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ჩვენთვის უხილავი რეჟისორის ხელმა გაუგებარი სპონტანური ინიციატივა ყელამდე ჰიმნში ჩაახრჩო და ყველა ისევ თავ-თავიანთ ადგილზე გულზე მარჯვენამიდებული დაალაგა.

მერე კიდევ ერთხელ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. მომტანებმა, როგორც იმერეთში იტყვიან, "სუფოვნიკებით" ჩამოარიგეს მყინვარწვერივით ამოშვერილ ძვლებზე მთებივით ჩამოკიდებული ხორციანი კერძი. სურნელი დადგა ისეთი, მთლიანად ჩაიწმინდა ნიკოტინით გამურული ფილტვები. აფსუს, ვალიკია, როგორ ვინატრე. მხოლოდ ის მიხვდებოდა პირველივე დანახვისთანავე, რომ ეს დიდებული ხარის ბეჭი იყო. ხარის ბეჭი, რომელსაც ასე აქებდა თამადობით სახელგანთქმული მამამისი. ქალის მანდილივით აგვარებდა, ბაბუა, ყველა საქორწილო ყაყანს, ხარის ბეჭის გამოჩენაო, - მეტყოდა ხოლმე მხცოვანი პარმენა დაუმსახურებლად მივიწყებულ კერძზე, მე რომ ზღაპარი მეგონა. ეს ძვლიანი შედევრი კი კულინარიული სამყაროს მართლაც უძლეველი მეფე ყოფილა. მედიდურობით თამადისთვის გამორჩეულ გოჭის შებრაწულ თავზე მაღლა იდგა, შესახედაობით ჯიბეში ჩაისვამდა მწვადსაც და ყაურმასაც ერთად აღებულს, გემოვნებით თავად იმ შემწვარ წიწილასაც კი უწევდა ღირსეულ მეტოქეობას. ამგვარად, საოცარმა ხარის ბეჭმა შავი რუსული ლაქა ქორწილის დანაგვიანებული მეხსიერებიდან ისე პირწმინდად ამოშალა, თითქოს, დრამატურგიული და ისტორიული გურმანი პერსონაჟები ამ დელიკატესს საშლელივით ხმარობენო.

დასასრულს მესამედაც გაისმა საქართველოს ჰიმნი. როგორც ჩანს, იმ უხილავ რეჟისორს მართლაც კარგად შეუსწავლია საქორწილო საზოგადოების სმენაზე დამოკიდებული არამდგრადი ფსიქოლოგია.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ბონუსი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების ავტოტრანსპორტის საბურავების** (საქონლის თანმდევი მომსახურებით) **შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა ჩარიცხონ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, **რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900**, გადახდის დოკუმენტში უნდა მეთითოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის **სხვადასხვა დასახელების ავტოტრსნსპორტის საბურავების** (საქონლის თანმდევი მომსახურებით) **შესყიდვაზე** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შედეგ მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. №72; მე-2 სართული, რის შემდეგაც პრეტენდენტებს გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა 2009 წლის 27 ნოემბრიდან 2009 წლის 17 დეკემბრის 18 საათამდე;

1. შესყიდვის ობიექტი: 1 ლოტად

| ლოტი № | | საქონლის დასახელება | ტექნიკური მონაცემები | რაოდენობა | საქონლის მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | საბურავი | 175/70რ13 | 8 | ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო მთლიანი საქონლის მიწოდების საბოლოო ვადა 2009 წლის 31 დეკემბრი. | საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილიში მიმწოდებლის მისამართზე. |
| | 2 | საბურავი | 185/70რ14 | 12 | | |
| | 3 | საბურავი | 195/65რ15 | 12 | | |
| | 4 | საბურავი | 205/60რ15 | 16 | | |
| | 5 | საბურავი | 205/55რ16 | 12 | | |
| | 6 | საბურავი | 205/60რ16 | 16 | | |
| | 7 | საბურავი | 215/55რ16 | 4 | | |
| | 8 | საბურავი | 225/55რ16 | 12 | | |
| | 9 | საბურავი | 235/85რ16 | 8 | | |
| | 10 | საბურავი | 265/70რ16 | 4 | | |
| | 11 | საბურავი | 275/70რ16 | 8 | | |
| | 12 | საბურავი | 225/45რ17 | 2 | | |
| | 13 | საბურავი | 235/45რ17 | 2 | | |
| | 14 | საბურავი | 275/65რ17 | 8 | | |
| | 15 | საბურავი | 245/45რ18 | 8 | | |
| | 16 | საბურავი | 255/55რ18 | 4 | | |
| | 17 | საბურავი | 265/60რ18 | 8 | | |
| | 18 | საბურავი | 255/50რ19 | 8 | | |
| | 19 | საბურავი | 285/45რ19 | 4 | | |

საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველუოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხივნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, ხოლო საქონლის მიწოდების დასრულების საბოლო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი,

2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილიში.
3. მიწოდების წესი და გადახდის გრაფიკის პირობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში;
4. ტენდერზე პრეტედენტების მიერ წარმოადგენილ უნდა იქნას, საბურავების მწარმოებელი ქვეყნის, ფირმის, ხარისხის და ტექნიკური პირობების დამადასტურებელი დოკუმეტაცია;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 18 დეკემბერს 12:00 საათიდან 16:00 სათამდე, ხოლო ტენდერი ჩატარდება და პაკეტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 18 დეკემბერის 16:00 საათზე, შემდეგ** მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72.
6. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას (თანდართული დოკუმენტებს) თან უნდა დაერთოს მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის შესახებ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**7.1 იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:**

7.1.1 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

7.1.2 ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

7.1.3 ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის (ინდ/მეწარმის) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

**7.2 ფიზიკური პირებისათვის:**

7.2.1 პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტი;

7.2.2 სასამართლოდან ცნობა ფიზიკური პირი ქმედუნარიანობის შესახებ;

**7.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

7.3.1 ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი, პრეტედენტი არ არის რეგისრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტედენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7.3.2 ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ - საგადასახადო ინსპექციიდან;

7.3.3 ცნობა საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ – მომსახურე ბანკიდან;

7.3.4 ცნობა საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ - მომსახურე ბანკიდან;

8. წარმოდგენილ უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემები.
9. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდება წარმომდგენ პრეტედენტებს.
10. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
12. ტენდერში ლოტზე გამარჯვებულად გამოვლინდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი;
13. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
14. ტენდერში გამოყენებული იქნება **სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.**
15. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;
16. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;
17. **ავტოტრანსპორტის საბურავები უნდა შეესაბამებოდოს ზამთრის სეზონისათვის გათვალისწინებულ ტექნიკურ მონაცემებს.**
18. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
19. **გოჩა ფიფია 877 57 57 80; ზვიადი მანჯგალაძე 877 987 003; 41-24-51.**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# შესწორებები განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წლის 21 ნოემბერს, გაზეთ "24 საათში" (Weekend, N35 (131)) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება შენობა-ნაგებობის შიდა სარემონტო სამუშაოების მრავალწლიან შესყიდვას, შეტანილ იქნა შესწორებები, კერძოდ, მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის (ს.ს."ბაზისბანკი", ანგარიშის N133560, კოდი 220101956) დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 10 დეკემბრის 17:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჯავახიშვილის N60, სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისი (II სართული).

5. ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 11 დეკემბრის 10:00 საათიდან 11:00 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჯავახიშვილის N60, სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისში (II სართული).

**სატენდერო კომისია**

# ცვლილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შვიდეს ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2009 წლის ასიგნებებით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა პროგრამების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი "ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლაში" დაფინანსების ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში, კერძოდ განცხადების მე-5 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების პაკეტების **გახსნა** მოხდება **2009 წლის 8 დეკემბერს 16:00 საათზე**, სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დასრულებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52 ოთახი №304.

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 26 ნოემბრის სატენდერო განცხადების (პროგრამული ურუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა) მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 17 დეკემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 17 დეკემბრის 16:30 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 შესასვლელი არსენას ქუჩიდან, მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება

სატენდერო კომისია

## ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შპს "ენგურჰესი"-ს მიერ 2009 წლის 17 ნოემბრის გაზეთ "24 საათში" 260 მვტ სიმძლავრის ჰიდროაგრეგატის დაშლა - აწყობაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადების 5.3 პუნქტში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება (მოთხოვნილ საკვალიფიკაციო მონაცემებს დაემატოს):

- როგორც იურიდიული, ასევე ინდ. მეწარმე (ფიზიკური პირები)-სათვის

გ) წარმოდგენილ იქნას ცნობა დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;

დ) ნებართვა აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესახებ, საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (23.10.2008წ) და საქართველოს მთავრობის განკარგულება N754-ის (17.11.2008წ) მოთხოვნების საფუძველზე

- სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები და პუნქტები რჩება უცვლელი.

სატენდერო კომისია

## განცხადება

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ "ქ. თბილისში, გალაკტიონის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საზოგადოებრივი სივრცის რეკონსტრუქციის სამუშაოების" სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2009 წლის 10 ნოემბერს ხელშეკრულება გაფორმდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან - "ივერია-2004".

ქ. თბილისის ძველი თბილისის
რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია

## განცხადება ზამთრის საბურავებისა და აკუმულატორების შესყიდვაზე

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ატარებს ფასთა გამოკითხვას ორ ლოტად: I **ლოტი** - ზამთრის საბურავების და II - **ლოტი** აკუმულატორების შესყიდვაზე,საგარანტიო ვადა II **ლოტში** მოსაწოდებელ საქონელზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 თვეს.

| № | საქონლის დასახელება | საქონლის აღწერილობა | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|
| 1 | ზამთრის საბურავები | 215/90 R-15c | 32 |
| 2 | | 225/75 R-16c | 12 |
| 3 | | 195/75 R16c | 12 |
| 4 | | 260/508 (9,00-20) | 30 |
| 5 | | 215/65 R16 | 8 |
| 1 | აკუმულატორები | 6 ს.ტ 60ამპ/სთ | 3 |
| 2 | | 6 ს.ტ 75ამპ/სთ | 15 |
| 3 | | 6 ს.ტ 90ამპ/სთ | 4 |
| 4 | | 6 ს.ტ 180ამპ/სთ | 2 |

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე ან ვებ გვერდზე www.gse.com.ge.
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.
ტელ/ფაქსი 989816, მობ. 877232355.
განცხადება ძალაშია 2009 წლის 4 დეკემბრამდე
ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა წარმატებული იქნება.

## სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 18 ნოემბერს გაზეთ "24 საათში" "რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 2183 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქისათვის უფასო სასადილოებში კვების ორგანიზების" სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემი: ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის**
**გამგეობის სატენდერო კომისია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვის, მოჭრისა და გასხვლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა: გადასაბელია 545 ერთეული ხე, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 250 ერთეული, II კატეგორიის - 150 ერთეული, III კატეგორიის - 55 ერთეული, რთულ პირობებში - 45 ერთეული, ძალიან რთულ პირობებში - 45 ერთეული. მოსაჭრელია 445 ერთეული ხე, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 150 ერთეული, II კატეგორიის - 150 ერთეული, III კატეგორიის - 55 ერთეული, რთულ პირობებში - 45 ერთეული, ძალიან რთულ პირობებში - 45 ერთეული. გასხვლა ესაჭიროება 280 ხეს, აქედან: I კატეგორიის სირთულის - 50 ერთეული; II კატეგორიის - 80 ერთეული; III კატეგორიის - 150 ერთეული.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან - 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 16 დეკემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ძველი თბილისი), ს/კ 206160606, ანგარიში N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - 300773174. გადახდის დანიშნულება - ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვის, მოჭრისა და გასხვლის მომსახურების სატენდერო მოსაკრებელი. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 17 დეკემბრის 10-დან 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0105, ქ. თბილისი გ. ლეონიძის ქ. N2, მე-3 სართული, ოთახი N5.

7. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

8.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციის დამადასტურებელ საბუთს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს.

8.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაციას ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის გადახდისუუნაროების საქმის წარმოება;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ზ) ცნობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ პრეტენდენტი არ არის შეყვანილი არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;

თ) ცნობას მომსახურე ბანკიდან რომ პრეტენდენტს საბანკო ანგარიშზე აქვს თანხა სატენდერო წინადადების 10 პროცენტის ოდენობით.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიალურად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მისი დისვალიფიკაცია შესაძლებელია ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მერვე მუხლით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია, გარდა მერვე მუხლის 8.3. პუნქტის "ა", "ბ" და "დ" ქვეპუნქტების მოთხოვნებისა. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში.

11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტირების მექანიზმი.

12. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტს, სატენდერო კომისიის აპარატის წევრს - დავით კასრაძეს ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის
გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, ტელ/ფაქსი: (995 32) 389551) "სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში აცხადებს ტენდერს საოფისე ავეჯის და ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

2. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი ("სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა")

3. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტის შესაბამისად:

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| ლოტი 1 | საწერი მაგიდა | 888 |
| | მისადგმელი მაგიდა | 110 |
| | ტუმბო | 997 |
| | კომპიუტერის პროცესორის სადგამი | 880 |
| | ტანსაცმლის კარადა | 237 |
| | ფაილ კარადა | 1048 |
| | ჟურნალების მაგიდა | 47 |
| | მაგიდა – "რისეფშენი" | 2 |
| | სათათბირო მაგიდა | 2 |
| | საკონფერენციო მაგიდა | 1 |
| | დახლი ორდონიანი – მიმღები | 1 |
| | ღია თაროები | 1 |
| | ღია კარადა | 111 |
| | გორგოლაჭიანი სავარძელი | 900 |
| | სკამი | 1147 |
| | რბილი სამეული | 44 |
| | სკამი გადაბმული | 5 |

4. მიწოდების სასურველი ვადაა 2010 წლის 1 მაისი; მიწოდების პირობა: "DDP-მიწოდების ადგილი"; მიწოდების ადგილი: მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მისამართის შესაბამისად (შენიშვნა: მიწოდების ვადებთან, პირობებთან, საქონლის ტექნიკურ პარამეტრებთან და მახასიათებლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას 2009 წლის 27 ნოემბრიდან 2009 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500).

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 22 დეკემბერს 12:00 სთ-ზე (ტენდრში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა/E-mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტ პირს უნდა ყავდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მიწოდებაზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>. | | | |

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად. მაგრამ **თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.**

10. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302003174, ***დამატებითი ინფორმაცია: სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი – კოდი 1185***, 2009 წლის 27 ნოემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

12. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

13. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების – 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების – 5%-იანი უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია).

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მარიამ ლორთქიფანიძე და ლევან გელაშვილი, სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი (მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, ტელეფონი: (995 32) 389551)

**სატენდერო კომისია**

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ახლა

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის სამეცნიერო დეპარტამენტში შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

— მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, არის დოქტორანტი ან აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ. ავტობიოგრაფია (CV);
გ. დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან);

დ. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე. 2005-2009 წლებში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ორიგინალი ან ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;
ვ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელიც შეასრულა განმცხადებელმა 2005-2009 წლებში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

ზ. ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა);

თ. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონი), რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);

6. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას კონკურსანტებთან.

7. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე ცენტრის დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 3 წლის ვადით.

8. მეცნიერი თანამშრომლის ხელფასი იქნება თვეში 360 ლარი.

9. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 27 ნოემბრიდან. მისამართი: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1/3.

10. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი.

11. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2010 წლის 10 იანვრისა.

12. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3.

ელ-ფოსტა: info@manuscript.ge ტელ.: 364185, ფაქსი: 363241; ვებ-გვერდი: www.manuscript.ge

საკონტაქტო პირი: ანა მილაშვილი


**თვალის მიკროქირურგიის**

**ჯავრიშვილის კლინიკა**

**"ოფთალმიჯი"**

**ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით**

**და ერთი**

**მოძრავი საოპერაციო ბლოკით**

**სიახლე!**

**მნიშვნელოვანი ფასდაკლება**

**კატარაქტის ოპერაციაზე**

**ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80**


საქმე №2/5858-09

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

**24 ნოემბერი 2009 წელი თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის**
**მოსამართლე: ეკატერინე ცისკარიძე**
**მოსარჩელე:** ეთერ თაკალანძე
**წარმომადგენელი:** თამარ ლაშაბერიძე
**მოპასუხე:** ავთანდილ ფილიშვილი
**დავის საგანი:** განქორწინება

**ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ეთერ თაკალანძის სარჩელი მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილის წინააღმდეგ განქორწინების თაობაზე.

მოსარჩელემ სარჩელში განმარტა, რომ 2001 წლის 23 მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შვილი არ შეძენიათ. 2003 წლის ნოემბრის თვიდან მეუღლეებს შორის ფაქტობრივად შეწყდა ქორწინება. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მეუღლეთა ერთად ცხოვრება და ოჯახის აღდგენა შეუძლებელია.

მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე 2009 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, მოპასუხე ავთანდილ ფილიშვილს საჯარო შეტყობინების გზით (გაზეთი "24 საათი" №235, 28.1.2009 წელი) ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსარჩელე ეთერ თაკალანძის მიერ განქორწინების შესახებ აღძრული სამოქალაქო საქმის თაობაზე და პასუხის (შესაგებლის წარმოდგენისათვის განესაზღვრა ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღე და განემარტა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

მოპასუხეს შესაგებელი უნდა წარმოედგინა 2009 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით, მაგრამ მან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ წარმოადგინა, არც შესაგებლის წარმოუდგენლობის მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ მიეღებული უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა-გ" ქვეპუნქტების თანახმად, საქმის სასამართლოს განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე - ა) უგზავნის მოპასუხეს სარჩელის (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისთვის, რომ მან წერილობით შეაწგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს; გ) აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია, თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპოცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის, 1123-ე მუხლის პირველი ნაწილის და 1127-ე მუხლის საფუძველზე იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას, ამასთან არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 233-ე მუხლით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა, 234-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთერ თაკალანძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს ეთერ თაკალანძეს და ავთანდილ ფილიშვილს შორის საბურთალოის რაიონის საროს განყოფილების მიერ 2001 წლის 23 მარტს №42 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება;
3. განქორწინების მოწმობის გაცემისას სახელმწიფო ბაჟი 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით გადახდეს მოსარჩელე ეთერ თაკალანძეს;
4. ავთანდილ ფილიშვილს გადახდეს 50 (ორმოცდაათი) ლარი ეთერ თაკალანძის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ;
5. განემარტოს მოპასუხეს, რომ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10 (ათი) დღის ვადაში მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში;
6. მოპასუხეს - ავთანდილ ფილიშვილს განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ითვლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინებით გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;
7. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში "24 საათი";
8. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაზეთში გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს.

**მოსამართლე: ე. ცისკარიძე**